5
577/4 N 10284

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი
2
ივნისი
№ 22 (2698)
გამოცემის
57-ე წელი
1989

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო • «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა

25 მაისს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე დღის წესრიგისა და მუშაობის წესის განხილვის დროს გამოვიდნენ დეპუტატები **ნ. ა. ნაზარბაევი, ა. დ. სახაროვი, გ. ხ. პოპოვი, ე. ნ. მეშალკინი, რ. ქ. შჩედრინი, ვ. ნ. ბელიაევი, ა. გ. კოსტენიუკი, ი. ი. ბოლდირევი.**

დეპუტატები ამტკიცებენ ღია კენჭისყრის შედეგების დათვლის წესს და ხმების დამთვლელ ჯგუფს.

დეპუტატები შემდეგ განიხილავენ ყრილობის სხდომათა დროების რეგლამენტს, ამ საკითხზე გამოვიდნენ **კ. ა. ანტანავიჩიუსი, ვ. ვ. ლანდსბერგისი, ა. ვ. ლევაშოვი, ა. ა. პლოტნიექსი, ს. ბ. სტანკევიჩი, ი. რ. სოიარსი, ა. ე. სებენცოვი, გ. მ. კუროჩკა, ა. მ. ადამოვიჩი, ა. ნ. საუნინი, კ. დ. ლუბენჩენკო, ა. დ. სახაროვი, ვ. ი. რევნივცევი, ბ. ვ. გიდასპოვი, ა. პ. აიდაკი.**

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილების შესამოწმებლად ყრილობამ აირჩია სამანდატო კომისია.

პირველ სხდომაზე დეპუტატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს თბილისში დაღუპულთა ხსოვნას.

შეკითხვის წესით საკითხი დააყენა დეპუტატმა **ვ. თ. ტოლპეჟნიკოვმა.** თავისი ამომრჩევლების დავალებით მან მოითხოვა ყრილობაზე გამოაცხადონ იმათი გვარები, ვინც გასცა ბრძანება 9 აპრილს თბილისში მშვიდობიან დემონსტრანტთა დარბევისა და მათ წინააღმდეგ მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენების შესახებ.

ყრილობის საღამოს სხდომა გაიხსნა სამანდატო კომისიის მოხსენებით. სხდომის თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ი. ვოროტნიკოვი** სიტყვას აძლევს მის თავმჯდომარეს **ბ. ვ. გიდასპოვს.**

განცხადებებით და დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით დასმული საკითხებით, რომლებიც უკავშირდება არჩევნების შესახებ ახალ კონსტიტუციურ კანონმდებლობას, გასულ არჩევნებში დაშვებულ ზოგიერთ დარღვევას, თბილისში და წინათ სუმგაითში მომხდარ ამბებს, გამოვიდნენ დეპუტატები **ნ. ა. კუცენკო, ე. ნ. შენგელაია, გ. ხ. იგიტიანი, ვ. ს. ალქსნისი, მ. რ. მამედოვი.**

ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას დაევალოს პრეზიდიუმს შექმნას სპეციალური კომისია დეპუტატთა განცხადებებში აღძრული საკითხების დეტალური შესწავლისათვის, რომლის შედეგები მოხსენდება ყრილობას ან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

დეპუტატები გადადიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის საკითხზე.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ჩ. აითმათოვს.**

— ამხანაგებო — თქვა ჩ. აითმათოვმა — მე დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენლების კრების სახელით, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა პარტიული კრების ერთსულოვანი აზრის გათვალისწინებით დავალებული მაქვს შემოვიტანო წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის არჩევის შესახებ.

მ. ს. გორბაჩოვის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს დეპუტატებმა **ვ. ა. ლოგუნოვმა, ვ. ლ. ბედულიამ, ვ. ა. იავორივსკიმ, ბ. ვ. კრიუკოვმა, ვ. პ. ზმელმა, ვ. ა. ბირიუკოვმა, მ. ი. ლაურისტინმა, ვ. ა. ვობლიკოვმა, ი. ბ. სოლოვიოვმა, ა. ა. შჩელკანოვმა, ვ. ვ. გონჩაროვმა, რ. ი. ალიაროვმა, ნ. პ. ბეხტერევამ, ს. ვ. ზვონოვმა, ლ. ი. არუთიუნიანმა, ა. თ. ემელიანენკოვმა, ნ. ვ. ფიოდოროვმა, კ. დ. ლუბენჩენკომ, ნ. ვ. ესეიკინმა, მ. ვ. სპირიდონოვმა, ვ. ი. მირონენკომ, პ. პ. ფალკმა, ი. ი. კუხარმა, ე. პ. ველიხოვმა.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მ. ს. გორბაჩოვის კანდიდატურის განხილვის დროს დეპუტატების მიერ წამოჭრილ მრავალ საკითხთან დაკავშირებით ყრილობაზე გამოვიდა დეპუტატი **მ. ს. გორბაჩოვი.**

მის გამოსვლას გულთბილად შეხვდნენ ყრილობის მონაწილენი.

შემდეგ დეპუტატები იღებენ გადაწყვეტილებას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენში შეიტანონ მ. ს. გორბაჩოვის კანდიდატურა.

ყრილობამ ფარული კენჭისყრით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია მ. ს. გორბაჩოვი.

26 მაისს დილის 10 საათზე კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის **მ. ს. გორბაჩოვის** თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მესამე სხდომა.

დეპუტატები შეუდგნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევის საკითხის განხილვას.

სახალხო დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენელთა კრების სახელით დეპუტატ **ე. ს. სტროევს** შეაქვს წინადადება კავშირის საბჭოს არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენში შეიტანონ წარმომადგენელთა კრებაზე შეთანხმებული დეპუტატთა კანდიდატურების სია.

წარმოდგენილი წინადადების განხილვის წინ მთელმა რიგმა დეპუტატებმა შეკითხვის წესით დააყენეს საკითხები და გააკეთეს განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია მიტინგების მოწყობის პრაქტიკასთან და სამართალდაცვითი ორგანოების მოქმედებასთან.

ახსნა-განმარტებაში, რომელიც დეპუტატს მისცა სხდომის თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა,** აღინიშნა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დაინტერესება იმით, რომ მის დეპუტატთა ნაწილმა, თუ ეს მათ სურვილს შეესაბამება, განაგრძოს მუშაობა თავის წინანდელ თანამდებობებზე. ხაზგასმით ითქვა, რომ ამ დეპუტატთა საქმიანობა განსაკუთრებით სასარგებლო იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიებში. მაგრამ, მაინც დეპუტატთა ძირითადი მასა, როგორც ნავარაუდევია, ძირითად საფუძველზე იმუშავებს ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

ამ საკითხის განხილვისას გამართული ფართო დისკუსიის დროს გამოთქმული შენიშვნების გამო კენჭი უყარეს ორ წინადადებას.

დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პირველ წინადადებას, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას.

ყრილობის მეოთხე, საღამოს სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა** სიტყვა მისცა დეპუტატ **ა. ი. ლუკიანოვს,** რათა ეცნობებინა დილის სხდომაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გამო პრეზიდიუმის დასკვნები.

კენჭისყრის საპროცედურო საკითხებზე გამოვიდნენ დელეგატები **ვ. ვ. ლანდსბერგისი, რ. ა. მედვედევი, ი. ა. ოსიპიანი, ა. ი. ბურაჩასი, ა. გ. ჟულიევი, ს. პ. ზალიგინი, ვ. დ. რომანენკო, ა. ს. კანოვიჩი.**

ხმების უმრავლესობით დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს პრეზიდიუმის წინადადებებს, რომლებიც ჩამოაყალიბა დეპუტატმა **ა. ი. ლუკიანოვმა.**

27 მაისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის **მ. ს. გორბაჩოვის** თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მორიგი სხდომა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის 26 მაისს გამართული ფარული კენჭისყრის შედეგების გამოცხადებისათვის სიტყვა ეძლევა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ი. ა. ოსიპიანს.**

ყრილობამ დაამტკიცა კენჭისყრის შედეგები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში არჩეულია 271 დეპუტატი.

27 მაისს საღამოს სხდომაზე გაგრძელდა დისკუსია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვეს დეპუტატებმა **ო. ო. სულეიმანოვმა, ე. ვ. იაკოვლევმა, ვ. ს. ობრაზმა, ნ. ს. პეტრუშენკომ, ლ. პ. კრავჩენკომ, ვ. ი. კარილოვმა, ს. ი. კონევმა, ა. ნ. კრაიკომ, ჩ. აითმათოვმა, ვ. ა. პალმმა, ა. ს. სამსონოვმა, ტ. ბ. მოშნიაგამ და გ. ხ. პოპოვმა.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი აყენებს წინადადებას შეუდგნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნებს.

ა. ი. ლუკიანოვის კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობა მიიღო მრავალმა დეპუტატმა.

29 მაისს გრძელდებოდა ამ საკითხის განხილვა. ღია კენჭისყრით ამხ. **ა. ი. ლუკიანოვი** არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

29 მაისს საღამოს სხდომაზე გაიმართა დისკუსია საპროცედურო საკითხებზე. ამასთანავე, საღამოს სხდომის ცენტრში მოექცა დეპუტატ ბ. ელცინის საკითხი. დეპუტატი ა. კაზანნიკი გამოვიდა განცხადებით, რომ თანახმაა უარი თქვას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილებაზე **ბ. ელცინის** სასარგებლოდ. ამ საკითხის გამო გამართული დისკუსიის შემდეგ დეპუტატმა ბ. ელცინმა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დაიკავა დეპუტატ ა. კაზანნიკის ადგილი, რომელმაც უარი თქვა ამ საპატიო მისიაზე, მოსკოველი დეპუტატის სასარგებლოდ.

30 მაისს დილის სხდომაზე მოხსენებით „სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი" გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი მ. ს. გორბაჩოვი.

ყრილობის 30 მაისის დილის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, დეპუტატ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების გამო დაიწყო კამათი, რომელიც ყრილობის საღამოს სხდომაზეც გრძელდებოდა.

საღამოს სხდომაზე მწვავე დებატები გაიმართა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგიკული ამბების გამო. ამ საკითხზე გამოვიდნენ დეპუტატები თ. გამყრელიძე, ი. როდიონოვი, ჯ. პატიაშვილი, ე. შენგელაია.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

1 ივნისი
ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

გონდო დადვაძის ფოტო

მოსკოვი, კრემლი. სახალხო დეპუტატთა ყრილობას

ახალი სახალხო დეპუტატს მუხრან მაჭავარიანს

ამხანაგო დეპუტატებო!

ქართველი მწერლები იმედით შეჰყურებენ თქვენს ფორუმს, რომელმაც სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხთა შორის უნდა გადაწყვიტოს ერთი, ქართველი ხალხისათვის ძალზე მტკივნეული და სასიცოცხლო საკითხი — პრინციპული და ობიექტური პოლიტიკური შეფასება მისცეს 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას.

ამიტომაც აღგვაშფოთა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის როდიონოვის ყოვლად უპასუხისმგებლო და დემაგოგიურმა გამოსვლამ, რომელსაც მისმა ამომრჩევლებმა უნდობლობა გამოუცხადეს და გაიწვიეს დეპუტატობიდან. დეპუტატობის მორალური უფლება კი მან 9 აპრილის სისხლიან დღეს დაკარგა.

როდიონოვმა თავისი გამოსვლა ააგო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს „ზარია ვოსტოკას“ 14 აპრილის ნომრის მოწინავე სტატიაზე. ეს სტატია კი, როგორც იმავე გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ კოლექტივი როდიონოვის გამოსვლის საპასუხოდ წერს (იხ. 31 მაისის ნომერი), „ჩვენი პოზიცია“ მომზადებული და გამოგზავნილი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტიდან.

ბუნებრივია, რესპუბლიკის ზოგიერთი ხელმძღვანელი ცდილობდა ამ წერილით თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა. სტატია განსაკუთრებით ალბათ იმ ხელმძღვანელების უშუალო აქტიური მონაწილეობით დაიწერა და დაიბეჭდა, რომლებსაც ყველაზე მეტად მიუძღოდათ ბრალი 9 აპრილის ტრაგედიაში.

გენერალი როდიონოვი შეეცადა პოლიტიკური შეფასება მიეცა არასანქცირებული მიტინგისათვის და აქაც მორიგ სიყალბეს მიმართა — მიტინგზე ანტირუსული განწყობილება სუფევდაო. არა და არა. არც მიტინგამდე, არც მიტინგის მსვლელობის დროს და არც მიტინგის შემდეგ მრავალეროვნულ ქალაქში არ მომხდარა ერთაშორისი შეტაკების ერთი შემთხვევაც კი.

ხოლო თუ მიტინგზე ვინმეს წამოცდა მსგავსი რამ, იგი არავის არ გაუზიარებია. მოგეხსენებათ, ასეთი მიტინგები არაა დაზღვეული ზოგიერთი პროვოკაციული ლოზუნგისაგან, მაგრამ მათი განზოგადება და ნაციონალისტური იარლიყების მიკერება მხოლოდ უზნეო და სინდისგარეცხილ კაცს თუ შეუძლია. მიტინგის მთავარი და უპირველესი ლოზუნგი კი სსრკ კონსტიტუციის 72-ე მუხლითაა განმტკიცებული და ეს კარგად უნდა მოეხსენებოდეს გენერალს.

ყველაფერი თქვა გენერალმა, ჭორიც და მართალიც. მაგრამ ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი გამორჩა — ქიმიური გაზები და მესანგრის „უწყინარი“ ნიჩაბი! გამორჩა ის, რომ მისი მხედართმთავრობით საკუთარი ხალხის — საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ გამოიყენეს ის იარაღი, რის გამოყენებასაც ყველაზე რეაქციული სახელმწიფოების პირსისხლიანი დიქტატორები ერიდებოდნენ და ერიდებიან ახლაც. ქიმიური შხამები და ორლესული ნიჩბები — ეს მართლაც და „უწყინარი“ იარაღი გენერალს მხოლოდ იმიტომ დასჭირდა, მერე სახალხოდ ეტრაბახა, ხალხი უიარაღოდ დავშალეო.

აი, ამაზე სდუმდა გენერალი, სდუმდა იმაზეც, თუ ვინ დაავალა ამ „საგმირო“ ნაბიჯის გადადგმა...

ჩვენ მაინც გვჯერა, რომ ჭეშმარიტება გაიმარჯვებს, სიმართლე გაიმარჯვებს, რადგანაც XX საუკუნის მიწურულს წარმოუდგენელია ვანდალიზმის, კაცთმოძულეობის შავბნელი იდეების გამარჯვება.

ქართველ მწერალთა სახელით საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნო

დეპუტატი „ჯადოსიტყვას“ იხსენებს...

ყველასათვის კარგად არის ცნობილი ის პრინციპული პოზიცია, რაც გაზეთმა „მოლოდიოჟ გრუზიიმ“ 9 აპრილის ამბების გაშუქებისას აირჩია. ამის გამო გაზეთი სამხედრო უწყებამ ბარბაროსულად დაარბია. 30 მაისს ახალი იერიშის მომსწრენი აღმოვჩნდით. სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა გენერალ-პოლკოვნიკმა როდიონოვმა სამიზნედ კვლავ „მოლოდიოჟ გრუზიი“ აირჩია და მის წინააღმდეგ მასშტაბური ლაშქრობის წამოწყება სცადა.

როდიონოვმა „ნაცად ხერხს“ მიმართა: ახალგაზრდული გაზეთი სამხედრო უწყებისთვის მიუღებელი ინფორმაციების გამოქვეყნების გამო გალანძღა, სამაგიეროდ, მოკავშირედ გაიხადა „ზარია ვოსტოკა“ (14 აპრილის ნომერი), რომელშიც ბორის ნიკოლსკის აქტიური ჩარევით დაიბეჭდა სამხედრო უწყებისთვის სასურველი და დღეს უკვე ჩვენს წინააღმდეგ გამოყენებული მასალა.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია გმობს გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვის ამ გამოხდომას და სრულ სოლიდარობას უცხადებს „მოლოდიოჟ გრუზიის“.

საერთოდ, გენერლის სიტყვამ უმძიმესი შთაბეჭდილება დატოვა.

უდიერი, შეურაცხმყოფელი ტონით ილაპარაკა მან აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეზე. უწყებრივი „იუმორის“ შთაბეჭდილება დატოვა მისმა სიტყვებმა — **„Я вспоминал наше русское волшебное слово“** — რაც სინამდვილეში გინებას გულისხმობდა.

როდიონოვი, ეტყობა, დიდად უფლებამოსილი პერსონაა (ამჯერად მხოლოდ დამსჯელი ოპერაციის ხელმძღვანელობას არ ვგულისხმობთ). ამომრჩევლებმა მას უნდობლობა გამოუცხადეს, უკან გაიწვიეს, მაგრამ ყრილობაზე მაინც მათ წარმომადგენლად წაბრძანდა, მაინც საქართველოს დელეგაციის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს თავს და, ვითომ არაფერი მომხდარა, ისე ამბობს: **„У нас в Грузии...“**

გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვის ეს ცინიზმით აღსავსე გამოსვლა მისი ადრინდელი, 9 აპრილის „ნამოღვაწარის“ ბუნებრივი გაგრძელებაა. მაშინ მან ქართველი ერის სუვერენული, კონსტიტუციური უფლებები შელახა და ფეხქვეშ გათელა, ახლა კი „შინაგანმა კონსტიტუციამ“ მიანიჭა სრული თავისუფლება, ეგინებინა ერი, მისი ღირსეული შვილები.

როდიონოვის „ფენომენი“ ახალი როდია. 1956 წლის 9 მარტს თბილისში ახალგაზრდობის დამხვრეტი მაღალი რანგის სამხედრო მოხელეც მისი მსგავსი იყო. მაშინ პირობები, საზოგადოებრივი კლიმატი იყო სხვა, ტრიბუნის საჭიროება არ იყო, თორემ ისიც როდიონოვივით „იმსჯელებდა“ — ქართველებს, თავისი სურვილის მიხედვით, იმას დააბრალებდა, რასაც მოისურვებდა (თან „ვოლშებნოე სლოვოს“ აუცილებლად მოიძიებდა).

მაგრამ ასეთი „გამოცდილება“ უთქმელად, უხილავადაც გროვდება, სადაც ჯერ არს, და მას თანდაყოლილი უტყუარი გეშით გრძნობენ და იყენებენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მსგავსნი.

როდიონოვის გამოსვლაში იყო კიდევ ერთი მეტად უსიამოვნო ადგილი, უფრო ზუსტად — ხანგრძლივი პაუზა. იგი მოჰყვა მრისხანე ტონით ნათქვამ დაუმთავრებელ წინადადებას — **«Это была махровая...»**

სარდალი სიტყვებს ეძებდა და თან ერთი სული ჰქონდა: ჩვენს მიმართ ჩვეული, გადამჭრელი მოქმედების უფლება კიდევ ერთხელ მინიჭებოდა.

ეტყობა, დღესაც არ მოძველებულა ცნობილი დებულება ორი რუსეთის შესახებ. ერთ მხარეს არის ანდრეი სახაროვის, იური კარიაკინის, ბორის ვასილიევის, იური ვლასოვის და სხვა ჭეშმარიტ მოქალაქეთა რუსეთი. მეორე მხარეს კი სხვა რუსეთი დგას — აბრამკინები, როდიონოვები და მათნი მსგავსნი (ამდენად, არც გენერალს და არც მის ბანაკს და სულისჩამდგმელთ არ უნდა გაუკვირდეთ, ქართველობამ „მათი რუსეთის“ წინააღმდეგ რომ აიმაღლა ხმა).

ყრილობაზე როდიონოვმა კიდევ ერთხელ მოუღერა მუშტი საქართველოს. ამით იგი დემოკრატიზაციის დღევანდელ პროცესს ემუქრებოდა.

სამწუხაროდ, ეს იქ, ყრილობაზე, ყველამ ვერ დაინახა. ვერ იგრძნო.

ვიმედოვნებთ, შორს არ არის დრო, როცა გინებასა და მუქარას აპლოდისმენტებით არ შეხვდებიან!

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია

მიწა-საერთო საზრუნავი

30 მაისს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა რესპუბლიკაში მიწის კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დაცვის შემოწმების დროებითი კომისიის სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა და დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ.

გურამ ფანჯიკიძემ ვრცლად ისაუბრა ამ ახლადშექმნილი კომისიის მიზნებსა და ამოცანებზე, აღნიშნა, რომ წლების მანძილზე არსებულმა განუკითხაობამ და დანაშაულებრივმა გულგრილობამ ისედაც მცირემიწიანი საქართველო ფაქტიურად კატასტროფის წინაშე დააყენა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართველებისათვის ჭირს საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფა, მაშინ როცა, სხვა ეროვნების წარმომადგენლები სრულიად უკანონოდ ფლობენ უზარმაზარ ტერიტორიებს. ამდენად, დღის წესრიგში დგება მიწის კანონმდებლობის უმკაცრესი დაცვა. სწორედ ამან განაპირობა დროებითი კომისიის შექმნა, რომელიც დეტალურად შეისწავლის საქართველოს რაიონებში არსებულ მდგომარეობას, პრინციპულ და ობიექტურ შეფასებას მისცემს ვითარებას და საჭიროების შემთხვევაში მასობრივი პროპაგანდის მეშვეობით დაუნდობლად ამხელს იმ პირთ, ვინც თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებით აუნაზღაურებელი მორალური და მატერიალური ზიანი მიაყენა ჩვენს რესპუბლიკას.

გურამ ფანჯიკიძემ აუწყა კრების მონაწილეთ, რომ დავით აღმაშენებლის საზოგადოება და რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტი გამოთქვამს მოსაზრებას, რათა თბილისის ირგვლივ აიკრძალოს მიწების გაცემა, რადგან ამით ეკოლოგიური საფრთხის წინაშე მდგარ დედაქალაქს ოდნავ მაინც შეუმსუბუქდეს მდგომარეობა. მოგეხსენებათ, მოაგარაკეებს არა აქვთ კანალიზაცია და ძალზე ბინძურდება გრუნტის წყლები. გარდა ამისა, უმოწყალოდ იჩეხება ტყეები. და რაც მთავარია, თბილისის ირგვლივ ხდება ქართული მოსახლეობის კონცენტრაცია და ისინი თანდათან კარგავენ ურთიერთობას საქართველოს სხვა კუთხეებთან. ითქვა ისიც, რომ ძალზე ხშირად საბაღე ნაკვეთები იყიდება არაქართველ მოსახლეობაზე, რაც რესპუბლიკის დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებას არ ემსახურება. ამიტომ დაგმობილ უნდა იქნეს მსგავსი პრაქტიკა და თუ მაინცდამაინც დღის წესრიგში დადგება საბაღე მიწის გაყიდვის საკითხი, იგი იგივე ორგანიზაციის წევრს უნდა მიეყიდოს.

გურამ ფანჯიკიძემ ერთი სასიხარულო ცნობაც მიაწოდა დამსწრეთ. მარნეულის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით 188 ახლადშექმნილ ქართულ ოჯახს გამოეყო საკარმიდამო ნაკვეთი.

დროებითი კომისიის სხდომის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა და სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი თენგიზ მახარაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის განყოფილების გამგე ზურაბ გეგეჭკორი, ამავე განყოფილების უფროსი რეფერენტი ზურაბ კობახიძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მიწათსარგებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი გურამ ჩიქვაიძე.

მათ ბევრი სასარგებლო რჩევა მისცეს და სათანადო ინფორმაცია მიაწოდეს კომისიის წევრებს, რომლებსაც, თავის მხრივ ძალზე ბევრი საინტერესო და პრაქტიკული მოსაზრება გამოთქვეს.

სხდომაზე ითქვა, რომ დროებითი კომისიის წევრები უახლოეს მომავალში შეუდგებიან რაიონებში მიწათსარგებლობის წესების დაცვის შემოწმებას.

26 მაისი—ეროვნული ზეიმის დღე

ასე ხდება მუდამ, ხალხი მისხალ-მისხალ წონის ყველაფერს ისტორიის უზუსტეს სასწორზე და ბოლოს თავის მართალ სიტყვას განაცხადებს... თითქოს რაღაც კანონზომიერებაა იმაშიც, რომ აპრილის ტკივილით შეძრულებმა, ცრემლით განბანილებმა, ამდენი ხნის დუმილის შემდეგ პირველად აღვნიშნეთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე — 26 მაისი.

მთელი ღამე ფხიზლობდა თბილისი, ლექსით და სიმღერით შეხვდა ამ სანუკვარი დღის გათენებას. უბედურებამ ბევრი რამ დაგვანახვა, უპირველესად კი, დავრწმუნდით, რომ არა გვაქვს ამაოდ გასანიავებელი ეროვნული ენერგია. თითოეული ჩვენგანის გული, გონება, სიცოცხლე — სამშობლოს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ჭეშმარიტების შეგრძნებამ გააერთიანა 26 მაისს ყველა — დიდი თუ პატარა ყველა ერთნაირად ინაწილებდა 26 მაისის ცრემლნარევი დღესასწაულის მადლს.

თორმეტ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში მიტინგი გახსნა პროფესორმა სოლომონ ხუციშვილმა. უნივერსიტეტის თავზე დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული დროშა აღმართეს.

შემდეგ მიტინგის მონაწილეები ვაკის პარკისკენ გაემართნენ. აქ მიტინგს უძღვებოდა პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი. მიტინგის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ცხრა აპრილს დაღუპულთა ხსოვნას.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე შეკრებილთ მიულოცეს ზვიად გამსახურდიამ, ნოდარ ნათაძემ, მერაბ კოსტავამ, საქართველოს კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა, ზურაბ ქაფიანიძემ, გია ჭანტურიამ, ირაკლი შენგელაიამ, ირაკლი წერეთელმა, მამუკა მეტრეველმა, დავით ტურაშვილმა, საქართველოს რაიონებიდან ზეიმში მონაწილეობის მისაღებად საგანგებოდ ჩამოსულმა დელეგაციებმა, სომეხმა ლენინგრადელმა, ლიტველმა, უკრაინელმა, ბელორუსმა და ინგლისელმა სტუმრებმა.

იმ დღეს ბევრი რამ ითქვა, მაგრამ ყველა ორატორის გამოსვლას ერთი მთავარი აზრი გასდევდა — საქართველოს მომავალი. თავისუფალი საქართველოს მომავალი კი ყველასაგან დაუღალავ შრომას, საქმის დიდი პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით კეთებას მოითხოვს.

ვაკის პარკიდან ხალხი რიყისკენ დაიძრა. კიდევ ერთხელ დახარეს თავი რუსთაველის გამზირზე დაღუპულთა ხსოვნის წინაშე.

საღამოს ხუთ საათზე თბილისის კათედრალურ ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღასრულა პარაკლისი.

ნათია ჯაყელი

მურმან ჩაჩუას ფოტო

მეცნიერება

„ვეფხისტყაოსნის" მხატვრული სივრცე

ხვთისო ზარიძე

1.

„ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა სამოქმედო სივრცე ანარეკლია რეალური გარემოსი, მაგრამ უფრო მეტად მაინც — იმ გაგებისა, შუასაუკუნეებმა რომ მოიძიეს და დაამკვიდრეს ქვეყნიერების რაობისა და მხატვრულად მისი განსახოვნების შესახებ. პოემაში ორივე სივრცე ისეთ ბუნებრივ თავისებურებად მთლიანდება, რომ, ზოგადობასთან ერთად, ინდივიდუალობის ბეჭედიც აზის: იგი რუსთველის ცისქვეშეთია, ქართველი კაცისათვის ჩვეული ბუნების ფერებითა და გარემოს კარგად ნაცნობი სილუეტებით გამოკვეთილი, უპირატესად ეპიური, მაგრამ არც ისე იშვიათად ნათელი ლირიკული უშუალობით ნაგრძნობი და გაცოცხლებული:

„გათენდა ბანად წავიდა მზე,
სოფელს შუქნაკიდები!"

ან

„აგრგვინდა ცა და ღრუბელნი
ცრიდეს ბროლისა ცვარითა".

და სხვა.

ამ სივრცემ დღემდე ბევრი მკვლევარი დააინტერესა (მ. ჯანაშვილი, ალ. სვანიძე, ზ. ავალიშვილი, კ. ჭიჭინაძე, ლ. მარუაშვილი, დ. ქუმსიშვილი, თ. ჩხაიძე, ზ. კუტალეიშვილი...): ზოგი საგანგებოდ სწავლობდა, ზოგმა კი გაკვრით, სხვა საკითხებთან დაკავშირებით მიმართა. მიუხედავად ამისა, რუსთველოლოგიაში იგი მაინც ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ჩანს. ამას თუნდაც მიღებულ დასკვნათა უკიდურესი წინააღმდეგობრიობაც გვიჩვენებს; მაგ. ერთის თუ ქაჯეთის ციხე გიბრალტარის სრუტეში ეგულება, მეორეს სუმატრაზე „აღმოაჩინა". წარუმატებლობის მიზეზი კი ის არის, რომ ეს მკვლევარნი პოემის ქვეყნებში იშვიათი მონდომებით ეძებენ რეალურ სახელმწიფოთა გეოგრაფიულ ნიშნებს, გზებში შუასაუკუნეთა დიდ საქარავნო მარშრუტებს, ზღვებში ბუნებრივ დინებებსა და ზურგის ქარებს, რომელთა ცოდნაზეც თანამედროვე მეცნიერებით მიგვიწვდება ხელი და თავის დროს თითქოს რუსთველისთვისაც ყოფილა ცნობილი. შუასაუკუნეთა მწერლობის მკაცრად განსაზღვრული სპეციფიკის გამო კი შეუძლებელია პოემაში ასეთი რამ მთელი სიცხადითა და კონკრეტულობით ასახულიყო. ამის შესახებ ერთგზის აღინიშნა კიდეც, მაგრამ, იქნებ სპეციალური გამოკვლევის უქონლობის გამო, ყურად არავინ იღო.

შუასაუკუნეთა მოაზროვნეების თვალსაზრისით, რადგან უმაღლესი ჭეშმარიტება მხოლოდ ღვთაებრივი ბუნების განუყოფელი ღირსება იყო, მისი ანარეკლი — ხილული ქვეყნიერება — ვერ იმსახურებდა ზუსტი ასახვის პატივს. მისი ჩვენება, როცა ამის საჭიროება მაინც ჩნდება, მიიღწეოდა უმეტესად პირობითი სქემებით, როგორც ვნახავთ, ამ საკითხში რუსთველის პოემაც თავისი ეპოქის ტრადიციებს იცავს და, ბუნებრივია, მისი მხატვრული სივრცის თავისებურებაც ამ ტრადიციებთან და ლიტერატურულ ნორმებთან მიმართებამ უნდა გამოავლინოს.

„ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟებს იშვიათად ვხედავთ ციხე-დარბაზთა ინტერიერებში. ისინი უფრო გარეთ მოქმედებენ, მიუხედავად ამისა, გარემოს ნაირგვარობისა და თავისებურებისადმი ისინი მაინც უყურადღებონი არიან, იმდენად უყურადღებონი, რომ თითქმის ვერც კი ამჩნევენ მას. მაგალითად, მოგზაურობისას, თუნდაც ერთი ქვეყნიდან მეორემდე, თითქოს უსახო სივრცეში მიდიან, ირგვლივ გარემოს მცირედი თავისებურებითაც კი არ ინტერესდებიან, რომ მის გამო თუნდაც წუთით სადმე შეყოვნდნენ და მიმოიხედონ, თვალი შეასვენონ, ამიტომ მათი მოძრაობა უჩვეულოდ სწრაფია და პირდაპირი:

ავთანდილ იგი მინდორი
ოთხ-ასმით გარდაიარა,
დაავლო ზღვარი არაბთა,
სხვათ ზღვართა ასე იარა. (179).

როდესაც თვალს ვაყოლებთ „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟების ზოგჯერ უეცარ, ზოგჯერ კი უსაშველოდ გრძელ, თუმცა, გარემოსადმი უინტერესო მოგზაურობებს, შეუძლებელია არ მოგვაგონდეს ბავშვობიდანვე ყურმიჩვეული „ბევრი იარა, თუ ცოტა იარა"... მართლაც. ზღაპრის გმირებიც ხომ ასეთივე სიმსუბუქითა და გარემოს განუცდელად გადიან უკიდეგანო ველებს, გადალახავენ მთებსა და ხეობებს, უკან იტოვებენ გაუვალ უფსკრულებსა და ტყეებს, გადახურავენ ზღვებს, უკავშირდებიან და ეთხოვებიან ადამიანებს:

უცხო, უცხოთა ადგილთა
საძებრად იარებოდა,
მგზავრთა ჰკითხავდა, ამბავთა,
მათ-თანა ემოყვრებოდა (181)—

მოგვითხრობს ტარიელის კვალს გადევნებული ავთანდილის შესახებ რუსთველი. ამ ყარიბობაში „ვეფხისტყაოსნის" რაინდებსაც ზღაპრების გმირებივით ცარგვალი მქცევიათ სახლად, ხოლო „ქვეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისად" (182,659,949). ასეთნაირად ავთანდილმა „ყოვლი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა, ასრე რომე ცისა ქვეშე არა დარჩა არე არა" (183); დ. ლიხაჩოვის დაკვირვებით სწორედ ზღაპრების დამახასიათებელი ნიშნებია მატერიალური სამყაროს მსგავსი ნაკლებწინააღმდეგობრიობა და სივრცის „ზეგამტარიანობა". ამასვე უნდა ვუდასტურებდნენ „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა მოგზაურობის სიმსუბუქისა და სისწრაფის მაჩვენებელი თითქმის ფორმულებად ქცეული გამოთქმანიც: „შამბი შიგან გაირბინა" (172), „იგი ველი გაირბინა" (178), „ლომმან მივმართე ხატაეთს" (428), „დავაგდე ზღვარი ინდოთა" (424) და სხვანი; ასეთი სწრაფი მოძრაობის ახსნას რუსთველი თუ სადმე ცდილობს, ისევ ჯადოსნური, ე. ი. ზღაპრული ელემენტის მოშველიებით ცდილობს.

გულგრილობა გარემოსადმი, ცხადია, აქ იმით ვერ აიხსნება, რომ მათ საკუთარ უმძიმეს განცდათა გამო არ ძალუძთ მისი ჭვრეტა, მსგავსად აბრაამისა, როცა შვილი მიჰყავს ღვთისგან მინიშნებულ ადგილზე შესაწირად. ცხადია არა, რუსთველის სტილისთვის ესაა დამახასიათებელი, როგორც ეპოქის ნიშანი. ამ პერიოდის ადამიანი ბუნებას ვერ ამჩნევს მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან ჯერ მთლიანად ვერ განცალკევებულა. თავს უფრო მის ნაწილად მოიაზრებს და ვერ უმზერს შორიდან. ამისათვის დისტანცია იყო აუცილებელი (ა. გურევიჩი).

რუსთველი, როგორც წესი, ამ „ცისა ქვეშე" განფენილი სამყაროს თითქოსდა გამორჩეული თავისებურებით მხოლოდ მაშინ ინტერესდება, როცა მისი პერსონაჟები იმ ადგილს აღწევენ, სადაც სიუჟეტით რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოხდეს. აი მაგ., როგორ აღწერს ტარიელის გამოქვაბულის შემოგარენს იგი:

დღისით ვლეს და საღამო-ჟამ
გამოუჩნდეს დიდი ცლდენი,
კლდესა შიგან ქვაბნი იყვნეს,
ძირსა წყალი ჩანადენი,
ზე დიდრონი, თვალუწვდომი,
მაღლა კლდემდის ანაყრდენი.
(220)

მსგავსი სიცხადით დანახული ადგილები რუსთველის პოემაში საკმაოა; ასეთ გარემოში, ბუნებრივია, მოძრაობა ნელდება, და ზღვარს მონატრებული თვალიც ისვენებს, მაგრამ ამ პრინციპს, ე. ი. გარემოს ჩვენების ასეთ მანერას, რუსთველი ბოლომდე თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ ინარჩუნებს. პირიქით, აღწერილს საბოლოოდ მაინც ისეთ ფონს უქმნის, ან ისეთ ინტერპრეტაციას უძებნის, რომ ყოველივე, თუნდაც მკაფიოსა და ზედმიწევნით ცხადს, ისევ ზღაპრულ-ფანტასტიკური იერი ეძლევა:

ესე ქვაბნი უდაბურნი, ვპოვენ,
დევთა შეეკაფნეს,
შემოვები, ამოვწყვიდენ, კოლა
ვერას ვერ მეხაფნეს — (657).

უამბობს ტარიელი თავის სადგომის შესახებ ავთანდილს და ამ მონათხრობით თანდათან ისევ ზღაპრული პირობითობის ბურუსში ეხვევა გარემო. თურმე გამოქვაბულში ორმოცი ოთახი იყო. ერთ მათგანში აღმოჩნდა „რიყე თვალისა, რომელშიც აქა-იქ ბრწყინავდნენ უშველებელი მარგალიტები, „ოდენი ბურთისა საბურთალისა". (1366). სხვა კარს მიღმა კი, ბოლოს დევთა ზარადხანა რომ გამოდგა, აბჯარ-საჭურველი „ასრე იდგა, ვითა მწნილი" (1367). იქვე ერთ კიდობანს კი

ზედა ეწერა: აქა ძეს აბჯარი
საკვირველი,
ჯაჭვ-მუზარადი, ალმასი, ხრმალი
ბასრისა, მჭრელითა,
თუ ქაჯნი დევთა შეებნეს, იყოს
დღე იგი ძნელი!
უმისჯამისოდ ვინც გახსნის,
არის მეფეთა მკვლელი. (1368)

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ რეალურისა და ფანტასტიკურის ერთიმეორეში ასეთი ძალდაუტანებელი გადასვლა შუასაუკუნეთა მწერლობის მუდმივი ნიშანია. ამიტომ გარემოს, ზოგადად სივრცის ზოგი კომპონენტი თუ ნატურალური სიზუსტით ინაკვთება, იგი მთლიანობაში მაინც ზღაპრული რჩება. რუსთველის განხილული სტრიქონებიც ხომ ამ პრინციპის უცხადესი დადასტურებაა. ასეთივეა მსჯელობა ქაჯებზეც; მათი ჩვენებისას პოეტს არარეალური, ფანტასტიკური ისე იტაცებს, რომ ბოლოს საგანგებო მტკიცება უხდება მონათხრობისათვის სარწმუნო იერის შესანარჩუნებლად:

არ ქაჯნია, კაცნიაო, მიჰნდობიან
კლდესა სალსა'... (1246).

როგორც ზევით ითქვა, ასახვის ამ სახეს სამყაროს შუასაუკუნეობრივი გაგება განაპირობებდა. ცხადია, მასვე ემყარებოდა გარემოს ჩვენების პირობითობაც; მიუთითებენ, რომ ამის გამო შუასაუკუნეთა სარაინდო რომანებში სივრცის განსახოვნებისას ძალზე ხშირად ვაწყდებით ე. წ. „კლიშეებს": იდეალურ ტყეს, ბაღსა და მუდმივ გაზაფხულს; ამ თხზულებათა პერსონაჟები ზოგჯერ ხვდებიან ისეთ ადგილებში, სადაც „ზამთარსა და ზაფხულში ყვავიან ყვავილნი და ნაყოფს ისხამენ ხეები, არაფერი იციან დროთა ცვალებადობის შესახებ და მარადიულ დროში ცხოვრობენ". ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გაგვახსენდეს „ვეფხისტყაოსნის" მარადყვავილოვანი გულანშაროც:

ზღვა გაიარა ავთანდილ, მივა
ტანითა მჭევრითა,
ნახეს ქალაქი, მოცვული, გარე
ბაღისა' ტევრითა,
გვარად უცხონი ყვავილნი
ფერითა ბევრის-ბევრითა (1061).

ამ ქალაქის ბაღების ყვავილოვანი წალკოტების მოლივლივე გამა გაუმკრთალი იყო წლის ოთხივე დროში: „ზამთარ და ზაფხულ სწორედ გვაქვს ყვავილი ფერად-ფერებით" (1066), მოუთხრობს უსენისა და ფატმანის მეხალე ავთანდილს, როცა გულანშაროს მიმზიდველობას უხასიათებს. მაშასადამე, აქაც საქმე გვაქვს შუასაუკუნეთა მწერლობაში მიღებულ ზემოხსენებულ „კლიშესთან" და არაფერ შუაშია ეკვატორული წყლების კუნძული სუმატრა და მის სამხრეთით მდებარე ქალაქი პალემბანგი;

რუსთველის მიდრეკილება ასეთი „კლიშეებისადმი" აშკარაა და ცხადი. მისი ტყე, ზღვა, შამბნარი თუ სხვა კლდიან-ჩალიანი სანახები, გარემოს, სივრცის პირობითი ნიშნებია და არამცდაარამც მისი რეალურ-ინდივიდუალობის დამადასტურებელი, სხვათაგან გამოსარჩევი ხატებანი. ასეთი პირობითობა, როგორი უცნაური და მოულოდნელიც არ უნდა მოგვეჩვენოს, ვრცელდება „ვეფხისტყაოსნის" ქვეყნებზედაც. ამის გამოა, რომ ყოვლად ერთნაირებია რუსთველისაგან აღწერილი სახელმწიფოების გეოგრაფიული ლანდშაფტები და ციხე-ქალაქები. საზოგადოების სოციალური ფორმები და ურთიერთობანი, ჩვეულებანი, ეს კი თავის მხრივ განაპირობებს იმას, რომ რუსთველის ცისქვეშეთში ერთიმეორისაგან ვერაფრით გამოარჩევ ინდოეთსა და არაბეთს, ხატაეთსა და მულღაზანზარს... რუსთველს მათი ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნის ძიება, უბრალოდ, აზრადაც კი არ მოსდის, მას ამის მოთხოვნა არ უჩნდება, და ეს ბუნებრივიც არის შუასაუკუნეთა მწერლობისათვის.

პერსონაჟთა სამოქმედოდ რუსთველს ესაჭიროებოდა დიდი სივრცე და მან იგი მოიაზრა; აი, რას წერს ბახტინი მსგავსი შემთხვევების შესახებ ბერძნული ავანტიურული რომანების მაგალითზე: „ამ რომანების სამყარო დიდია და სხვადასხვაგვარი, მაგრამ სიდიდეც და სხვადასხვაობაც აბსოლუტურად აბსტრაქტულია. გაქცევისათვის აუცილებელია გასვლა სხვა სახელმწიფოში, გამტაცებლებსაც უხათუოდ სჭირდებათ თავიანთი მსხვერპლის სხვა ქვეყნებში წაყვანა, მაგრამ როგორი იქნება ეს სხვა ქვეყანა, აბსოლუტურად სულ ერთია. ბერძნული რომანის მოვლენებს არა აქვთ არავითარი არსებითი კავშირი ცალკეული ქვეყნების თავისებურებებთან". ცხადია, ასეა „ვეფხისტყაოსანშიც".

შუასაუკუნეთა ადამიანისთვისაც, წერს დ. ლიხაჩოვი, სამყარო წარმოადგენს ერთიან სივრცობრივ სქემას, ყოვლისმომცველსა და დაუნაწევრებელს, თითქოს უმანძილოს პუნქტთა შორის, რომელთაც თავისებური არაფერი არ მოეპოვებათ. სივრცის ასეთ უკიდეგანობაში „ადგილთა მინიშნება საჭირო ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი აუცილებელია პერსონაჟთა ორიენტაციისათვის, თავის მხრივ განმარტავს ა. გურევიჩი. ძნელია ფაქტებისადმი დაპირისპირება, ყველაფერი ასევეა „ვეფხისტყაოსანშიც" რუსთველის სამყაროს ქვეყნები მხოლოდ სახელებით არიან განცალკევებულნი ერთიმეორისაგან, რეალურად კი არაფრით სხვაობენ; ამიტომ დღევანდელი ლიტმცოდნეობისათვის უსერხულია „ვეფხისტყაოსნის" ტექსტზე დაყრდნობით რეალური ინდოეთისა თუ არაბეთის გეოგრაფიულ კოორდინატებსა და ლანდშაფტზე ფიქრი.

2.

„ვეფხისტყაოსნის" „მხატვრული სივრცის პირობითობის არსსა და თავისებურებაში ბოლომდე გარკვევის მიზნით საჭიროა ზოგი მისი კომპონენტის უფრო დაწვრილებითი ანალიზი. კერძოდ, მრავლისმეტყველი ჩანს ციხე-ქალაქებისა და მაღლობების რუსთველისეული გააზრება სივრცეში, მათი მხატვრული ფუნქცია სივრცის კონკრეტული მოდელის აღნაგობაში.

ავთანდილს არაბთა მეფის სატახტოდან ოცი დღის სავალზე ეფუძნა თავისი სამემკვიდრო სიმაგრე; რუსთველი წერს:

ქალაქი ჰქონდა მაგარი
საზღვრად სანაპიროსა,
გარე კლდე იყო, გიამბობ,
ზღუდესა უქვიტკიროსა.
(150)

ამ ნაგებობას, ბუნებრივი ზღუდით რომ ყოფილა მიუკარებელი და შეუვალი, არაბთა ქვეყნის დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის უნდა ედევნებინა თვალ-ყური, დაეცვა მათი ხელყოფისაგან ქვეყნის განაპირა მხარეები. კლდით შემოზღუდული, ცხადია, კლდეზევე ეფუძნა, რომ მიმდებარე სანახებისთვის თვალმისაწვდომზე გაეწია კონტროლი. ასეთი მდებარეობის გამო შორიდან ცად ასვეტილი უნდა გამოჩენილიყო იგი.

საგულისხმოა, რომ სივრცეში გახვლით, მდებარეობითა და სილუეტით თითქმის ასეთივეა ტარიელის რეზიდენციაც ინდოეთში. ეს იყო „მაგარი, მტერთაგან მოურევარი" (562), ციხე, რომელსაც ხელით ნაგები ზღუდე იცავდა მინდვრის მხრიდან: „მას ზღუდესა გარდავადგე, მინდორთაკე რომე ჯავე" (570), მოგვითხრობს ტარიელი. ქაჯთა ქალაქის აუღებლობის შემწეც „გარე კლდე იყო" (1390) და მტერი ამიტომ შეუმჩნევლად ვერსაით ეკარებოდა; სიმაღლით კი თითქმის ღრუბლებს ხვდა.

ციხეს ვზი ეზომ მაღალსა,
თვალნი ძლივს გარდასწვდებიანო, (300), იწერებოდა ამ ციხიდან ნესტანი. პირდაპირ არ არის ნათქვამი, მაგრამ მინიშნებულია, რომ კლდეში ნაკვეთი, თუ კლდეზე ფუძედამყარებული უნდა ყოფილიყო ფრიდონის ქალაქიც, როცა ტარიელი ფრიდონთან შეხვედრას იგონებს, ასე ახასიათებს მისი სამყოფის მისადგომებს:

ღამით მევლო, ძოვიდოდი,
ზღვისა პირსა ჩინდეს ბაღნი,
ჰგვანდეს ქალაქს, ვებლენით,
ცალკერძ იყვნეს კლდისა
ნაღნი. (594)

მაღალ კლდეზე იდგა და ზღვას გადაჰყურებდა ფატმანის სასახლეც:

მაღალნი, ყოვლგნით მხედველნი, ზღვას ზედა წაკიდებულნი.
(1126)

ციხენ მისი ლტოლვა კიდევ უფრო შესაგრძნები ხდება, როცა ზღვის დაბალი სანაპიროდან ნესტანის სილამაზის შუქი მიადგება:

„რა მობრუნდა ქალი ჩემკე, შემოადგეს სხივნი კლდესა", (1132)

საოცარ სილუეტს შემოიწერს იგი ამ უცნაურ შუქზე. ამ ციხე-ქალაქთა მდებარეობა სივრცეში აქცენტირების მეშვეობით მშვენივრად გამოკვეთს „ვეფხისტყაოსნის" ქვეყნების რელიეფს. ისი მთაგორიანია, კლდოვან კორტოხებზე თითქმის ყველგან ციხე-ქალაქები წამომართულან. მაღალ კლდეებში ჩანს გამოქვაბულებიც. (861,945). განსხვავდებიან „ვეფხისტყაოსნის" ქვეყნები ამ ქალაქებით ერთიმეორისაგან? არა, არ განსხვავდებიან! პირიქით, ამ სახელმწიფოთა სივრცის ერთნაირობას გვიჩვენებენ ისინი.

გულისხმიერი კაცი უკვე მიხვდება, სით იხრება მსჯელობა, მაგრამ იმასაც შეამჩნევდა, რომ ფაქტები გვიხმობენ იქით. მართლაც, თითქოს ნათელია, რომ „ვეფხისტყაოსნის" უვრცესი სამყაროს ერთნაირობას რუსთველის მშობლიური ქვეყნის სილუეტი დაუფლებია, მაგრამ გადამწყვეტი დასკვნებისაგან ჯერ მაინც თავი უნდა შევიკავოთ. ამისათვის მეტი საბუთია საჭირო, რუსთველამდელიცა და მოგვიანოც, ლიტერატურულიცა და ისტორიულიც, გასათვალისწინებელია ძველთაძველი ნაგებობანიც, დღესაც იგივე სიჯიუტით რომ აუკრეფიათ მიმდებარე სანახებზე და გადმოგვყურებენ როგორც დიდი წარსულის მუნჯი მოწმენი.

მაშ, ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცით, რომ „ვეფხისტყაოსნის" ყველა ქვეყანაში ნაგებობათა საერთო ნიშანი ბუნებრივი მიუვალობა და გარემოზე კონტროლი ყოფილა. ასეთი ტენდენცია კი გ. ჩუბინაშვილის აზრით, ქართულ არქიტექტურაში ადრევე გამჟღავნებულა. იგი თავიდან თუ ფარულად მჟღავნდებოდა მატანში, ძველ შუამთაში, ნეკრესსა და სხვაგან, მკაფიო სისრულისათვის მცხეთის ჯვრის არქიტექტონიკაში მიუღწევია. ეს კი მეშვიდე საუკუნის დასაწყისია, უფრო კი მეექვსის ბოლო, რადგან მაშინ ეყრება საფუძველი ტაძარს და მეშვიდეში განესრულება. დაწყება კი მისი სრული და მკაფიო სახის როგორობის ცოდნასაც ნიშნავს.

ერთგზის უკვე საშუალება გვქონდა აღგვენიშნა, რომ ამ ცხად ტენდენციას, როგორც ჩვენი ერის ყოფიდან ამოზრდილსა და განვითარებულს, კარგად იცნობდა ძველი ქართული ჰაგიოგრაფიაც, მწერლობა, რომლისთვისაც აღწერილი ფაქტის უტყუარობა კანონი იყო. მაშინ ის ერთადერთ ფაქტად მიგვაჩნდა, ახლა კი სხვაც აღმოჩნდა. თხრობა რომ მომაბეზრებელი არ გახდეს, მოკლედ ვიტყვი, გრიგოლ ხანძთელმა „დიდთა მთათა შინა მაღალთა" მოიძია ადგილი და იქ დააფუძნა თავისი ეკლესია. იგი ერთკერძო მთებით იყო მიუვალი და შემოზღუდული, მეორედან კი შავშეთის წყალთა შესაკრებელი იცავდა. ამ მონასტრის უპირატეს ღირსებად თვითონ ხანძთელს სწორედ მისი ას-

(დასასრული მე-4 გვ.)

(დასასრული)

ეთი მდებარეობა მიაჩნდა. მიმდებარე ხანაზებიდან ასევე სიმაღლით გამორჩეული და „ყოველგნით მხედველი" ადგილი უნდოდა თავისი მონასტრისათვის სერაპიონ ზარზმელსაც. ამიტომ შეჩერდა ბერახ-ჯუარას და ნაგებობისათვის მთა აირჩია, რომელიც იყო „ვითარცა სიმაღლესა ცისასა აღძრული" მაგრამ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აქ მშენებლობა არ დაანებეს. აქედან განდევნილმა ძიება განაგრძო და მანამ არ მოისვენა, სანამ ჩორჩანელის მამულში არ იპოვა „ისევ ბორცჳ მცირე, უმაღლესი სხუათა მათ ადგილთა" სადაც საწადელი აისრულა კიდეც. რა უნდა ვუწოდოთ ასეთ დაუცხრომელ მისწრაფებას, თუ არა ეროვნული ფესვის ძალისხმევა და შინაგანი მოწოდება. განა მართალს არა ბრძანებდა ვახუშტი ბატონიშვილი, როცა წერდა: ჩვენში „არა არიან ბორცჳნი, ანუ გორანი რომელსა ზედა არა იყოს 'შენნი ეკლესიანი წმინდისა გიორგისნი" მაგრამ მარტო ეკლესიანი? დიდი ისტორიკოსი მრავალს აღგვიწერს ჩვენში ისეთ ციხეებსაც, რომელთა მდებარეობა „ვეფხისტყაოსნით" ნაჩვენებ ციხე-ქალაქებისას ემსგავსება კიდეც. მაგალითად, „ციხე ბერდუჯისა მდგარა „მაღალსა კლდესა ზედა, ფრიად მაგარსა", შეადარეთ „ვეფხისტყაოსნიდან": „ქალაქი მქონდა მაგარი"... ლექსიკითაც იგივეა თითქმის. ასეთივე ყოფილა „ციხე ბერიქალისა, კლდესა ზედა, კლდითვე მოზღუდვილი, შეუვალსა და მაგარსა ალაგსა"... მსგავსია ქაჯეთის ციხისა. მაღლობებიდანვე ეშფლებოდნენ წილხვედრ სივრცეს ქუშის ციხე, შურის ციხე, ლუკა მახარობლის ეკლესია და სხვანი. მაგრამ ყველაფრის ძველი წყაროებიდან ამოწერა რად გვინდა, აბა გავხედ-გამოვხედოთ ჩვენი მრავალტანჯული მამულის სივრცე-ხანაზებს, ვახუშტის თვალით ანაზომნიცა და სხვანიც დღესაც ხომ ნირშეუცვლელნი გადმოგვყურებენ მაღლობებიდან?!

რუსთველი ასეთ ციხე-ქალაქებში იზრდებოდა, ხშირადაც მიმოდიოდა მათ შორის და ბუნებრივია, რაც სიყრმითვე ალიქვა და თავისად აქცია, იგივე წარმოიდგინა სამყაროს მოდელად. მიკერძოებად ნურავინ ჩამითვლის ნუ აჩქარდება; ასეთი რამ მარტო „ვეფხისტყაოსანში" კი არა, შუასაუკუნეთა სხვა ქვეყნების მწერალთა მხატვრულ სიტყვაშიც უამრავჯერ გაცხადებულა. მაშინ სხვაგვარად ვერც წარმოედგინათ; აი, რას წერს ლიტერატურაში ამგვარი ტენდენციის შესახებ გურევიჩი თავის „შუასაუკუნეთა კულტურის კატეგორიებში": „შუასაუკუნეებში სამყარო არ წარმოადგენდა მრავალფეროვან სხვადასხვაობას. ადამიანი მიდრეკილი იყო მის შესახებ ემსჯელა თავისი პატარა, ვიწრო სამყაროს მიხედვით". ამ ეპოქის „მხატვარს, მოქანდაკეს, სარაინდო რომანის ავტორსა და ისტორიკოსს სრულიადაც არ აღელვებს, რომ სხვა ეპოქებისა და განსხვავებული ქვეყნების ჩვეულებანი, მორალი, ბუნება, ჩაცმულობა, ნაგებობანი, ყოფა, არ იყო ისეთი, როგორიც მის სამშობლოში და მის დროს". გარემოს ყველა ქვეყნისას ხატავდა ისეთს, როგორსაც თავისი ციხესიმაგრისა თუ მონასტრის გადასახედიდან აღიქვამდა. გურევიჩისავე მოწმობით, ამის გამო ერთ მკვლევარს ასე მოხდენილად შეუნიშნავს კიდეც შუასაუკუნეთა მოაზროვნეებისა და მხატვართა შესახებ: „ისინი იყვნენ დიდი პროვინციელები, რადგან არ შეეძლოთ გაცილებოდნენ შეზღუდულ მასშტაბებს და ამაღლებულიყვნენ თვალსაწიერზე, რომელიც იშლებოდა მათი საკუთარი სამრეკლოდან. ამიტომ სამყარო მათთვის იყო ხან მონასტერი, ხან სამრეკლო, ხან კი ქალაქის თემი, ან უნივერსიტეტი", ე. ი. სადაც უხდებოდა ცხოვრება შემოქმედს.

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡᲐ" ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲛᲐᲪ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲔᲓᲘ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲧᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲔᲑᲡ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲧᲝ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲐ ᲘᲒᲘ. ᲐᲘ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲪᲘᲮᲔ-ᲙᲝᲨᲙᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘ, ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲝᲑᲐᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲧᲝᲤᲐᲨᲘ, ᲠᲐᲘᲜᲓᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ Ა. Შ.

3.

„ვეფხისტყაოსნის" მხატვრული სივრცის თავისებურებების ამ უმთავრეს კომპონენტს სხვაც არანაკლებ მნიშვნელოვანი აკავშირებს ქართულ სამყაროსთან. მხედველობაში მაქვს ციხე-ქალაქების სივრცეში ბუნებრივი მოთავსების მხატვრულ-ესთეტიკურ ფაქტად ქცევა. რუსთაველი დიდი პოეტური ოსტატობით ათვალსაჩინოებს თითოეულ მათგანს და სამუდამოდ გვამახსოვრებს სივრცეში შემოწერილი სილუეტებით. ასეთ რამეს კი, როგორც ზევითაც ითქვა, ქართულმა მხატვრულმა აზროვნებამ ადრევე აუღო ალღო. ჯვრის არქიტექტორმაო, წერდა ხელოვნებაში აღნიშნულ პრინციპთა თავჩენის შესახებ გ. ჩუბინაშვილი, იმ გადაწყვეტილებით, რომ შენობა გაბედულად აეგო სწორედ კლდის ნაპირს, შექმნა მახვილად მოხაზული სილუეტი, უცებ რადიკალურად გამოსახა, განსაზღვრულად ჩამოაყალიბა ქართული ხუროთმოძღვრების ის საერთო ტენდენცია, რომლის თანახმად დასახელებულ ადგილებს გარეთ აგებული ტაძრები მაღალ, გამორჩენილ, შორიდან დასანახ ადგილებზე შენდებოდა.

ფრიად საგულისხმოა, რომ ხუროთმოძღვრების გარდა ამ ტენდენციის დინამიკა ქართულმა ჰაგიოგრაფიამაც იმთავითვე სრულიად ბუნებრივად დააფიქსირა, ჩვენი ერის ყოფიდან ამოზრდილი და ხალხის შეგნებაში გამოტარებული, თავისადაც ჩათვალა. აქედანაა, რომ X საუკუნის პირველი ნახევრის ჰაგიოგრაფმა ბასილი ზარზმელმა იგი არა თუ გაიაზრა, თავისებურადაც დაასაბუთა კიდეც. ყურადღებით განიხილა და წარმოაჩინა მისი ესთეტიკური ღირებულება.

ბასილი ზარზმელის თხრობით, გიორგი ჩორჩანელმა, როცა გაიგო თავის მამულში ბერების გამოჩენის მიზანი და შემდეგ სერაპიონისაგან სამონასტროდ არჩეულ ადგილსაც გადაჰკრა თვალი, ადგილის მიუვალობით ფრიად გაოცებულმა ჰკითხა ბერთა წინამძღვარს: „ეგებისა ესე, მამო, რაჲთა კაცმან ნეფსით თავი ჰირთა მისცეს და უკანასკნელ მოკიცხულ და მაშურალ იპოოს ცუდად?". ყოვლად ულონოდ ჩანხართ აქ მშენებლობისათვის და რადგან ღმერთს ჩემთან მოუვლინებიხართ, ჩემს გარეშე ეს საქმე, ცხადია, არ გაკეთდება, ამიტომ ამოირჩიეთ მშენებლობისათვის უფრო მარჯვე ადგილი და შემწეობა ჩემზე იყოს, აქ კი მე რა და როგორ უნდა გაგიხერხოთო.

სერაპიონმა ეს მოისმინა თუ არა, უმალვე მიხვდა, რომ ნებიერი ფეოდალი, ახლაც სანადიროდ რომ იყო გამოსული, მხოლოდ უტილიტარული თვალსაზრისით განიხილავდა გარემოს და შეეცადა თავისებურად, მაგრამ როგორმე გასაგებად აეხსნა მისთვის სამონასტრედ ამ მაღლობის და მართლაც ყოვლად ულევი ადგილის უპირატესობა ადვილად მისადგომ ვაკესთან, „გონიერად ისმინე, ჰოი მთავარო იგავი ესე, რამეთუ: მარგალიტნი და თუალნი პატიოსანნი მიმოგაბნეულ რაჲ იყვნენ თანაღრევით მიწასა, არა ესრეთ ბრწყინვენ წინაშე თვალებსა ხილვის-მოყვარეთასა, ვითარ იგი რაჟამს გამოიხურვნენ და განწმდენ და ოქროთიხზულებით შეიწყვნენ კეთილთა მიერ მჭედელთა, მაშინღა გამოჩნდეს ბრწყინვალება მათი და იქმს მუშაკი და შვენიერება მათი. აგრეთვე ადგილი ესე: რაჟამს ხელყონ ხელოვანთა მუშაკთა, მაშინ იხილოს თუალმან მხილველთამან შუენიერება ადგილისა ამის".

სერაპიონ ზარზმელი, როგორც გარკვეულია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, ხუროთმოძღვარი და დამპროექტებელი იყო. ამიტომ, მისი თვალსაზრისის ბასილისეული გადმოცემა ნაგებობათა და ბუნების დაკავშირებაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მართლაც, „იგავი ცხადყოფს, რომ სერაპიონი შერჩეულ ადგილს ხელოვანი კაცის პოზიციებიდან უდგება და ჩორჩანელივით სულაც არ აფიქრებს, რომ „ყოვლითურთ უქმ და ულევაჲ არს" იგი, მან, ბასილის სიტყვით, საქმე უკვე განსჯილი აქვს „გონებათა ფრთხილითა" და კარგად ხედავს, რომ ამ ხანაზებს თუ კი გონივრულად შეეხება ხელი „ხელოვანთა მუშაკთა", ოქროწნულში ჩასმული მარგალიტის მიმზიდველობას შეიძენს და მხილველთა თვალსა და გულს დაატკბობს.

საბოლოოდ კი სერაპიონის წარმოდგენილ თვალსაზრისს მთლიანად ასეთი ფორმულირება შეიძლება მიეცეს: ადგილმდებარეობის, რომელიც იქნება „სიმაღლესა ცისასა აღძრულნი", ან „უმაღლესი სხუათა მათ ადგილთა", ერთი შეხედვით იგი თუნდაც ულევაჲ და უდაბური იყოს, „ხელოვანთა მუშაკთაგან" გეგმაზომიერი გარდაქმნა აქცევს ხელოვნების ჭეშმარიტი არსის შემცნობთა დაფასებისა და ინტერესის საგნად, მხატვრულ გარემოდ. შიგ ორგანულად ჩართულ ნაგებობასთან მიმართებით.

რუსთაველი, ცხადია, ბასილი ზარზმელის მსგავსად თეორიულ თვალსაზრისს არ გვთავაზობს ბუნებაში ნაგებობათა ორგანულად „ჩაწერის" შესახებ, მაგრამ გვიჩვენებს ბუნებისა და ნაგებობების კომპონირების ისეთ სურათებს, რომელთა ესთეტიკური ღირებულებაც თავისთავად მეტყველებს მის დამოკიდებულებას ზემოთქმულისადმი.

ავთანდილის ციხექალაქზე საუბრისას უკვე მივანიშნეთ, რომ ეს ნაგებობა თავისი მდებარეობითა და არქიტექტონიკით ზარდამცემი იყო თვალსაწიერზე. ამ შესაძლებლობას იგი, ცხადია, თავისი სივრცის ფუნქციური დაქვემდებარებით იძენდა. ადგილის შერჩევით ქცეული იყო ისეთ აქცენტად, რომელიც ჰორიზონტამდე იკრებდა ხანაზებს და მისი ხასიათის განმსაზღვრელი ხდებოდა. ქმნიდა თავისი სივრცის მკაფიოდ ინდივიდუალურ სახეს, რითაც გამოაცალკევებდა დანარჩენისაგან, თავის სახელს არქმევდა, ე. ი. გარემოს დასრულებულ მხატვრულ მთლიანობად გარდაქმნიდა.

ასეთი მკაფიო, თავისი სივრცის მაორგანიზებელი და განმსაზღვრელი იყო ტარიელის ქალაქიც. თავიდან თითქოს ვერც კი ვხედავთ, როგორ განაგებდა იგი მიმდებარე ხანაზებს, შემდეგ კი, თანდათან ბუნებრივად შემოიწერს საკუთარ სილუეტს და მთელი დიდებულებით გამოიკვეთება.

როცა ტარიელმა სახიძო—ხვარაზმშას ძე მოკლა, მდევარი მოიგერია და საკუთარ ციტადელში გამაგრდა, ეს იყო „მაგარი, მტერთაგან მოურევარი" ციხე, მინდვრის მხრიდან ხელოვნურად ნაგები ზღუდით თვალსაწიერზე მოდარაჯე და თავისი ხასიათითაც უფრო აქედან წასაკითხი. მისი ქონგურებიდან გაშლილ სივრცეში შენიშნა ტარიელმა მეორე დღეს შორს მომავალი ორი ქვეითი. გულმა რაღაც ცუდი უგრძნო და ამაში დარწმუნდა კიდეც, როცა მოახლოებულებში შეიცნო „თავ-გაგლეჯილი ასმათი, პირსა სისხლ-ჩამომდინარე" (571), მაშასადამე, ეს სივრცე, რომელშიც მიმდინარე მოვლენას ვუთვალთვალებთ, ამ ციხისაა, მისი მხატვრული მთლიანობის შემადგენელია, ხოლო თვით ციხე — ამ მთლიანობის კომპოზიციური ცენტრი.

ასეთი ციხე-ქალაქი უმეტესად შორიდან მოჩანს, ან გარკვეული მანძილიდან უეცრად აისვეტება შენს თვალწინ და შეგაჩერებს, წინ ბიჯის გადადგმის უფლებას არა და არ მოგცემს. ასეთია, მაგ., ქაჯეთის ციხე:

მივიდეს, აჩნდა ქალაქი,
მცველთა ვერ დასთვალვიდიან,
გარე კლდე იყო, გუშაგთა ხმა
ჯარვით გაადიდიან. (1390).

იგი ამ მომნუსხველი შეუვალობისაგანაც გახდა ტარიელისათვის იმ სტრატეგიული გეგმის შთამაგონებელი, რომლითაც ძმადნაფიცებმა შელეწეს კიდეც.

უკვე ითქვა, რომ „ვეფხისტყაოსანში" მარტო საომარი კი არა, საცხოვრებელი ნაგებობანიც კი სივრცის ასეთივე დომინანტებია, მის ფუნქციურ დაქვემდებარებას მიელტვიან. მაგ., ფატმანის სამეფოში, სადაც ხმლისა და რაინდობის კულტი არად ფასობს, ნაგებობა მაინც გარემოს შემომკრებ აქცენტად გააზრებია რუსთველს, ფატმანის სასახლის სარკმლები ზღვის ჰორიზონტს აქცევენ საზღვრად სივრცისა, რომელსაც დაუფლებია იგი:

იქ ბაღსა შიგან ტურფანი
სახლნი, ნატიფად გებულნი,
მაღალნი, ყოვლგნით მხედველნი,
ზღვას ზედა წაკიდებულნი (1126).

ნებიერ ფატმანს ამ „ზღვას ზედა წაკიდებული" სახლის სარკმლებიდან გადაშლილი სივრცის მზერით არაერთხელ გაუქარვებია კაეშანი.

როგორც ითქვა, რუსთველი ამ შემთხვევაშიც თავისი ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევათა არეალში ტრიალებს. იგი გარემოსთან ნაგებობათა მხატვრულ-ფუნქციურ კავშირს არა თუ ამჩნევს, მკაფიოდ გამოკვეთს კიდეც, ერთიანობაშიც წარმოგვიდგენს, როგორც ესთეტიკურად მომნუსხველსა და ცხადს. მხატვრულად დასრულებულსა და მკაფიოს.

ᲐᲘ, ᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲐᲗᲐᲒᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲕᲡᲔᲑᲔᲜ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲝᲔᲛᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲡ ᲒᲐᲜᲤᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐᲡ, ᲮᲓᲘᲐᲜ ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲖᲣᲐᲚᲣᲠᲡ.

4.

როდესაც გავცქერით ციხე-ქალაქთა ქონგურებიდან დანახული ჰორიზონტებით შეკრულ ამ სივრცეს და თვალს ვაყოლებთ მასში პოემის გმირების მოძრაობას, მისი თავისებურებების კიდევ ერთი ელემენტი შემოდის ხედვის არეში. ეს არის მაღლობები.

პოემის პერსონაჟები, როგორც წესი, მაღლობებიდან უმზერენ და მოინიშნავენ გეზს, თვალით ზომავენ გასავლელ მანძილს, ამჩნევენ ერთი-მეორეს... ამიტომ რუსთველი საგანგებო ყურადღებას იჩენს როგორც ამ მაღლობთა დინამიკისა და სივრცესთან მიმართებისადმი, ისე მათზე მდგომთა კავშირისადმი გარემოსთან.

შესაძლებელია, შუასაუკუნეთა მხატვრობის მსგავსად, პერსპექტივა და მასშტაბები აქაც არ შეესაბამებიან ერთმანეთს, მაგრამ ჩვენი საკითხისათვის ამჟამად უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ სივრცისა და პერსონაჟის კავშირის მაორგანიზებელი არის მთა, მაღლობი, საიდანაც კვირის სავალზე ჩანს ყველაფერი. ამ სივრცისა და პერსონაჟის კავშირს რუსთველი უბრალოდ კი არ აფიქსირებს, მთლიანობაში აქცევს, რის ძალითაც სივრცისადმი ადამიანის, ამ შემთხვევაში ავთანდილის, დალირებული დგომა ქმნის: „ზედ წაადგა შეექცევის". ასეთივე ორგანიზებული და მოძრაობით სივრცეში გარდამავალი იყო ფრიდონის პოზიციაც, როცა მან ზღვაში ნავი დალანდა.

სხვა შემთხვევაში პერსონაჟის დგომის ამ დინამიკას მთის დინამიკაც ერწყმის, რითაც უფრო ცოცხლდება და მოძრაობას იწყებს მთელი გარემო:

ზღვასა ზედა წაწურვილსა,
ქედსა რასმე გარდავხედოთ.
(625)

მაშასადამე: „წავხდგომოდი" და „წაწურვილს" ისეთი პოზიციებია, თავისთავადაც მოძრაობას რომ გამოხატავენ.

რუსთველს იმდენად იტაცებს ადამიანისა და სივრცის მსგავსი შეკავშირების აუცილებლობა, რომ ერთ შემთხვევაში ასეთი კონტაქტისათვის გარემოს ხელოვნურადაც კი ქმნის. გავიხსენოთ, ავთანდილი ფრიდონის სამეფოში გამოჩნდა. მულღაზანზარის მეფე ამ დროს ნადირობს. რუსთველმა იცის, რომ ასახვის, სივრცის განაწილების ჩვეული წესით, მკითხველი ფრიდონსაც უნდა ხედავდეს და ავთანდილსაც, რომ მათ შორის კონტაქტის გაჩენა დაიჯეროს, ამიტომ აი როგორ გარემოს ქმნის:

მინდორსა შუა გორი დგა,
ფრიდონ მას ზედა დგებოდა;
ღირსი მას-თანა სროლასა
ორმოცი კაცი ჰხლებოდა;
მუნ დაემართა ავთანდილ,
მას თანა ყოლბი ჰყვებოდა,
ფრიდონს უკვირდა: „რა ქნესო",
მისთა სპათათვის წყრებოდა.
(982)

სხვა ეპიზოდების განხილვისაგან თავს შევიკავებ. მათგან ცალკეულ სტრიქონთა მოხმობაც წარმოაჩენს ზემოთ თქმულს: პოემის პერსონაჟები, როგორც წესი, ყოველთვის მაღლობებიდან უმზერენ სივრცეს, ირჩევენ გეზს და ამჩნევენ ერთმანეთს, თუ თავისთვის საინტერესო რაღაც მოვლენებს:

„ქედსა რასმე გარდავადეგ,
მინდორს მტვერი დავინახე".
(442).

„საღამო-ჟამ დაიზახნა ქედით
მათმან დარაჯმან" (452).

„იმა ქედსა გარდავადეგ, შამბნი
ისე მომიარნეს" (909).

„ქედსა გარდადგეს, აქლემნი
აუჩნდეს ჯორ-კიდებულნი" (1028).

„ქედსა ზედა გარდმოადგა
მეტად დიდი ქარავანი" (1579).

„ინდოეთს ზედა წაადგა, მუნ
მთა და დიდი ქედია" (1538).

აქვე რამდენადმე გამოკვეთას თხოულობს „ქედსა ზედა გარდმოადგას" მსგავსი გამოთქმანი. მთის თხემს წადგომა: „ზედ წაადგა შეექცევის", ან „ქედსა ზედა გარდმოადგა", შორიდან დანახულის გარემოსთან ერთიანობაში ჩვენებაა. ქედი და ადამიანი, ან ადამიანები — მაგ., „ქედსა ზედა გარდმოადგა მეტად დიდი ქარავანი" — ცხადია, ისეთსავე მხატვრულ მთლიანობაში გვეძლევა, როგორშიც აღვიქვამდით ნაგებობისა და ლანდშაფტის ლოგიკურ კავშირს. ამდენად, ივარაუდება, რომ რუსთველი აქაც ჩვეულ ტრადიციას ერთგულებს. სივრცეში სხეულის განსაზღვრის ჩვეულ პრინციპს იცავს. ეს მისწრაფება ასახვის მონუმენტურ სტილს ათანაზიარებს შემოქმედის ხედვას, რაც ქართული ჰაგიოგრაფიისათვისაც რამდენადმე თვისობრივი იყო. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან" ერთი ასეთი ეპიზოდი: „ოდესმე ჟამსა ყინულისასა ძმანი ტყესა მას ხანძთისასა შთამოყრიდეს ძელსა და მათთანა იყო ნეტარი გრიგოლ. ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲡᲐ ᲡᲐᲩᲘᲜᲝᲡᲐ და ძმა ვინმე მოხუცებული ძნელსა ადგილსა ძელისა სავალისა განვიდოდა და ძმათა მათ სხვათა უმეცრად ძელი ფრიად დიდი განუტევეს და ვითარცა იხილა ძმამან მან ძელი იგი მძაფრად მომავალი, შეშინდა ფრიად და სივლტოლა მისგან წარწყმდა, ხმა იყო დიდითა ხმითა: „მამაო, შემეწიე" ხოლო მან ჯვარი დასწერა ძელსა და ჰრქუა: „სახელითა ქრისტჱსითა, დადეგ ძელო!" და სიტყუამან მისმან, ვითარცა კლდემან უძრავმან, დააყენა ადგილსა მას მყაფარსა მყინვარსა ზედა მოქანებული საშინლად და უბრძანა ძმასა მას გულგდებულად გასვლა".

ამ ეპიზოდში აშკარაა, რომ გრიგოლი მხოლოდ სულიერი კი არა, ხორციელი დომინანტიც არის მოცემული სივრცისა, რადგან მის როგორობას განსაზღვრავს; დააკვირდით: „ძმანი ძელსა შთამოყრიდეს", ხოლო გრიგოლი იდგა „ადგილსა საჩინოსა", ე. ი. ყველაფერს აქცევდა ხედვის არეში და გარემოც ყველაფერი მას მიემართებოდა. ასეთივეა ავთანდილიც, როცა მას რუსთველი მთაზე გვიჩვენებს: „ზედ წაადგა, ანგარიშობს". და ასეთივეა ქარავანიც, ქედზე რომ გარდმოდგა. მათი კავშირი ნაჩვენებ გარემოს აქცევს მონუმენტურ ერთიანობად და მართლაც იმ სხივით ნათდება, რომლითაც ლანდშაფტებისა და ნაგებობათა ერთიანობა იკვრებოდა თავისი მონუმენტური სიდიადით. ვფიქრობ, გადაჭარბებულად არ უნდა მოგვეჩვენოს ნათქვამი, რადგან ძველ ქართულ ლიტერატურაში ადამიანის ამგვარი ხედვა იშვიათი არ არის; მაგ., ექვთიმე ათონელს ჰაგიოგრაფი ერთგან ადარებს მყარ სვეტს, რომელიც ფართო მნიშვნელობით ქრისტიანული რწმენის გუმბათს შედგომია საყრდენად.

5.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ სივრცე „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ" ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜ-ᲒᲐᲜᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲗᲐ ᲐᲜᲐᲠᲔᲙᲚᲘᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘᲐ.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: ნუთუ რუსთველი ვერ აღიქვამდა, ვერ აცნობიერებდა ბუნებისა და ადამიანის სხვაგვარ კავშირს? ცხადია, ხედავდა. მაგალითად, ტარიელის შინაგანი აფორიაქება და შემდეგ კი ველად გაჭრა უკაცრიელ სამყაროში, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთშეთანხმების ჩვენებაა: „არას ნახავს პირმეტყველსა, ვით პირუტყვი კაცთა კრთების" (1001). გამოდის, რომ ტარიელს, რადგან ადამიანის ნახვა არ ემებოდა, ველური ბუნება მიაჩნდა თავისი არსებობის და განწყობილების შესაბამის სფეროდ. მაშასადამე, ისინი ერთმანეთს ეთანხმებიან და ერწყმიან კიდეც. ბუნების გრძნობის, პერსონაჟის მასთან კავშირის ჩვენებაც არის როსტევანისა და ავთანდილის ნადირობა. ნადირობით ადამიანთა ალტყინებას დასაწყისში გარემოს მზიური კაშკაშიც ერწყმის. სივრცეს საზღვარი არა აქვს და თავბრუდამხვევ სრბოლას დახარბულია:

ცხენთა მათთა ნატერფალნი
მზესა შუქსა წაუხმიდეს,
მიჰხოცდეს და მიისროდეს,
მინდორს სისხლსა მოასხმიდეს
(77).

მაგრამ როცა ეს ალტყინება ნელდება, საზღვარიც ჩნდება: „ნადირნი ტყესა შეესწრნეს, საცა ვერა რბის ცხენია" (79); სივრცე იხშობა და სინათლესაც კი ნელნელა ერევა სიმშვიდის ჩრდილი:

იგი ორნივე სავრილად
გარდახდეს ძირსა ხეთასა,
ლაშქართა შექმნეს მოდენა,
მოდგეს უფროსნი მხეთასა,
ახლოს უდგს მონა თორმეტი,
უმჯობესი სხვათა მხნეთასა,
თამაშობდეს და უჭვრეტდეს
წყალსა და პირთა ტყეთასა. (84).

მაშასადამე, რუსთველი ხედავდა ბუნებასა და მასთან ადამიანის კავშირსაც აღიქვამდა, რასაც განწყობილების ცვალებადობასთანაც აკავშირებდა ზოგჯერ, მაგრამ ეპოქის ტრადიციათა მიმდევარს არ იტაცებდა ამ ხედვის ასახვის პრინციპად ქცევა. იგი თავის დროში ცხოვრობდა და მის მოთხოვნებს უპასუხებდა. ეს მიაჩნდა უმეტეს საქმედ.

„შფოთი ილტვის ბრძენთაგან“

მერჩულეს ეს მართლაც ბრძნული შეგონება მარადიული ჭეშმარიტებისა და სახელმძღვანელო პრინციპის გამოვლენაა. ეს, ერთის მხრივ, გულისხმობს დიდი და არსებითი საკითხების დინჯად, გაწონასწორებითა და შორს განჭვრეტით გადაწყვეტას და, მეორეს მხრივ — გამორიცხავს გაქხუებული, თვითკმაყოფილებითა და თვითდაჯერებით მცხოვრები ფილისტერის ოცნებას, რომელიც თავისი კეთილმდგომარეობის გაფეტიშების გამო შიშობს აზრთა სხვადასხვაობის, დაპირისპირებისა და საშური სიახლეების წინაშე დგომას. ასეთ უბადრუკ ობივატელს ეშინია ყოველი ნათელი და ჯანსაღი აზრისა, რამეთუ არ დაკარგოს საეჭვო და ბევრჯერ სამარცხვინო გზით მიღწეული უზრუნველი ყოფა. ამ უკანასკნელთა კატეგორიაზე მსჯელობა უკვე არასერიოზულიცაა და დროა ასეთი ფსიქიკის მქონე პიროვნებათაგან, სოციალურად და ეროვნულად დეგრადირებულთაგან გავთავისუფლდეთ და მაღალი კვალიფიკაციისა და ასევე მაღალი ზნეობრივ-მოქალაქეობრივი პრინციპების პიროვნებებს მივანდოთ ქვეყნის, თანამემამულეების ბედი. ამ დიდ ძვრაში იმასაც უნდა დავუკვირდეთ, რომ სიახლეების ძიებისა და მოპოვების ჟამს არ ამოტივტივდნენ ისეთი „განმაახლებელნი“, რომელნიც ხელმოცარულობის, უწიგნურობის და უშრომლობის შენიღბვით წამოჭრიან ჰუმანურ, ყველასათვის აშკარად მისაღებ ლოზუნგებს და ამ ლოზუნგებს ამოფარებულნი, ძალაუფლების ხელში ჩაგდებით ისეთივე საშიშროებას შეუქმნიან საზოგადოებას, როგორის მომსწრეც ჩვენი ტანჯული ხალხი არაერთგზის გამხდარა ოციან და ოცდაათიან წლებში. დღეს მთავარია არა ის, ვინ რას ამბობს, არამედ ის, ვინ რას აკეთებს და რისი გაკეთება შეუძლიათ, საქმის მაღალ დონეზე გაკეთება კი მაღალპროფესიონალებსა და მაღალი ზნეობის (შინაგანი და არა სიტყვიერი) ხალხს შეუძლია. ამის დადასტურებაა თუნდაც დღევანდელი დღე, როდესაც ყველაზე მძაფრ სიტუაციაში ბატონმა თამაზ გამყრელიძემ, ელდარ შენგელაიამ, რევაზ თაბუკაშვილმა, რეზო ჩხეიძემ და მათი რანგის მამულიშვილებმა გადადგეს ის კარდინალური ნაბიჯი, რასაც სხვა ვერავინ შეძლებდა, სხვას არც ავტორიტეტი ეყოფოდა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად.

დიახ, განსწავლულობა და პროფესიონალიზმია ერთ-ერთი ძირითადი პირობა ერის წაძღოლობა.

მეორე, არანაკლებ არსებითი ერთიანობა, „ერთ-სულ“, „ერთ-ხორცად“ სიცოცხლე. დასამალი არაა, რომ გარდაქმნის დიდი სიახლე ზოგჯერ ვლინდება როგორც შურისძიებისა და ნგრევის პრინციპი, მაშინ როდესაც ჩვენთვის სასიცოცხლოა შენებისა და თანადგომის პრინციპი; როდესაც მთლიანი საქართველოს იდეას ვიზიარებთ, უნდა გავაფართოოთ ეს ცნება, მასში უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული მთლიანობა, არამედ ამავე დროს სოციალური, ასაკობრივი ერთიანობა. გაერთიანებას თავისი ჯანსაღი პრინციპი უნდა ჰქონდეს. მე არ მწამს პარტიული და უპარტიო, ახალგაზრდა და ძველგაზრდა, მე სხვა პრინციპი მწამს: წიგნიერი და უვიცი, ბეჯითი და ზარმაცი, მაღალი მოქალაქეობრივ-ეროვნული ზნეობით მცხოვრები და ამორალური, ყოველგვარი საზოგადოებრივისაგან გამოფიტული, გაცხოველების მიჯნასთან მისული ეგოისტ-კარიერისტი ფილისტერი. დიახ, ზნეობა და საქმე უნდა გვაერთიანებდეს და არა სიტყვიერი პოზა. ჯერ კიდევ ადრეული საუკუნიდან გვიანდერძა ბრძენმა წინაპარმა, რომ ქართველი „შეუცვალებლად საქმით ჰყოფდის და არა სიტყვით ვაჰრობდის“ და არ უნდა ვემსგავსოთ მათ, რომელნიც არიან „სიტყვით ძლიერნი, მოქმედებით მცირენი“. დღეს კი ყველაზე უფრო „საქმით სიძლიერე“ გვჭირდება. საქმის სიძლიერე დიდ ცოდნას, სიბეჯითეს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და მაღალ მორალურ-მოქალაქეობრივ პრინციპებთან ერთად „ერთ სულ და ერთ ხორც“ არსებობას მოითხოვს, რაც უდავოდ ითვალისწინებს ერთიანი საქართველოს იდეის დამკვიდრებას, და სწორედ ისეთი ერთიანობისა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის თავკაცმა ფარნავაზ მეფემ მთლიანი საქართველოს იდეას საფუძვლად სავსებით მართებულად ენის ფენომენი გაიაზრა და მემატიანეც აღტაცებით აღნიშნავს: „არა იზრახებოდა ქართლსა შინა სხვა ენა თვინიერ ქართულისაო“. დიახ, ერის ხერხემალი სწორედ ენაა და ამაზე იმიტომ აქვს აქცენტირებული ყურადღება. იმავე მემატიანეს მთლიანი საქართველოს რეალურ გამოხატულებად მიაჩნია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემჭიდროება და ამიტომაც ფარნავაზისა და ქუჯის თანამოღვაწეობაში ხედავს ერთიანი საქართველოს სიმბოლურ გამოხატულებას. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ქართულ მწერლობას გამჭოლავად გასდევს სწორედ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთ მთლიანობად გააზრება და ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი მებაირაღე ნერსე ერისთავი ქართლის და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ერთიანობის აქცენტირებას ახდენს გამუდმებით. სწორედ საქართველოს ორი უკიდურესი კუთხის ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის ერთიანობის იდეის დამამკვიდრებელია გიორგი მერჩულე, რომელიც მთლიანი საქართველოს გამოვლენად მიიჩნევს იმ უცილობელ ფაქტორს, რომ „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“, ეს ფარნავაზის მემატიანის მიერ წამოჭრილი პრობლემა — ენა ერის გამამთლიანებელ-გამაერთიანებელი ფაქტორი, სხვა ასპექტითაც აქვს გაძლიერებული მერჩულეს, კერძოდ, აფხაზეთსა და ტაო-კლარჯეთში აგზნებული ერთიანობის ცეცხლი სწორედ ჩვენი ქვეყნის მთლიანობის კიდევ ერთი სიმბოლური გამოხატულებაა. უაღრესად საყურადღებოა, რომ ჩვენი ერის დიდი წინაპრები ერის სიძლიერეს სწორედ ერთიანობაში ხედავდნენ და გამუდმებით ამახვილებენ ამაზე ყურადღებას. განსაკუთრებით საგულისხმო კიდევ ის არის, რომ ეთნიკურ-გეოგრაფიულ კონსოლიდაციას უშუალო პიროვნულ, ადამიანურ ურთიერთობათა სიმჭიდროვეში იზიარებდნენ. დაბეჯითებით ოდითგანვე გვმოძღვრავენ შინაგათიშულობისა და ერთმანეთთან დაპირისპირების საშიშროების გამო. ყველა ერისთვის, და განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ერისთვის, მომაკვდინებელია ადამიანთა ურთიერთსიძულვილი და ურთიერთგაწირვა, სწორედ ამან მიგვიყვანა ჩვენ კატასტროფამდე და სწორედ ამ სენისგან განკურნება უაღრესად საშურია და საფიქრალი. ეს აქტიურად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ყველა ქართველს, რადგანაც ჯერ კიდევ გორგასალის მემატიანემ შეგვნიშნა „ურთიერთა კვლითა შემცირდა ქართველი ერი“-ო. აი ჩვენი სასიცოცხლო ენერგიის გამომფიტავი სენი, სენი, რომლისგან განკურნებაა ერთადერთი წინაპირობა წელმაგრობისა და განმტკიცებისა და დროა საბოლოოდ ჩავინერგოთ სულსა და გულში, რომ შენი სისხლხორცი რამდენადაც არ უნდა ეთანხმებოდე, იგი უპირველესად შენი თანამემამულეა და ურთიერთთანადგომაა საჭირო, რათა გათიშულობამ სხვის წისქვილზე არ დაასხას წყალი, ავადმზვერავმა სხვა ტომმა არ წაგვკიდოს ურთიერთს და, როგორც ბრძენი გურამიშვილი გვაფრთხილებდა, „რა ორივე დაღალული ძაღლმა გვნახოს, პირი გვკიდოს“. ურთიერთგამთიშველი და დამაძაბუნებელი ეს თვისება, თითქმის ქართული ხასიათის ნიშანდობლივ რანგში აჰყავს ჟამთააღმწერელს და ორი მოქიშპე ქართული ბანაკის შემყურე მონღოლს ათქმევინებს: „თქუენ ქართველნი არას კეთილს უყოფთ მხნედ მებრძოლთა წყობათა შინა“. მომაკვდინებელი მხოლებაა, რომ ჩვენ, ქართველნი ვერ ვიგუებთ ჩვენს შორის გამორჩეულსა და იმდენად ვუპირისპირდებით ერთურთს, რომ ურთიერთკვლით გზას ვუკაფავთ მომხდურთ. და ამის გამო არ გოდებს გურამიშვილიდან მოყოლებული ილიათი დამთავრებული ყველა ბრძენი მამულიშვილი და განა ამ სენისგან განკურნებისკენ არ ილვწიან ისინი. სწორედ ეს აწუხებს და აფიქრებს უწმინდესსა და უნეტარეს ბატონ ილია II-ს, რომელიც გამაფრთხილებლად და შორს განჭვრეტილად გვაფრთხილებს „შური და გაუტანლობა გვთიშავდაო“. დიახ, ამ გათიშულობამ დაგვაძაბუნა და განა დრო არ არის ავმაღლდეთ პირად გულზვიადობასა და ამპარტავნობაზე, ნაცვლად ურთიერთმოსპობისა თუ გარიყვის ჟინის დაძლევით ერთმანეთში ვეძიოთ ის საერთო კეთილი საწყისი, რომელიც ერთ არსებად გვაქცევს და ერთ დიდ საქმეს გაგვაკეთებინებს; რასაკვირველია, ჩვენი შეცდომები უნდა ვაღიაროთ და დავძლიოთ, მაგრამ შეცდომებმა კი არ უნდა დაგვაშოროს და შეგვაჯავროს, ჭაგვაწირინოს ერთმანეთი, არამედ ამ უთანხმოების იქით დავაფახოთ ის საკუთარი პოზიცია, რომელსაც მივუყავართ ტაძრამდე.

რა წინასწარმეტყველურად და მისთვის ჩვეული სიბრძნით გვმოძღვრავს გრიგოლ ხანძთელი: „ნება ურთიერთს შევაზავნეთ, რამეთუ შფოთი ილტვის ბრძენთაგან და ერთობით უმჯობესი დავამტკიცეთ“. ეს აფორისტული შეგონება, თეზისად ჩამოყალიბებული ეთიკური და პოლიტიკური ტრაქტატის ტოლფასოვანია. იგი მარად სახელმძღვანელო და დაუვიწყარი პრინციპია, რადგანაც მასში ჩვენი სისუსტეცაა ხაზგასმული და ამ სისუსტის დაძლევის პერსპექტივაცაა წარმოჩენილი. მასში გამოკვეთილადაა ნათქვამი, შფოთით და ემოციით ვერაფერი დიდი და არსებითი, მით უფრო ეროვნული საქმე, ვერ გადაწყდება, ამ უკანასკნელის მოგვარებისათვის დაუნჯებული და გაწონასწორებული განსჯა და მოქმედებაა საჭირო და ამ პრინციპებზე მდგომებმა გამოვძებნოთ ოპტიმალური ვარიანტი, ანდა, კვლავ ამ ბრძენთაბრძენს რომ დავესესხოთ, „ერთობით უმჯობესი დაამტკიცეთ“ და ეს სიბრძნე მოსასმენი კი არაა მხოლოდ, არამედ შესამეცნებელი და სახელმძღვანელოა.

გიგლა ბარამიძე.

იალაღებზე

გონდო
დადვაძის
ფოტო

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას

ერთი თვეა, რაც უდიდესი გულისტკივილითა და მწუხარებით ვადევნებთ თვალ-ყურს საქართველოში მიმდინარე ტრაგიკულ ამბებს.

9 აპრილს თბილისში დატრიალებულმა უბედურებამ ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელობის ღრმა სინანული, შიში და შეშფოთება გამოიწვია, რამეთუ არავინ უწყოდა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები და რა ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდებოდა სრულიად საქართველო.

დღეს, როცა იმ ტკივილიანი კვირადღიდან თითქმის თვე გავიდა, როცა სათქმელი ითქვა და ზოგი რამ მეტ-ნაკლებად გაირკვა, შესაძლებლად მივიჩნიეთ მოგვეწვდინა ჩვენი შორეული, მაგრამ მუდამ თქვენთვის მავედრებელი ხმა და ვთხოვთ არსთა გამრიგეს, რომ აჰმაროს საქართველოს აურწყავად დაღვრილი სისხლი და ცრემლი.

ჩვენი ორი ერის, ქართველი და ებრაელი ერების კატაკლიზმებით მოქანცული ისტორია სხვა არა არის რა, თუ არა დიდი სწავლება და იქნებ ბუნებრივი, მაგრამ ბოლომდე გაუცნობიერებელი, ნათლის სვეტს აღევნებულ მღელვარე სულთა უდიდესი ძალისხმევითა და სალი გონების კარნახით მოთოკვის დასტური.

ისე როგორც საქართველოს, ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელობასაც არასოდეს დაავიწყდება წლევანდელი აპრილი. უკვე ერთი თვეა, რაც მთელი ჩვენი თემის თვალი და ყურადღება საქართველოსკენაა მიპყრობილი. თქვენმა ტკივილმა ჩვენი ისედაც დაძაბული და უამრავი, გაუთვალისწინებელი პრობლემებით აღსავსე ყოველდღიურობა როგორღაც მეორე პლანზე გადასწია. ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ მაქსიმალური ოპერატიულობით ვაწვდით ჩვენი გაზეთის, „ალიას" მკითხველებს. დღევანდელ სიტუაციაში ერთი იმედიღა დაგვრჩენია, რომ საქართველოს, როგორც ყოველთვის, არც ახლა დატოვებს სალი აზრი და არ უღალატებს ზომიერების გრძნობა. რომ ქართველი ხალხი მომავლისაკენ მიმავალ გზაზე გამონახავს მის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრის ყველაზე მისაღებ და ოპტიმალურ ფორმებს......

საქართველოს ვარდებიანი აპრილი შვენის...... მაგრამ ეს ვარდები ახალგაზრდების სისხლით მორწყულ ქვაფენილებს არ უნდა ფარავდეს...

„საქართველოვ,შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი..."

თავს ვხრით და მუხლს ვიდრეკთ ქართველი ერის უდიდესი ტკივილის წინაშე!

მუდამ თქვენი სიკეთისათვის მავედრებელი ისრაელის ქართველი ებრაელობის, რუსთაველის საზოგადოების, გაზეთ „ალია საქართველოდან" რედაქციისა და მისი მკითხველების სახელით:

აბრამ ხეფიაშვილი
ქართველი ებრაელობისა და საქართველოს კულტურულ-მეგობრული კავშირის რუსთაველის სახელობის საზოგადოების დამაარსებელი და თავ-რე. გაზეთ „ალია საქართველოდან" გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.

ვაჟა თოფჩიაშვილი
გაზეთ „ალია საქართველოდან" რედაქტორი და რუსთაველის საზოგადოების გამგეობის წევრი.

ხულო ხეფიაშვილი
გაზეთ „ალია საქართველოდან" რედაქტორი. რუსთაველის საზოგადოების გამგეობის წევრი.

ისრაელი. 2.5.89.

ექიმი და რუსთაველის საზოგადოება

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ავტორიტეტი დღითიდღე იზრდება. ამაზე მეტყველებს, თუ გნებავთ, ის ფაქტიც, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ საზოგადოების მიწის კომისიას ლაგოდეხის მოსახლეობის წერილი მოუვიდა თხოვნით, შეესწავლა ის უკანონობა, რაც იქ ხდებოდა და ხდება მიწის ფონდების განაწილებისას. სადღეისო ინფორმაციით ვიცით, რას ნიშნავს საქართველოს მიწის ფონდი. სასიხარულოა, რომ ამიერიდან პარტიასა და მთავრობასთან ერთად რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული მიწის კომისიაც განსაზღვრავს ერის ამ დიდი საგანძურის ბედ-იღბალს.

როგორც ცნობილია, ერის უპირველესი სიმდიდრე მიწა, ენა და ჯანმრთელობაა. მხოლოდ ჯანმრთელ ერს შეუძლია იშრომოს და შექმნას სულიერი და მატერიალური დოვლათი, კულტურა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუკი რუსთაველის საზოგადოებასთან შეიქმნება ექიმთა ასოციაცია თავისი სამედიცინო-სამეცნიერო, პრაქტიკული საკონსულტაციო კომისიებით, იგი დიდ როლს შეასრულებს მოსახლეობის არა მარტო ჯანმრთელობის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში, არამედ გაზრდის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების პროპაგანდას. აუცილებელია მოსახლეობაში სამედიცინო განათლებისა და კულტურის ამაღლება და დახვეწა. სამწუხაროდ, სადღეისოდ მოსახლეობის სამედიცინო კულტურა დაბალ დონეზეა.

ჩემს ბავშვობაში და ყრმობაში, ქალაქში და კერძოდ, ვერის უბანში, ვარდისუბნის ქუჩაზე, სადაც დავიბადე და ვიზრდებოდი, საკმაოდ ბევრი ოჯახი იყო, რომლის ბებიებმა, დედებმა, დეიდებმა, მამიდებმა და ბიცოლებმა კარგად იცოდნენ საჭიროების დროს კოტოშების დაყრა, მდოგვის თუ სხვა კომპრესების დადება, სამკურნალო აბაზანების თუ ოყნების გაკეთება, კუჭის თუ ნაწლავების გამორეცხვა, იცოდნენ წნევის თუ ტემპერატურის გაზომვა, მასაჟების თუ დაზელვის ტექნიკა, ჭრილობების დამუშავება და შეხვევა, არტაშანის თუ ლახტის დადება, პულსის მოსინჯვა ტიპიური ადგილებით და მისი ახსნა-შეფასება, ამინდის ცვლილებებისა და დაავადებათა ურთიერთკავშირი, ავადმყოფის შეუწუხებლად საცვლებისა და თეთრეულის გამოცვლა, წამლების შერჩევა, ფიტოთერაპია ანუ სამკურნალო მცენარეების და ყვავილების, სამკურნალო კვების შერჩევა და სხვა. უწინ ასეთი ოჯახები ხშირად ექიმის გარეშე აქრობდნენ დაავადებებს, ყოველ შემთხვევაში, იმდენად ცნობდნენ ზოგიერთ დაავადებას, განსაკუთრებით ბავშვთა სნეულებებს, რომ დროზე მიმართავდნენ ექიმს, მაშინ ე. წ. „ოჯახის ექიმს" (ვერის უბანში ოჯახის ბავშვთა ექიმი იყო ვ. გოგიტიძე, განათლებული, ინტელიგენტი, მცოდნე ადამიანი); ჰქონდათ მშვენიერი საოჯახო აფთიაქი, პირველადი დახმარების აუცილებელი წამლებით. კარგად ერკვეოდნენ კურორტების, განსაკუთრებით ბავშვთა კურორტების სამკურნალო თვისებებში.

ამ ოჯახებს სამედიცინო განათლების მიღებაში პირველ რიგში ეხმარებოდა ოჯახის ექიმი და აუცილებელი სამედიცინო ლიტერატურა, რაც ისევე ტრადიციულ საოჯახო წიგნებად ითვლებოდა, როგორც „ვეფხისტყაოსანი". ასეთებია: წიგნი საქიმო, იადიგარ დაუდი, კარაბადინი, სამედიცინო ცნობარები, ბროშურები, ენციკლოპედიები და სხვ. ყველაფერი ეს ოჯახის წევრებს აძლევდა ელემენტარულ სამედიცინო განათლებას. სამწუხაროდ, საკმაოდ ხანგრძლივი საექიმო მოღვაწეობის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი რამ ქალაქში შემცირდა. შემცირდა ასევე ექიმის მიმართ მოსახლეობის ნაწილის პატივისცემა. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა საკონსულტაციო მიღებისას, პოლიკლინიკებში, კონსილიუმებზე, წარმოებებში ავადმყოფები ყოველმხრივ მოუმზადებელი მოდიან, პრეტენზიული, უხეში კილო აქვთ, თითქოს უკვე ნაგიენებ ადამიანთან მივიდნენ. ეს ალბათ ზოგჯერ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგანაც ხშირად გაისმის ექიმების მიმართ ჩივილი და ხალხი მიეჩვია ამას. ალბათ პირველ რიგში თვით ექიმები არიან დამნაშავეები, მაგრამ, რასაკვირველია, არა ყველა და არა ყოველთვის.

ექიმი ავტორიტეტს იმსახურებს მაშინ, როცა იგი ზედმიწევნით გულისხმიერია, ყურადღებიანია, აქვს ავადმყოფთან ინდივიდუალური მიდგომის, მართებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ეს თვისებები შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე ექიმს. ზოგიერთი შეცდომით ფიქრობს, რომ ექიმის ტკბილი საუბარი გადამწყვეტია მკურნალობისას. ამას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოფიქრებული ტკბილი და სასარგებლო საუბარი შეუძლია მხოლოდ მცოდნე ექიმს: ცოდნაა გადამწყვეტი. მცოდნეს შეუძლია ბუნებრივად ეპიროს თავი, რაც მის მოღვაწეობაში ნორმად იქცევა. ექიმს გამუდმებით უნდა ახსოვდეს, რომ მისი მუშაობა დაკავშირებულია სხვა ადამიანის ცხოვრებასთან, მის ხასიათთან, თავისებურებასთან, მანერებთან, ქცევასთან. უნდა ახსოვდეს, რომ უხეში შეხვედრა ავადმყოფთან შეიძლება გახდეს მიზეზი დიდი ტრავმისა, ადამიანის სულიერი და ფიზიკური განადგურებისა.

მხოლოდ ცოდნას შეუძლია დაამკვიდროს, შეუსისხლხორცოს ექიმს ხასიათის დადებითი თვისებები, რომელთა შორის ავადმყოფს განსაკუთრებით ახარებს კაცთმოყვარეობა, მოთმინება, გამძლეობა, სიმტკიცე, თავდაჭერა, თავგანწირვა, პროფესიონალიზმი და მოქალაქეობრიობა.

უცოდინარ ექიმს შეუძლია გამოიწვიოს უნდობლობა. ზიზღი, ეჭვი, რაც ზოგჯერ, სამწუხაროდ, დაუმსახურებლად ვრცელდება საუკეთესო ცოდნისა და თვისებების მქონე ექიმებზე. ვფიქრობ, ასეთი ექიმების მიმართ კარდინალურად უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება; უნდა მოიხსნას უნდობლობა იმ ექიმების მიმართ, ვინც მზადაა ყოველწამს იყოს გაჭირვებული ადამიანის გვერდით.

აქვე მინდა დავძინო, რომ ყველა, პირველ რიგში კი თვით ექიმები, ვალდებული არიან დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ ყველაფერს, რაც ხელს უშლის საექიმო მოღვაწეობის სიწმინდეს.

გურამ გეგეშიძეს თავის წერილში „ექიმის პიროვნების შესახებ" პროფესორ ვ. პოლიაკოვის სიტყვები მოჰყავს: „თეორიულად ჩვენ გაგვეგება, რომ ექიმის პიროვნებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სამედიცინო საქმის წარმატებისათვის, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში ვერ ვისწავლეთ დავაფასოთ ექიმში მისი ინდივიდუალობა". შემდეგ გურამ გეგეშიძე აგრძელებს: „საზოგადოების ერთი ნაწილი, მედიცინის ზოგიერთი ორგანიზატორი, ნაკლებ ანგარიშს უწევს სპეციალისტის გამორჩეულ ნიჭიერებას, პროფესიულ თავდადებას, უანგარობას. ექიმის პიროვნული ღირსებები, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ დრამატულ სიტუაციაში, მძიმე ავადმყოფის საწოლთან გვაგონდება. ცნობილი ფაქტია, რომ ნიჭითა და უნარით გამორჩეული ექიმების პრაქტიკულ მოღვაწეობაში სწორედ ამ კატეგორიის სპეციალისტების მხრებზე გადადის სამკურნალო საქმის ზოგიერთი არასრულყოფილების სიმძიმე."

ღირსეული ექიმი საზოგადოების სიმდიდრეა. სწორედ ასეთი პიროვნება-სპეციალისტი სჭირდება ავადმყოფს, სწორედ ის უქმნის სამედიცინო სამსახურს ნდობასა და ავტორიტეტს, — ამბობს წერილის ბოლოს გ. გეგეშიძე. რუსთაველის საზოგადოების ექიმთა ასოციაცია თავისი სამედიცინო-საკონსულტაციო სამეცნიერო-პრაქტიკული კომისიების ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას.

ოჯახის ექიმის სტატუსის აღდგენა ჩვენი აზრით, დიდი ეროვნული ნაბიჯია. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი სწორედ ამ ასოციაციამ უნდა შეასრულოს; მან უნდა გაუწიოს რეკომენდაცია ისეთ ექიმს, რომლის ზოგადი განათლება, კულტურა თუ ადამიანური თვისებები, რომ აღარაფერი ვთქვათ საექიმო-პროფესიონალურ დონეზე, იმ ოჯახის წევრებზე მაღალი ან თანაბარი დონის მაინც უნდა იყოს, რომელ ოჯახშიც მოავლინებენ. აქ შეიძლება მივმართოთ ჰარმაგ. შრომისუნარიან, განათლებულ, ინტელიგენტ პროფესიონალებს, რომლებიც 65 წლის ასაკში პენსიაზე გადიან. მათ შეუძლიათ სათავეში ჩაუდგნენ ე. წ. საოჯახო ექიმთა ჯგუფებს, დაეხმარონ მათ საკონსულტაციო-პრაქტიკული საქმიანობით.

რუსთაველის საზოგადოებასთან არსებულმა ექიმთა ასოციაციამ და მისმა კომისიებმა უნდა გააფართოვოს მუშაობა ქართველ მედიკოსთა წარმოჩენის, მათი მიღწევების პოპულარიზაციის, აღიარებისა და სათანადო შეფასებისთვის და აღკვეთოს დამოკიდებულება, რომელმაც იჩინა თავი რუსულ ენაზე გამოცემულ „ქირურგიულ ენციკლოპედიაში", ამ ენციკლოპედიაში ბევრი თვალსაჩინო ქართველი მედიკოსია გამორჩენილი ან თუ ნახსენებია, დაკნინებულადაა შეფასებული. უფრო მეტიც. სიტყვა არ არის ნათქვამი. ქირურგიის ისეთ დარგებზე, რომლებიც ეროვნულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მომავალში ასეთი შეცდომების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, ენციკლოპედიების, ლექსიკონების, სახელმძღვანელოებისა და სხვა ასეთი სახის ნაშრომთა გამოცემაში ჩაერიოს რუსთაველის საზოგადოების სამედიცინო-საკონსულტაციო სამეცნიერო-პრაქტიკული კომისიები.

ასოციაციამ ასევე უნდა იზრუნოს ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების გამოვლინებაზე, იზრუნოს მათი პროფესიონალური დონის ამაღლებაზე. აუცილებელია უცხოეთის თუ საბჭოთა სამეცნიერო-პრაქტიკულ დაწესებულებებში მივლინებები, მატერიალური პირობების უზრუნველყოფით. მივლინებები ასევე უნდა იყოს გამიზნული იმ პირებისათვისაც, ვინც ეწევიან სოლიდურ სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობას.

რუსთაველის საზოგადოების ექიმთა ასოციაციამ და მისმა კომისიებმა უნდა დააკავშირონ ექიმთა მოწინავე ჯგუფი სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან.

ასოციაციამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს წახალისების, დაჯილდოების, წოდებების მინიჭების გადაწყვეტაში. ასევე რეკომენდაცია უნდა გაუწიოს ამა თუ იმ პირებს თანამდებობების დაკავებისას თუ კონკურსებში მონაწილეობის დროს.

საზოგადოებისთვის სამედიცინო ინფორმაციის მიწოდება პრესით, რადიოთი თუ ტელევიზიით უნდა ხდებოდეს ამ კომისიებთან კონსულტაციის შემდეგ, რომ არ გამოქვეყნდეს ისეთი უპასუხისმგებლო ნებართვა, როგორიც 1988 წლის 12 ნოემბრის გაზეთ „თბილისში" წავიკითხეთ: „ექიმი — ნატუროპატი ვ. ი. კოზიჩევი, რომელსაც აქვს სათანადო ნებართვა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროსაგან, ავადმყოფებს შინ იღებს. სახალხო მედიცინის ნატუროპატული საშუალებებით იგი კურნავს კანის ყველა სახის დაავადებებს, აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის დარღვევასთან დაკავშირებულ ავადმყოფობას, ღვიძლს, თირკმელებს, ჩიყვს, ქალურ ავადმყოფობას, პროსტატას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტს. მიღება ყოველ დღე 9-დან 20 საათამდე. ორშაბათის გარდა; ...ანალიზები თან უნდა იქონიოთ"..

უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი უნივერსალიზმი, ნებისმიერი მაღალი დონის მედიცინის მქონე ქვეყანას შეშურდებოდა, სადაც სადღეისოდ სხვა დაავადებებზე რომ არაფერი ვთქვათ, კანის დაავადებათა უმრავლესობის მკურნალობა დაუძლეველია. აქ კი, სახლის პირობებში, ეს დაავადებები დაუძლევიათ! ასეთი განცხადება, ვფიქრობ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. აქვე მინდა ისიც მოგახსენოთ, რომ ასოციაციის უპირველესი საზრუნავი ქართული სამედიცინო ენის დახვეწა და დანერგვა უნდა გახდეს.

კიდევ ერთი საკითხი: რუსთაველის საზოგადოების ექიმთა ასოციაციას და მის საკონსულტაციო-სამეცნიერო-პრაქტიკულ კომისიებს უნდა შეეძლოს საზოგადოების მატერიალური ფონდის გამოყენება ისეთი საჭიროებებისათვის, როგორიცაა: აპარატურის თუ უცხოური სამეცნიერო-პრაქტიკული ლიტერატურის შეძენა, სამეცნიერო ან სასწავლო მივლინებები, საგულისხმო შრომების დაფინანსება და სხვ.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ რუსთაველის საზოგადოების ექიმთა ასოციაცია და მისი საკონსულტაციო საბჭო თავის მოღვაწეობის პერიოდში შეისწავლის და დახვეწავს მრავალ საჭირბოროტო სამედიცინო საერო საკითხს და თავის საქმიანობით მხარში ამოუდგება ერისათვის ამ აუცილებელ საზოგადოებას.

რევაზ იაშვილი
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

სტეფანე კასრაძე

ნონა ქუპრეიშვილი

სტეფანე კასრაძის სახელი საქართველოში ფართო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობია. ასეთი ბედი ერგო 20-30-იან წლების ბევრ ლიტერატურულ მოღვაწეს, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ.

სტეფანე კასრაძე პოლიტიკური მოღვაწე არ ყოფილა, იგი მხოლოდ იმედის მომცემი, ნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსი იყო. მიუხედავად ამისა, საქართველოში ოციან წლებში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენათა მკვეთრმა ცვალებადობამ განაპირობა მისი, როგორც მწერლისა და პიროვნების ბედი, რომელიც საკმაოდ უჩვეულოდ წარიმართა. ამაზე ეს ამონაწერიც მეტყველებს:

„სტ. კასრაძე დაიღუპა უკანასკნელი ომის დროს, აღმოსავლეთის ფრონტზე. იგი დახვრიტეს გერმანელებმა. მან და დათიკო ლუდუშიძემ თავის თავზე მიიღეს ის სამხედრო დანაშაული, რაც ქართველმა ახალგაზრდებმა ჩაიდინეს და ამგვარად ათეული კაცი გადაარჩინეს, ეს იყო მათი მხრივ დიდი გმირობა და თავის განწირვა მოყვასისათვის...

სტეფანე კასრაძის ამ მოთხრობის „ბაჭადის“ ორი თავიც კი არ დამიბეჭდავს სრულად. ხელთ შემრჩა მხოლოდ მისი ანაბეჭდი და ახლა, იმედი მაქვს, სრულად დავბეჭდავ. არ მსურს დავუკარგო (აქამდე, ჩემს ხეტიალში თან ვატარებდი!) მისი ნაწერი, ამ ნათელ თავდადებულ ადამიანს. ესაა მისი უკანასკნელი ნაშრომი“.

ამ ცნობებს გვაწვდის ჩვენი თანამემამულე ვიქტორ ნოზაძე, რომელმაც 1964 წელს მის მიერ განახლებული სალიტერატურო კრებულის „კავკასიონის“ მე-9 წიგნში სტეფანე კასრაძის მოთხრობის „ბაჭადის“ პუბლიკაცია მოათავსა.

„ბაჭადი“ 1941 წლითაა დათარიღებული. დაწერილია ქალაქ სოშოში. შესაძლოა იგი აქვე ცხოვრობდა და თუკი ეს ასეა, ცხადია, სოშოს ქართული საზოგადოების წევრიც იქნებოდა. (სხვათაშორის, ამ საზოგადოების გამგეობამ სხვებთან ერთად 1964 წელს „კავკასიონის“ — „უცხოეთის მძიმე პირობებში ქართველთა ინტელექტუალურ შრომის ამ ნაყოფის“ განახლებას შესწირა 200 ახალი ფრანკი), მოთხრობას წინ უძღვის ავტორისეული რემარკა:

„ბაჭადის ნაწერები იბეჭდება უცვლელად, როგორც ჩანს, ეს ახალგაზრდა კაცი, ღირსი ყურადღებისა იცნობდა და ცხოვრობდა იმ პირებთან ერთად, რომელთა ზოგიერთი თავგადასავალი ნაამბობია „თარი არალეს“ პირველ და მეორე წიგნში“.

ამ წიგნების შესახებ ჩვენ, სამწუხაროდ, არაფერი ვიცით. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ „კავკასიონის“ ზემოხსენებული კრებულის თანამშრომლების ხსოვნისადმი მიძღვნილ ნომერში სტეფანე კასრაძეს მოიხსენიებენ ისეთი ადამიანების გვერდით, როგორებიც იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, შალვა ამირეჯიბი და სხვები, აშკარად მეტყველებს ემიგრაციაში მისი ლიტერატურული საქმიანობის ინტენსივობაზე.

სტეფანე კასრაძის ამ უკანასკნელი მოთხრობის მხატვრული სტილი ძლიერ შორსაა 1926 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ გამოქვეყნებული მოთხრობის „გვართ-სამხილავის“ ავანგარდისტული პროზის ელვარე სტილისა და უჩვეული სტრუქტურისაგან. სწორედ ამ მოთხრობით მიიპყრო სტეფანე კასრაძემ მაშინდელი ლიტერატურული კრიტიკის ყურადღება. რაც შეეხება „ბაჭადს“, ვგონებ, იგი უფრო სხვა მხრივაა საგულისხმო: 40-იანი წლების დასაწყისში მწერლის არსება სავსეა 1924-1926 წლების საქართველოზე ფიქრით და ეს ნოსტალგია, შხამი, მოწოდებული როგორც მოთხრობის გმირის, ბაჭადის, პიროვნული არჩევანით გამოწვეული ფორიაქი, მწერლისაგან უშუალოდ განცდილის რეტროსპექტივად აღიქმება:

„დიდი ხანია, რაც ყოველივე აქ მოთხრობილი მოხდა. მაშინ მე ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ ქვეყნის ტრიალს ვხედავდი და ვგრძნობდი დაახლოებით ისე, როგორც აქ არის აღწერილი.

ამჟამად მე მაგონდება ბავშვობა, როცა ავტირებულვარ გულადი მეზღვაურების ამბავის კითხვით.

— ბაჭადი, ბაჭადი! დილის სამი საათია, დაიძინე, შვილო! — თავისი ოთახიდან მეძახდა დედა.

მე კი ვტიროდი, რადგან მეზღვაურებმა თავიანთი თავგადასავალი დაწერეს, ცარიელ ბოთლში საჩქაროდ ჩასდვეს და მზად არიან დაიღუპონ! მეც მჭირდება ყველაფერი ეს და რაც შემდეგ ბედმა გამიმზადა, საჩქაროდ ვთქვა, ცარიელ ბოთლში ჩავდო და გადავისროლო...“

ხომ არ წააგავს ეს ბოლო სიტყვები თავგანწირვისათვის შინაგანად მომზადებული უსამშობლო კაცის უნებლიე აღსარებას, რაც, როგორც რეზო თაბუკაშვილმა შენიშნა, არც თუ ისე იშვიათად ახასიათებდათ ქართველ ემიგრანტებს...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ 20-იან წლებს, როდესაც წინა ათწლეულის უშუალო გავლენით დამკვიდრდა მაგიური ძალის შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელიც ნიჭიერი ახალგაზრდობისათვის სამწერლო იმპულსის გარანტიას იძლეოდა. ქართული პროზისათვის ეს იყო, 20-იანი წლებისვე კრიტიკოსებს რომ დავესესხოთ, „გალვიძების“, „რესტავრაციის“, „რენესანსის“ ხანა. ცხადია, „პროზის სეზონს“ განუმეორებლობის ელფერს სძენდა მოდერნიზმისა და ავანგარდიზმის უჩვეულო სინთეზიც. თუმცა, შესაძლოა, სწორედ ამ თვალისმომჭრელ, ამავე დროს კი უაღრესად საინტერესო ნაირგვარობის მიღმა მზადდებოდა კიდეც გარკვეული წინაპირობები მწერლობის დეჰუმანიზაციისათვის, რამაც, სამწუხაროდ, სულ მალე სახელმწიფოებრივი ეფექტის მნიშვნელობა შეიძინა. ალბათ, აქაცაა საძიებელი 20-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრების წინააღმდეგობრივი, პარადოქსული, პოლიტიკური ხასიათი, რამაც თავისებური ასახვა ჰპოვა ახალბედა მწერალთა შემოქმედებით პოზიციაში, მათი მხატვრული გამონაგონის სიღრმეში და ბოლოს, მათ პირად ცხოვრებაში. მართალია, არსებობს ხვედრი მიხეილ ჯავახიშვილისა და ნიკოლო მიწიშვილისა, მაგრამ ვფიქრობთ, არანაკლები დაფიქრების საგანია დ. შენგელაიას, აკ. ბელიაშვილის, ივ. იოსელიანის, მ. მრევლიშვილის, პ. ნოზაძის, სტ. კასრაძის, ბ. მელიქიშვილის ხვედრი (მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის შემოქმედებითი გზა ძალზედ ხანმოკლე აღმოჩნდა სხვა ობიექტური მიზეზების გამო). გარდა ამისა, ლიტერატურის ისტორია ხომ მხოლოდ კლასიკოსთა საკრებულო არ გახლავთ; ის ერთიანი პროცესია და როგორც ყოველგვარი ერთიანობა, დიდთა და მცირეთა განუყოფლობის უმარტივეს ლოგიკას ეფუძნება...

ალბათ, უნდა ვიცოდეთ, რომ სტეფანე კასრაძეს „მემარცხენე ხედვის“ პროზაიკოსად მიიჩნევდნენ, უპირველეს ყოვლისა, თვით მემარცხენენი. ეს კი მათთვის ჩვეული მაქსიმალიზმის ფონზე სულ მცირე — ნიჰილიზმისათან შენივთებული ორიგინალობის აღიარება იყო. აი, რას წერდა ქართული ხელოვნების მემარცხენე ფრონტის ორგანო, ჟურნალი „მემარცხენეობა“ სტეფანე კასრაძის ზემოთ ნახსენები მოთხრობის „გვართ-სამხილავის“ შესახებ: „ქართულ მწერლობაში“ იბეჭდება სტ. კასრაძე. მისი მთლიანი სახე ჯერ მოხაზული არ არის და ამიტომ ჩვენ მხოლოდ იმით დავკმაყოფილდებით, რომ „გვართ-სამხილავი“ გამარჯვებული დაწყებაა ახალგაზრდა მწერლისთვის. ამთავითვე მოცემულია გზა მემარცხენე პროზის ოსტატობისათვის“.

სტეფანე კასრაძის სახელს ჟურნალ „მემარცხენეობისათვის“ დართულ თანამშრომელთა სიაშიც ვხვდებით, მაგრამ, როგორც ჩანს, „მემარცხენეობის“ აპლომბი ყოველთვის არ მოასწავებდა „მემარცხენე“ იდეების ორთოდოქსულობას. მითუმეტეს, რომ ქართული მოდერნისტული და ავანგარდისტული მიმდინარეობისათვის ამგვარი შეუთავსებლობა უცხო არ ყოფილა.

სტეფანე კასრაძის მიმართ ბენო გორდეზიანი იყო სხვებზე უფრო მიუკერძოებელი, რაშიც მას ყოფილ თანამოაზრეთაგან (იგულისხმება ქართველ ფუტურისტთა ჯგუფი) განდგომამაც შეუწყო ხელი. აი, მისი სიტყვები: „სტ. კასრაძე მემარცხენეთ არ გამოდგება გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, თუმცა სიახლის გრძნობა აქვს. ეს სიახლე სიმბოლისტური თვისებისაა...“

ჟურნალებში „ქართული მწერლობა“, „მნათობი“, „მემარცხენეობა“ 1926-28 წლებში გამოქვეყნებული სტ. კასრაძის რამდენიმე მოთხრობა („ზღვა“, „უდაბურობა“, „ურთიერთობა“, „გვართ-სამხილავი“, „მეჯინიბე“, „მებადურთ უბანი“, „ქალაქის კუჭი“) სტილთა ნაირგვარობის, უკეთ რომ ვთქვათ, სტილთა მოსინჯვის საინტერესო საილუსტრაციო მასალაა. თვალსაჩინოა ამ მოთხრობების არათანაბარი მხატვრული ღირსებაც და შორეული ორიენტირიც (ნ. ლორთქიფანიძის მინიატიურებისა და დ. შენგელაიას „სანავარდოს“ მხატვრული სამყარო). ოფიციალური კრიტიკისათვის მისი მოთხრობის გმირები აქტუალურად ვერ ჩაითვლებოდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მწერალს გამოყოლილი ჰქონდა ინტერესი არა იმდენად ისტორიული მოვლენებისადმი თავისთავად, არამედ, „ამ ისტორიული დროის მსვლელობასთან წუთის მიმართებისა“, რაც თავისთავად გულისხმობს ადამიანისადმი, ინდივიდისადმი ინტერესს. პლ. ქიქოძემ, მაგალითად, „მხატვრული პროზისათვის შეუწყნარებელი იმერეთ-სამეგრელოსათვის არა ტიპიური გლეხის სახე“ დაინახა სტ. კასრაძის მოთხრობის „უდაბურობის“ გმირში, იულონში. თუ არ ჩავთვლით ბავშვობის მოგონებებს, სადაც მწერალი გარკვეულად მაჟორული მკვეთრი განწყობილებების გადმოცემას ლამობს (მაგალითად იულონმა „ფეხში ბასრი კბილები იგრძნო, ეტკინა, ბაბუასკენ გაიწია. ბაბუამ შემოუტია ძაღლს, იქით თეთრ წვერამ დაუცაცხანა და უეცრად ნაცრისფერი ნაგაზი ჰაერში გადაბრუნდა, მწვანე ქვამლი, მაღლა რომ მწყობრად მიემართებოდა — აირია, ტყე დაფეთდა და ვეებერთელა მუხები ულაყებივით ჩაცვივდნენ ტბაში. — ნუ გეშინია ბაბულია, ნუ... — ჩასძახოდა იულონს ყურში ბაბუა...), „უდაბურობა“ არ შეესაბამება „აღმავალი ცხოვრების“ ოპტიმისტურ ილუსტრაციას. მსუბუქი, აუხსნელი მელანქოლიური განწყობილებით გაჟღენთილი სტრიქონები მიუსაფრობითა და ბედისწერის სიმძიმილითაა აღსავსე. თოვლი, რომელიც დომინირებს სტეფანე კასრაძის სხვა მოთხრობებშიც, აქ იულონისა და მისი დის, ჩატუს, უღბლო ცხოვრების ფონს ქმნის: „...მთელი ღამის განმავლობაში ებრძოდა მთვარეს ქარი და ჯანყში ბურავდა. განთიადზე წამოვიდა თოვლი და ქარმა მხარი იცვალა, ჩრდილოეთისკენ გაიჭრა, ატორტმანებდა ხეებს და მისი ბორგვა დიდხანს ისმოდა შორიდან ყრუდ. ბოლოს ისიც მიწყდა. მოდის თოვლი უხვი. ჰქსოვს და ჰქსოვს სოფლისთვის თეთრ წინდებს, ჰქსოვს მყუდროებას, სადაც იძირება აღტაცება პირუტყვთა და კაცთა, ღია თვალებით რომ ხედავენ ზეცის გარღვევას და ასე ახლო კრთომას ზეცისას. ცა ჩამოდის ფიფქად და ყოველი ფიფქი საზღვარია საოცრების და იმდენია საოცრება, რომ არა ჩანს საზღვარი, რომელიც შეიძლება იყოს სადმე, იქნებ ახლოს, მაგრამ მყუდროება ჰბოჭავს პირუტყვთა და კაცთა და აღტაცება სულიერთა სდება სათნო“. თოვლით დაბურული, ეს თავისთავად უკვე არაყოფითი გარემო თანდათანობით მწერლის მისტიური ხედვით იმსჭვალება. ყვავილ-ბატონებით გათანგული და-ძმის უიმედო დუმილი, ამ დუმილს მიყურადებული ბაბუა იაგორა, თოვლიან ტრამალში ღვთის ანაბარად მიტოვებული ქოხი მინავლებული ბუხრით, რომელიც უძრაობისა და სიჩუმის უხილავ ტალღაზე თრთის და თანდათანობით მაღლა იწევს, რადგან ჭირვეულ ყვავილ-ბატონებს უპყრიათ ხელში.

„...უეცრად აფთარას ფეხის ხმა მოესმა და წამოხტა, ერთი დაიღრინა და შესდგა, ყური დაუგდო... არავითარი ხმაური არ არღვევდა თოვლიან ღამის მყუდროებას და ამ მყუდროებაში, ვიღაც ტკბილ-ხმიანმა გაბმით დაიძახა:

— აალილო-ო-ო-ო-ო

ბაბუას სიამით, გაეღიმა. იულონსაც იამა და უნებურად მოაგონდა ბავშვობა, როცა პირველად შეკრთა ჩამოვარდნილი ვარსკვლავის ხილვაზე...“

მოთხრობა ფაქტიურად დაწერილია ფინალისთვის, სადაც იულონს თავისი უკვე დასნეულებული სულის მაცნედ გამოეცხადება საკუთარი გოლიათური ძალითა და ყოვლისშემძლეობით გულარძნილი მარტოხული — ტყისკაცი. „...დაღონებული იჯდა ტყის კაცი, ჩიბუხს დარდიან კაცივით ზედიზედ სწევდა და მონადირეს ის შეეცოდა...“

ერთი წლის მანძილზე (1928) „მნათობში“ დაბეჭდილი თუნდაც ორი მოთხრობის „მებადურთ უბნისა“ და „მეჯინიბეს“ შედარება ერთმანეთთან ცხადყოფს იმ შინაგან მზარდ პოტენციას, რომელიც გააჩნდა სტეფანე კასრაძეს, როგორც მწერალს და რომლის სრულყოფილ გამოვლენას დრო სჭირდებოდა. ალბათ, ამითვე აიხსნება „მემარცხენეობის“ თეორეტიკოსის ბ. ჟღენტის ეს საკმაოდ არგუმენტირებული ინტუიცია: „სტ. კასრაძის სახით თანამედროვე ქართულ პროზას ერთ-ერთი მძლავრი მწერალი ემატება. პოტენციაც, სალი პერცეფციაც, შესრულების თავისებურობა და დამოუკიდებლობაც — ყველა პირობები მძლავრი მწერლისათვის მოცემულია მის მიერ გამოქვეყნებულ რამოდენიმე მოთხრობაში...“ („ქართული მწერლობა“, 1927 წ. № 2, ბ. ჟღენტი, „1929 წელი ქართულ ლიტერატურაში“).

„მებადურთ უბნის“ „ვარდის ფრთილივით წითელ მზეს“, რომელიც ფუტკრებით მოზუზუნე „აყვავებული აკაციებით სავსე ეზოებს“ ათბობს, „მეჯინიბეში“ მკვეთრად ცვლის მზე — გიგანტური სხეულის თავი, დაღამებასთან ერთად რომ „დაბლა მიაგორავს“. „მზის საგზური უდაბნოა: შენობები ცერზე დგებიან მგზავრობის ბედს რომ უცქერონ, მაგრამ მალე, მხრებში თავჩაწყობილნი ეძლევიან თვლემას. მხოლოდ თითო ნავები დგას ისევ ქურუხად, თითქოს უდაბნოს აქლემი იყოს; დგას ყველაზე მაღალი, ცის ზურგს მიბჯენილი და გასცქერის საცნაურ უდაბნოს, შემდეგ მზად არის შენობებს გადაალაჯოს და ლამის საგზლად წაიღოს ყომრალი. კვამლი, რასაც დინჯად იცოხნის. მაგრამ დილაა ეხლა, არც დილა — მხოლოდ ამ წუთში გათავდა ღამე, საყვირმაც მოათავა ღრიალი და რიჟრაჟი დაამწიფა...“ ამ მოთხრობაში მამა-შვილისათვის არსებობის ზეცნობიერი დროა ჩამომდგარი „...დილაა ახლა, არც დილა — მხოლოდ ამ წუთში გათავდა ღამე“... ყოველ შემთხვევაში ასეა დანახული 1905, 1914 თუ 1917 წლების სიდუხჭირეთა მომსწრე მეჯინიბე კობა და მისი შვილი შაქრო.

„მეჯინიბე“ მოქნილი, ტევადი ფრაზებითაა გამართული. მას უაღრესად ზუსტი რიტმი აქვს, ამავე დროს დაწერილია, როგორც მხატვრული კინოსცენარი. კ. მიქაბერიძისა და მ. ჭიაურელის ოციანი წლების ფილმებისათვის.

„გლეხები დარბოდნენ და მათ ჩრდილს ცეცხლი მინდორზე აბარბაცებდა, სადაც ტირიფებია და ლელეა, და ღელე ციმციმებს ვერცხლის ყაიშივით. ქოხები გმინავდნენ და გმინვით ებრძოდნენ კვამლსა და ცეცხლს, რომელიც მწყობრად ანათებდა მიმავალ ყაზახების ზურგს, ცხენების გავას და ისევ ზურგებს...“

ან კიდევ: „გავიდა ფხიზლობის დრო. ლოლა დაიქანცა და თვლემს. ისმის ოდნავ გასაგონი ფშვინვა. შაქრო თვალებდაწითლებული დგას, კედელზე ვეებერთელა ლანდია, თმა აბურძგვნილი და ფართო მხრებიანი: „ესეც შენი ლოლა... ამხანაგებს შურდათ, ეხლაც შურთ! მაშ, შაქარა, მამა ბრძანდებით? მომილოცნია, მომილოცნია...“

კიდევ ერთი ფრაგმენტი: „დაჰკრეს ბუკი, ბუკმა საყელოში ჩაავლო ჯარისკაცებს ხელი და ქოხებს მოჰგლიჯა. ჯარი მოგროვდა. თოფები მხარზე. ყაზახები ცხენზე. დაეწყვნენ.

— ნაბიჯი-ით! დაიძრნენ — ერრ, ორრ, ჰამი! ბული ავარდა გზაზე — ჯარის ნატერფალი. მტვერი დადგა შორს შესახვევში და შესახვევშივე კრთოდა ხიშტების ელვარება“...

„უსამართლობა? სამართლიანობა? ნეტავი მაცოდინა, რა არის ან ერთი, ან მეორე!“ (სტ. კასრაძე) თუკი მწერალი შინაგანად მოწოდებულია ეს არკვიოს და არკვიოს სწორედ მაშინ, როდესაც უდიდეს ისტორიულ ქარტეხილებს წვდება, ჩანს, მისთვის ამ მოვლენებში ჩაბმული გაუკულმართებული ადამიანის დაბრუნებაა უმთავრესი. „მეჯინიბეში“ კაცისკვლის აბსურდულობაცაა ნაჩვენები და მოუწყობელი ცხოვრების სიავეც — როგორც ამ კაცისკვლის შედეგი. მწერალი მიმართავს არა მშრალ რიტორიკას, არამედ ფიქრს, რომელიც არც ისე ადვილად მოდის მეჯინიბესთან — პირველი მსოფლიო ომის ჯარისკაცთან.

„...წუთით მიყუჩდა, ძნელს რასმე ფიქრობდა და შუბლიდან აზრს ეზიდებოდა, უეცრად აზრი თავზე დაეცა, კობა წამოხტა, დაეჭიდა აზრს, იატაკზე დასცა და მუცლით დააწვა. აზრი ხელიდან გასხლტომას ლამობდა და კობა ხულს ხვნეშით ითქვამდა: „ა-ა, არა! ადამიანი უნდა გაამართაო, ლორულ ზურგზე თასმები უნდა მოსცხო! რა დაგიშავა? დღეს თუ არაფერი, ხვალ დაგიშავებს; ტყვეში უნდა ჩასჩხო, არც არავინ გიცქერის — ურტყი და აბლავე, მინამ არ ამოიბლავლებს თავის უგუნურობას... მაგალითად ჯარისკაცები. სოფლელები არიან და ჩვენი სოფელი კი დააქციეს. მათ სოფელს სხვები დაანგრევენ და იმათსას კიდევ სხვები, როცა დაბრუნდებიან, ნახავენ აყრილ ოჯახს, შეჰქმნიან ურვას და ერთიც ვერ მოიფიქრებს, რომ იყვიროს: — ხალხნო, დამკარით წკეპლები ზურგზე, ეს მე დავაშავე! გვიან შევიგენ, გვიან — ბუტბუტებს კობა“. მწერალიც წუხს. მან ხომ იცის, რომ მოკლული გერმანელი ჯარისკაცის ქამარზე გაკეთებულ წარწერას: „Gott mit uns“ („ჩვენთან არს ღმერთი“), არსებობის ისეთივე უფლება აქვს, როგორც ჩვენი ჯარისკაცების რწმენას... სტეფანე კასრაძის დებიუტს ქართულ მხატვრულ პროზაში რამდენიმე ათეული წელი გვაშორებს. ურიგო არ იქნებოდა, „ქართული მწერლობის“ ოცდაათტომეულში მისი რომელიმე მოთხრობა შესულიყო. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი იქნებოდა, ვინაიდან სტეფანე კასრაძის სახელი სამუდამოდ გადაურჩებოდა უკვალოდ გაქრობას. თუმცა უკვალო — ასე ხელაღებითაც ვერ ვიტყვით, აქამდე ხომ მოაღწია მწერლის ხმამ:

„...გამიშვით გარეთ! მე გავიარ ამ ქვეყნად, ვინახულებ ყველას და რასაც ჩავიდენ ფიქრით, სიტყვით თუ საქმით, ყველაფერი იქნება სიყვარულისა და არა სიძულვილის!.. შეუძლებელია ეს იყოს საზოგადოებისათვის მავნე და აკრძალვა ამის არის უსამართლობა!“.

ᲡᲐᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲕᲜᲐᲮᲝᲗ

—მოდით, ვნახოთ თბილისი,
რატომ ტირის თბილისი?
—გოგონები დაუხოცეს,
შესადარნი დილის მზის.
ჭაბუკებიც დაუხოცეს
ავგულით და ავხელით...
—მოდით, ვნახოთ თბილისი,
მწუხარების მნახველი·
რუსთაველის პროსპექტი
მოდით, ვნახოთ, რას შვრება,
ვარდთა ნოხი დავფინეთ
მთელი ქვეყნის ბავშვებმა,
იქ რომ ცრემლი დავღვარეთ,
არასოდეს აშრება.
ვნახოთ ჩოხატაური,
წმინდა საფლავს დასტირის,
წმინდა საფლავს დასტირის
ლაგოდეხიც, მარტვილიც.
ოზურგეთი ზვარსა ჰგავს,
სეტყვით უცებ მობელილს,
მუხანათის მარჯვენით
ჩამქრალ ცისკრის მშობელი.
საქართველოს ბავშვები
მოდით, გვნახეთ ჯარადა,
თვალზე ცრემლებს შეგაშრობთ,
გულს მოგხვდებით წამლადაც.
გვსურს ვახაროთ მამული —
ყვავილების კალათა,
ვართ სიცოცხლის მდინარე,
ავდიდდებით თანდათან.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲨᲐᲛᲐᲜᲐᲫᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘᲗᲐᲪ ᲮᲐᲠ — ᲠᲐᲪᲐ ᲮᲐᲠ

9 აპრილს ტრაგიკულად გარდაცვლილი მოსწავლეების ხსოვნას

ჩვენ ვინ?—
მაგრამ ვინცა ვართ,
შენი მზის და ზღვისა ვართ;
ჩვენ რა? —
მაგრამ რაცა ვართ,
შენს მიწას და ცას ვგავართ;
რით და...
თუ რამითა ვართ,
შენი მთა-ბარითა ვართ;
ვართ და...
თუ რამისთვის ვართ,
შენთვის სიკვდილისთვის ვართ;
შენთვის ვართ და, განგებით
ნებაშეუდრეკლები,
ნიჩბებით და კეტებით
დამსხვრეული ნეკნებით,
სიმღერებით, ცეკვებით
და ყვავილთა ეკლებით
მომხდურ არაკაცების
ტანკებს მივერეკებით;
ვდგავართ ქართულ ალმებით,
„მუმლი მუხას“ ვაქუხებთ,
შენთვის დათხრილ თვალებით
მთელ ქვეყანას თვალს ვუხელთ;
მალამოც ხარ,
წვავცა ხარ.
ცრემლით გადანამულო,
ჩვენითაც ხარ—
რაცა ხარ,
საყვარელო მამულო.

ᲕᲐᲟᲐ ᲧᲣᲒᲣᲡᲘᲫᲔ

ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲔ ᲮᲝᲚᲛᲔᲝ

— შენი მასწავლებელი
მოგეწონა, ალექსი? —
ცუგრუმელა შვილიშვილს
ჰკითხა ბებომ ალერსით.
— ძალიანაც კარგია,
ბავშვებს თავზე გვევლება,
მაგრამ სუყველაფერი
როდი დაეჯერება.
ჯერ თქვა: ჯამი ექვსია
სამისა და სამისო,
მერე ამბობს, ორი და
ოთხიც ექვსი არისო.
— დაუჯერე ხოლმეო, —
ბებომ გადიხარხარა,
გულში მაგრად ჩაიკრა
საყვარელი პატარა.

ᲖᲐᲠᲘ

სკოლიდან მოსულ პაატას
იმედით ჰკითხა დედამ:
— აბა, რომელი საგანი
მოგწონს ყველაზე მეტად?
— ცხადია, ზარი, დედიკო,
რა კითხვა უნდა ნეტავ?!

ᲨᲝᲗᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

Ს (ᲡᲐᲜ)

ციკლიდან „სიმღერები ქართულ ანბანზე“

საწუთროს მგზავრს, სადაც ვსუნთქავ,
ყურს ჩამყივის პაპის სისხლი:
— ერის არცრამ გაასხვისო,
არცრამ მიითვისო სხვისი.

ᲥᲘᲨᲕᲐᲠᲓ ᲘᲡᲐᲙᲐᲫᲔ

ᲑᲣ ᲓᲐ ᲨᲐᲨᲕᲘᲡ ᲑᲐᲠᲢᲧᲘ

გულდადებით უსმენდა
შაშვის ბარტყი ბუსაო
— ცეცხლს ნუ გაეკარები,
ბუმბულს წაიტუსავო,
თუ მოგწყურდეს — მიმართე,
რუს და ნაკადულსაო.
თავს ნუ შეჰყოფ, სადაც კი,
ხესა ნახავ ღრუსაო...
ქორს, ძერას თუ მიმინოს
და მთელ იმათ რჯულსაო,
მოერიდე, იცოდე,
გაგიხეთქენ გულსაო
ჩხიკვს, კაჭკაჭს და ყვანჩალას,
ნუ დაუგდებ ყურსაო,
ისეთ ჭორებს გეტყვიან,
აადენენ ბუქსაო,
უცებ გამოვაცლიან
პირიდანაც პურსაო...
...რა აღარ დაარიგა,
ბარტყი იფხანს ყურსაო...
სახლში დედა შაშვს ჰკითხა:
— რა უნდოდა ბუსაო?!

ᲨᲝᲗᲐ ᲮᲝᲓᲐᲨᲜᲔᲚᲘ

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ!

რომელსაც მშობელი არ უყვარს,
გაყიდის სამშობლოს სანუკვარს,
წიხლსა ჰკრავს წინაპრის აბმულ
კარს —
რაც დახვდა ყველაფერს დალუპავს.
შენს ცეცხლს რა ჩააქრობს, ამირან,
თუ გიყვარს ამ ქვეყნად სამი რამ —
ღმერთი,
სამშობლო,
და გამზრდელი,
იქნები ნამდვილი ქართველი,
გენთება კერა და კანდელი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

ᲮᲝᲠᲮᲝᲨᲔᲚᲐ

მთვარიანი ღამე იდგა. საბავშვო სახლისაკენ მიმავალი საბარგო მანქანა ღმუილით აუყვა აღმართს. ძარას თოვლით დაფარული ბრეზენტი ეხურა. გზას აქეთ-იქით უღრანი ტყე მიჰყვებოდა. ნაძვის ჩრდილები გადმოწოლილიყვნენ და გზატკეცილი აეჭრელებინათ.

გარედან არაფერი ჩანდა, მაგრამ მობუზული, გათოშილი, მშიერი, შეშინებული ბავშვებით იყო სავსე ძარა.

კუთხეში მიმჯდარ ბიჭუნას, მასზე უმცროსი ბიჭი მკერდზე ზურგით მისწოლოდა, თავი გადაეგდო და ძმის მხარზე მიედო. უფროსი რაღაცას გაფაციცებით ეჩურჩულებოდა, მაგრამ პატარა ძილს თავს ვერ ართმევდა და ძმა დრო და დრო ფრთხილად მუჯლუგუნით აფხიზლებდა. მერე თვითონაც მიეყრდნო ძარის ხმელ კედელს და ჩასთვლიმა.

●

უეცრად საიდანღაც ახლობელი სურნელი მოიჭრა. საახალწლოდ დაალაგა დედამ სახლი. იატაკი თაფლის სანთლით მოაპრიალა... — ისევ შემოიჭრა ცივ ჰაერში საამო სურნელი და სული გაუთბო ბიჭს. მგონი გადაწყვიტა, ძმისათვის ეკითხა, შენც ხომ იგრძენი... — ნაძვის ხეც მორთო დედამ, სანთლები, სულ ფერად-ფერადი, დაამაგრა მწვანე, კრიალაწიწვებიან ტოტებზე. წინ და უკან ტრიალებდნენ ცეცხლის, ვერცხლის და ოქროსფერი ბურთები. ნეტავი რატომ ჩქარობდა დედა. წინათ ასე ადრე არ მომზადებულა საახალწლოდ. გოზინაყისთვისაც წინასწარ დახალა და დაჭრა ნიგოზი. ბიჭებისათვის საახალწლოდ ნაყიდი ტანსაცმელი კარადაში შეჰკიდა. თან ღიმილით, თითისქნევით დაემუქრა — არ გაბედოთ, ახალწლამდე არ ჩაიცვათო. რა გული მოუთმენდათ. დედა შინ რომ არ იყო, გამოეწყვნენ, სარკის წინ იტრიალეს, მერე ხალიჩაზეც გაგორდნენ, მაგრამ მალე მორჩნენ ცუღლუტობას, ტანსაცმელი ერთმანეთს ჩამოსწმინდეს და ვითომ არაფერიო, კარადაში შეჰკიდეს. ისევ ჩაფიქრდა ბიჭი. შუაღამე იყო, ძალიან კარგად ახსოვს, საათმა სამჯერ დარეკა, მამამ რომ აკოცა. თვალი სჭუტა. დედა კედელს ზურგით მიყრდნობოდა, მოსასხამის კალთა სახეზე აეფარებინა და ტიროდა.

მერე, მეორე ოთახიდან მოესმა ტირილი. წამოვარდა, ოთახებში აღარავინ იყო. შემოსასვლელი კარი ღია დაეტოვებინათ და საშინელი სიცივე შემოდიოდა სადარბაზოდან.. უეცრად მანქანის გუგუნი მოისმა. ბიჭმა სარკმელი გამოაღო და წელამდე გადაეკიდა. სახეში და შიშველ გულ-მკერდზე ქარმა თოვლის ხორხოშელა შეაყარა, შეაჟრჟოლა, მაგრამ მანქანისთვის თვალი მაინც არ მოუშორებია. ვიღაც გრძელფარაჯიანმა კაცმა მანქანის კარი გამოაღო. მამა მანქანაში ჩაჯდომის წინ შეჩერდა და სარკმლებს ამოხედა. კაცმა უხეში ხელის კვრით სასწრაფოდ მანქანაში შეაგდო.

დედა ოთახში ბარბაცით შემოვიდა, სარკმელი აცახცახებული ხელებით მიკეტა. ოთახში შემოეყარა ქარს ხორხოშელა და ხალიჩაზე, ბიჭის შიშველ ფეხებთან მოეფინა. დედამ შვილი გულში ჩაიკრა, ლოგინში ჩააწვინა, მერე თვითონაც ჩაცმული მიუწვა. ლაპარაკი არ შეეძლო. ქვითინებდა. ბიჭსაც არაფერი უკითხავს.

პატარა ძმას ეძინა. ილიმებოდა კიდეც. მერე უცებ აკრუსუნდა, ლოგინში წამოჯდა, თვალები ფართოდ გაახილა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა — დედაო — დაიღრიალა. დედა წამოვარდა, საწოლებს თავი დაუარა, საბნის წვერი ასწია და ახლა პატარას მიუწვა, ჩაამშვიდა. ბიჭი სიზმარს ყვებოდა, თან ზლუქუნებდა. დედა ისევ ატირდა. პატარას არაფერი არ იცოდა, რაც მოხდა, მაგრამ რატომღაც მამას ეძახდა გამწარებული — მამა ორმა მგელმა მოიტაცა და ტყისაკენ მიარბენინებდნენო. უფროსმა საბანი თავზე წაიფარა, სმენა აღარ შეეძლო.

კარგად გათენებულიყო. უჩვეულო სიჩუმე იდგა. ბიჭს კუჭის ქვემოთ, თითქოს რაღაც ეწვოდა. თითქოს შიოდა, მაგრამ ლუკმა მაინც ვერ გადაყლაპა, ვერ გათბა. დედამ ორივენი სკოლამდე მიაცილა და დაარიგა — არაფერი წამოგცდეთო. თვითონ სამსახურში წავიდა.

●

— ყური მიგდე, — ისევ ჩასჩურჩულა პატარას უფროსმა ძმამ — ატყობ, მოსახვევში მანქანა ძალიან ნელა მიდის. არ შეგეშინდეს, ხმა არ ამოიღო, ბავშვებს სძინავთ და ვერავინ ვერ დაგვინახავს. ყურს მიგდებ? — პატარამ ძმას ახედა და თავი დაუქნია, — მოსახვევში ჯერ შენ გადაგაგდებ, თოვლში ჩავარდები, არაფერი არ გეტკინება. მეორე მოსახვევში მე გადმოვხტები. შენ სადაც დაეცემი, იქ გაჩერდი, ფეხი არ მოიცვალო. არ შეგეშინდეს. ხომ ხედავ, როგორი ნათელი ღამეა. გამოვიქცევი და მალე მოვალ.

პატარა ბიჭი ძმას უფრო ძლიერ მიეკრა, მაგრამ უფროსი მძიმედ წამოდგა, ეტყობოდა სიცივისაგან ფეხებს ველარ გრძნობდა. პატარას ხელები დაუზილა, ხელთათმანები გაუსწორა, ყურებიანი თბილი ქუდი ნიკაპის ქვემოთ თასმებით შეუკრა.

— არ შეგეშინდეს, — ნაძალადევად გაუღიმა. პატარას არ გაუღიმია.

მანქანა ერთ მოსახვევთან აზმუვლდა და შეყოვნდა. უფროსმა, რის ვაი-ვაგლახით აიყვანა პატარა ხელში და მარჯვნივ ძარას ფრთაზე გადააწვინა, მერე მკერდიდან მოიშორა და ნელ-ნელა ჩაუშვა. ბიჭი ჩავარდა და ზურგით გაიშხლართა., თავის აწევა მოასწრო, არ დაურტყამს. ის იყო, დაყვირებას აპირებდა, ძმის დანაბარები მოაგონდა და ხმა ჩაკმინდა.

მანქანამ რატომღაც უცებ მოუმატა სიჩქარეს, მოუხვია და წელამდე გადმოკიდებულ ძმასთან ერთად გაქრა. მოწმენდილი ციდან ცისკრის ვარსკვლავი და მთვარე შეშინებულები დასცქეროდნენ ბიჭს.

ბიჭი სასწრაფოდ წამოხტა. აქეთ-იქით ჩამუქებული ტყე სდუმდა. ნაძვებს თოვლისაგან კენწეროები დაზნექოდათ. სიზმარი მოაგონდა. სწორედ ასეთ ტყეში შეათრიეს მამა მგლებმა. გულის ძგერა ყურებში ესმოდა. ნელა დაეყრდნო ხელებს, მაგრამ მაჯებამდე თოვლში ჩაეფლო, ამოაძრო და წამოდგა. ხეების ჩრდილები ჯიუტად იწვნენ გზაზე. ვერ გაეგო, სად იყო და რატომ იყო აქ? უეცრად შეშინდა, — ვაი დედაო, — იყვირა და ატირდა.

უფროსი ორივე ხელით ჩასჭიდებოდა მანქანის ძარას და მეორე მოსახვევს ელოდა. — ვაი, თუ მეტი მოსახვევი აღარ არის, — გაიფიქრა. მაგრამ მოაგონდა. — საგარაკოდ აქეთ რომ მოდიოდნენ, დედა და მამა მოსახვევებს ითვლიდნენ. როგორი დაკლაკნილი გზებიაო — ამბობდა დედა და შვილებს გულში იკრავდა, მანქანიდან არ გადამიცვივდნენო.

●

დედაც იმავე კაცმა წაიყვანა შუაღამისას. მაშინაც ეძინა პატარა ძმას. დედა დიდხანს იკრავდა გულში, ტიროდა, თან უფროსს ეალერსებოდა და უბარებდა, როგორ მოქცეულიყო. დედა ძალიან ნელა ჩადიოდა კიბეზე, თუმცა ის კაცი აჩქარებდა. ბიჭი ფეხდაფეხ მისდევდა, კაბის კალთას ხელს არ უშვებდა. ეხუტებოდა, ყველაფერზე თავს უქნევდა, თვალებში მისჩერებოდა. დედას ცრემლი აღარ მოსდიოდა, მაგრამ სადღაც შორს იცქირებოდა და ძალიან ნაღვლიანი იყო. ჰპირდებოდა, ალბათ დასამშვიდებლად, მალე მოვალ, არ შეგეშინდეს, ჩემო ჭკვიანო და საყვარელო ბიჭოო. მამიდას დეპეშით შეატყობინე. ფული ხომ იცი, სადაც დევს, გაუფრთხილდი, ერთად არ დახარჯოო. ეს იყო ბოლო სიტყვები. ბიჭს მანქანის კარში ხელი მოჰყვა, მაგრამ ტკივილი არ უგრძვნია, მერე დიდხანს სტკია. დედას უკან მოხედვის უფლებას არ აძლევდნენ. ბიჭს სული ეხუთებოდა, მალე ძალა გამოელია, ქარი ხორხოშელას აყრიდა სახეში, თვალის გახელას უშლიდა.

●

მანქანა მოსახვევს შეუდგა, ახლაც შეყოვნდა და ცალი ფეხი გადმოსდო ბიჭმა ფრთაზე. მერე გზისაკენ ზურგით შემობრუნდა და მეორე ფეხიც გადმოიღო. ჩამოცურდა და ორივე ხელით ჩამოეკიდა. უცბად შეეშინდა, ფეხები ჰაერში აასავსავა, უკან დააპირა ასვლა, მაგრამ რაღაც ძახილი ჩაესმა. ვიღაც ცივის ხმით გაჰკიოდა ტყეში. ბიჭმა ძალღონე მოიკრიფა და ორივე ხელი ერთად გაუშვა ძარას. ზღართანი მოადინა თოვლში. ცოტა თავიც დაარტყა. ასე იწვა თოვლზე, მერე ტანსაცმელში სიცივემ შეატანა, შეაჟრჟოლა, ისევ ჩაესმა შემზარავი, გაბმული კივილი. მოაგონდა ძმა, მგელი რომ გამოვარდეს ტყიდან და მოიტაცოს... — წამოვარდა; ფეხი დაუსხლტა, წაბორძიკდა, ცხვირ-პირით წავიდა წინ, ღრმად ამოისუნთქა, ოფლმა დაასხა, მაგრამ თავი შეიკავა როგორღაც, ხელები აასავსავა ჰაერში, გასწორდა და გაიქცა. თავქუდმოგლეჯილი გარბოდა და მიხვდა, საკუთარი ხმა ესმოდა. დედას ეძახდა. შორს, თეთრ გზაზე შავი წერტილი მოძრაობდა, თუ იდგა, ჯერ ვერ გაერჩია. მერე მიხვდა, ძმა მორბოდა მისკენ, დაუძახა. პატარა ხელებგამოწვდილი მორბოდა, ფეხი ეშლებოდა, ხან თავი ძლევდა, ხან პალტოს კალთებში იხლართებოდა.

დაღლილობისაგან და სიცივისაგან ძმები სულს ვერ ითქვამდნენ, ღია პირიდან ორთქლი ამოსდიოდათ, ლოყები დასწითლებოდათ, თვალებიდან ღაპა-ღუპით მოსდიოდათ ცრემლი და პირდაპირ პირში ჩასდიოდათ.

როგორც იყო მიუახლოვდნენ ერთმანეთს და ისე ჩაეკვრნენ, როგორც მაშინ, ბედნიერები რომ იყვნენ, ახალ ტანსაცმელში გამოწყობილები, ხალიჩაზე რომ გორაობდნენ. უეცრად უფროსმა იაზრა, ძმას ხელი უშვა, წამოვარდა, პატარა მკლავით აითრია, ფეხზე დააყენა, ტანსაცმელი გაუსწორა, ჩამოუწმინდა სახე და ცხვირი მოუმშრალა, ხელი ჩაჰკიდა მაგრად და გააფრთხილა:

— უნდა გავიქცეთ, თორემ შეიძლება მანქანა უკან დაბრუნდეს.

თავდაღმართზე დაეშვნენ.

ქალაქში რომ ჩამოვიდნენ, ირიჟრაჟა. ყინვამ იმატა. ცისკრის ვარსკვლავი აკიაფდა, აკიაფდა და ჩაქრა. მთვარე გაიცრიცა და ცას შეადნა. ჯერ კიდევ ენთო ნათურები ქუჩებში. აქა-იქ სარკმლებიდან მკრთალი სინათლე გამოსჭვიოდა. გამაყრუებელი სიჩუმე იდგა. საკუთარ სახლს ჩაუარეს, მაგრამ იცოდნენ, ლუქი ედო. სკოლაშიაც ბნელოდა.

გათენდა.

ფოსტის შენობაში შევიდნენ. დარბაზში თბილოდა. რაღაც უსიამოვნო ჰაერი ტრიალებდა. კუთხეში, შავმუშამბაგადაკრული, ხმელი სავარძელი იდგა. უფროსმა პატარა დასვა და თვითონ მინებაფარებულ ფარდულებს ჩამოუარა. „აი, აქედან გზავნიან დეპეშებს“, — გაიფიქრა.

სარკმელთან ქალი იდგა და მალე წავიდა. დეპეშებს ულვაშა, სქელწარბებიანი კაცი იღებდა. კაცს ისე შეეკრა შუბლი, თითქოს გაღიმებას არასდროს აპირებდა. ბიჭს გული აუძგერდა, შეეშინდა. დედისგან დატოვებული ფული სახლში დარჩა, ან ვინ გამოატანდა... უეცრად უკან მოიხედა. ძმა მოსულიყო, გვერდით ამოსდგომოდა და მკლავზე ყურიმალით ელამუნებოდა. უფროსმა ხელი გადახვია და მაგრად მიიკრა. ჯმუხი კაცი სკამიდან წამოიწია და ბავშვებს გადმოხედა.

— რა გინდათ, ბავშვებო? — თქვა და ქაღალდებში რაღაცას დაუწყო ძებნა.

— დეპეშის გაგზავნა... ბიძია, — ძლივს ამოილაპარაკა ბიჭმა.

— მიკარნახე!

— ზუგდიდი. სოფელი... — ხმა უკანკალებდა ბიჭს. — მამიდა, ჩამოდი ჩქარა, სულ მარტოები დავრჩით... — გაჩუმდა ბიჭი და თვალი აარიდა გაოცებულ კაცს.

— ა?... მერე?

— ფული არა გვაქვს, ბიძია... — ამოილუღლუღა ბიჭმა.

— ფული? — დაფიქრდა კაცი, სახეზე ხელი ჩამოისვა, ამოიოხრა, — ღმერთო, ნუ გადამრევ... ფული რათ უნდა თქვენისთანა კარგ ბიჭებს, ბიძიებო, — გაუღიმა და დაამშვიდა ნირწამხდარი ბავშვები, — შენი სახელი მითხარი, რა გქვია? — ისე თქვა, თითქოს ლუკმა გაეჩხირა ყელში.

— ჯუხტა, ბიძია, — ამაყად თქვა ბიჭმა.

ᲓᲝᲓᲝ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ

საყმაწვილო გვერდი

ბი ანუ ბიჭი, მზე და მზის სხივები

მზე — გაიღვიძე ბი! ბი, ჰიტა!
სხივები — თვალს რად ჰუტავ?
— წამოდგომა გაგიჭირდა
ძილისგუდავ?!
მზე — რახანია გავაღვიძეთ
დიდ-პატარა...
სხივები — შენ ლოგინში წევხარ
ისევ?
გეყო, კმარა!
წამოხტი და ივარჯიშე,
აბა, ჩქარა!
მზე — რა ყოჩაღი იყავ წინათ,
დღეს რა მოგდის?
ბი — არა, მე კი არ მეძინა,
ვოცნებობდი...
სხივები — ოცნებობდი?!
ბი — დიახ, დიახ! ისე, ჩემთვის...
მეცხრე ცაზე ვისეირნე
ღრუბლის ეტლით...
სხივები — ღრუბლის ეტლით?!
ბი — სულ ქრიალით მოვიფრინე
ვარსკვლავეთი...
სხივები — კარგი, ერთი!
მეოცნებეს დახეთ, დახეთ!
თვალს ძლივს ახელს!
როგორ არცხვენს
დედისა და მამის სახელს!
ბი — ვაი! ვაი!
წყალია თუ ყინულია!
მომეშველეთ ბეე! პაა!
რისთვის მსჯიან?
მზე — ბეე, პაა, ვინღა არის?
ბი — პაპა! ბებო!
მზე — მე იმათაც პასუხს მოვთხოვ
საგანგებოდ!
ბი — იმათ რატომ?
მზე — ასეთი რომ გაუზრდიხართ,
შუადღემდე ბალიშივით ტახტზე
გდიხარ...
ყველას, ყველას ზარმაცსა და
ძილისგუდას,
ვინც არ უსმენს დილით მამალს,
მაღვიძარას,
ვინც ზოზინით, მცონარობით
გადიდგულდა,
მას დღეიდან ველარავინ
დაიფარავს...
მზე — ახლა უცებ გაიყვანეთ
აივანზე...
ბი — მომეშველეთ!
სხივები — ჩუ, რიღასთვის
ჰყავი ასე!
ბი — ჩემი გადაგდება გინდათ
აივნიდან?!
სხივები — არა, არა, მეოცნებევ,
ნუ ღვრი ცრემლებს...
და ნურც შიშობ,
ჯერ გაგაშრობთ,
მერე უნდა გავარჯიშოთ.
ბი — ახლა რა დროს ვარჯიშია,
როცა მშია...
სხივები — (ძალით ავარჯიშებენ)
დილაა თუ შუადღეა,
საღამო თუ ცისკარი,
ქრიალ-ქრიალ, ფრიალ-ფრიალ
ჩვენ სულ წინ, წინ ვიჩქარით.
თავს დავხარით ზღვებს და
კორდებს
და ვინც გულით გვინატრებს,
არ მოვაკლებთ არასოდეს
სითბოსა და სინათლეს.
ბი — კარგით, გეყოთ!
ხელ-ფეხი გსურთ, რომ
მომტეხოთ?
უკვე მივხვდი, რად დამესხით
თავს მძინარეს...
მზე — გონს თუ მოხვალ ბიჭუკელავ,
არ ინანებ.
სხივები — შრომის დროა,
ველ-მინდორი გვიხმობს გარეთ.
ტოლებს გვერდში ამოუდექ,
გაგვახარე!

გიგი ჭიჭინაძე

ვეფერები

ვეფერები ბალახს ცვრიანს,
ვარსკვლავების ლამაზ ციალს,
მწვერვალებზე ორბის ტრიალს,
ტოროლების ხმატკბილ წკრიალს!
ვეფერები მიწას ქართულს,
გოგო-ბიჭებს სწავლით გართულს.
გმირებს — ომში სახელგანთქმულთ
და სიმღერებს თქმულს და ართქმულს!
ვეფერები მამულ-დედულს,
გამოხედვას მამურ-დედურს.
ვეფერები სისხლში ნაბანს,
უსაყვარლეს ქართულ ანბანს!
ვეფერები სიმინდს, ხორბალს,
წისქვილისას ქვას და ბორბალს!
ვეფერები მზეს და მთვარეს
შვლის ნუკრის და ირმის თვალებს.
ვეფერები სტუმარს კეთილს,
სახლებს — კარებგამოკეტილს!
ვეფერები ბავშვებს ყველას,
ცაზე შვიდფერ ცისარტყელას!
ვეფერები ვარდის კოკორს,
შეყვარებულ ბიჭს და გოგოს!
ვეფერები დედას — სულმნათს,
იმის საფლავს, სახელს, სურათს!..
მამულის ცას უსაყვარლესს,
ყველა კუთხის მთას და მდელოს...
საქართველოს! — რასაც გული
მართლა უნდა მოეფეროს!

პაპა ამბობს

პაპა ამბობს — კაცი მიყვარს,
მშრომელი და ალალი.
ზარმაცსა და ფლიდს ვერ ვიტან, —
ის ხომ კაცი არ არის!
ვისაც შრომა-გარჯა უყვარს,
უბოროტო კაცია,
თავის შრომით იკვებება,
თავის შრომით აცვია...
საქართველოც იმას უყვარს,
ხალხიც, ნადირ-ფრინველიც...
ასეთ კაცებს ვენაცვალე,
ვარ მრავალის მხილველი!
აი, რატომ მიყვარს კაცი,
მშრომელი და ალალი.
ზარმაცსა და ფლიდს ვერ ვიტან, —
ის ხომ კაცი არ არის!

ავთანდილ მეგრელიშვილი

სურვილი

ვარდმა ეზო დაამშვენოს,
ამაგრებდეს ლობეს რცხილა,
კალატოზმა არ აშენოს
მიბრეცილად, მობრეცილად.

ტრაქტორისტმა ხარვეზ-ხარვეზ
არცა ხნას და არცა თესოს.
მწყემსმა—მწყემსოს,
თერძმა—კეროს,
ოღონდ კარგად გააკეთოს...

ცხრათვალა მზემ ეს მთა-ბარი
შეამკოს და აფერადოს...
მამულს ბევრი სასახელო,
ზრდილი შვილი გაეზარდოს!

ალექსანდრე დიდებაშვილი

ლეკვი საბავშვო ბაღში

გიამ ლეკვი მოიყვანა,
თქვა — შეხედეთ, იცის ყეფა!
— ჰამ-ჰამ-ჰამ-ჰამ! — ციცქნა
ცხოველს
შეეჯიბრა უმალ ბექა.
მერე ბექას შაქრო აჰყვა,
შაქროს — დათო, დათოს — თინა,
ჩაისუნთქა კახაბერმა
და ბოხი ხმით შეუღრინა,
ყეფს ციცინო, ყეფს თამარი,
ყეფს ლაშა და ნაზი ლელა,
რა ბაღია ამისთანა
ძაღლს უტევენ ერთად ყველა.
ავობს ზურაც, ავობს კატოც,
აქეთ — მზია, იქით — ტატო.
ჩუმად არის ძაღლი მარტო
და შესცქერის თავის პატრონს:
— რად ყეფენო, ნეტავ რატომ?

ცირა ძიტიაშვილი

მე და ჩიტი

ატმის შტოზე გალობს ჩიტი
ილიმება ატმის კვირტი,
პაპა ვენახს სხლავს და ბარავს...
ლექსებს ვამბობ წარამარა!
ბებია კი გულით ხარობს,
ამბობს: ჩიტზე უკეთ გალობ!
ახლა მინდა მომისმინონ
შოთამ, გიამ, ლელამ, ნინომ.
შევისწავლე უკეთ ლექსი,
სხვა რა მინდა უკეთესი?
დამინახონ ვარ რა ბიჭი,
დავაბიჯებ სხვა ნაბიჯით...
ბებია და პაპა ხარობს,
მე და ჩიტი ერთად ვგალობთ!

გიორგი მეტრეველი

ნორჩი არქეოლოგები

კორნელი ვენძეხაძის ფოტო

გოჭი, ჭუკი და მამალი

გოჭი გაზეთს კითხულობს,
თან ბილიკზე მიდის.
— ფრთხილად, —ჭუკი
აფრთხილებს,—
მანდ ორმოა დიდი.
გოჭმა არ შეისმინა,
კითხულობს და მიდის,
კითხვით გადაიარა
საცალფეხო ხიდი.
— ფრთხილად,—ისევ ეძახის
ლოდზე მდგარი ჭუკი.
ძროხა არაფერს ამბობს,
უყურებს და უკვირს.
მიდის... გაქრა უეცრად
გოჭიც, გოჭის ჩრდილიც,
ტყაპ! — ორმოში ჩავარდა,
სიბნელეში ჭყივის.
ხელით ამოიყვანეს,
არ დასჭირდათ თოკი,
აბანავა მამალმა,
წყალი ასხა კოკით.

ახლა გოჭი დარცხვენილი
მიდის თავის გზაზე,
ჭუკს უთხრა, რომ არასოდეს
მოიქცევა ასე...
მაგიდასთან წაიკითხავს
ჟურნალსა და გაზეთს.

სამნი ერთი ქოლგით

წვიმა ბაღებს აშრიალებს.
მზე ღრუბლებში ჩადის,
ქვაფენილზე დაცვენილა
ყვავილები ატმის...
და წვიმაში,
ქოლგით ხელში
მშვიდად მიდის ბატი,
მიჰყავს თაგვი და კურდღელი,
მფარველია მათი...
ორღობეში ჩაიარეს
სამმა ერთი ქოლგით,
სარკმლებიდან უყურებენ
ნინო, გია, გოგი.
ახლა მათთვის ეს ამინდი
სულ არაა ცუდი,
წვიმს...
მიდიან და სველდება
მხოლოდ თაგვის კუდი.

ვაჟა ხორნაული

ციცინათელების ზღაპარი

მთელი დღე მზის ათინათინები (დედიკო მზე-ციმციმებს და ნათელებს რომ ეძახდა) მინდორში ყვავილებთან თამაშობდნენ, ყელზე ეხვეოდნენ, გარშემო ურბენდნენ, ფესვებში უძვრებოდნენ და ულიტინებდნენ, ისე რომ ყვავილებს სიცილისაგან ლამის გული წასვლოდათ... მთელი დღე ერთად იყვნენ. საღამოს კი...

ოჰ, ეს საღამოები რომ არ ყოფილიყვნენ, სულ არ ყოფილიყვნენ...

საღამოს...

საღამოს ასე ხდებოდა: ციმციმები და ნათელები ერთიანად აიკრიფებოდნენ და დედიკო მზესთან ერთად სადღაც ცის დასავლეთის იქით ჩაეშვებოდნენ, ჩაეშვებოდნენ და გაუჩინარდებოდნენ. ყვავილები კი ფიქრებს მიეცემოდნენ ხოლმე. აი, რას ფიქრობდნენ ისინი:

— ნეტავ სად მიდის მზე?
— ნეტავ რად მიდის ან?
— იქნებ, რომ ვთხოვოთ ჩვენც,
ჩვენც წაგვიყვანოს თან?

ერთხელ კი...

ერთხელ კი ასე იფიქრეს: „ჩვენ ვერ წაგვიყვანს, ჩვენი წაყვანა შეუძლებელია. ფრენა კი არა, სიარულიც არ შეგვიძლია, ფესვებით დედამიწაზე ვართ მიჯაჭვულნი, აი, თვითონ კი... იქნებ თვითონ დარჩეს სულ აქ?

— არა, სულ ვერ დავრჩები, — თავი გაიქნია უარის ნიშნად მზემ, — მე, იქით, დედამიწის მეორე მხარეს, სხვა მინდორ-ველები, ჭალები, სერები, ტყეები, მთები, მდინარეები, ზღვები და ოკეანეები მელოდებიან, რომ გავათბო და სინათლე მოვფინო... არც იმათ უყვართ ღამე.

ყვავილები კიდევ ჩაფიქრდნენ: — მაშინ... მაშინ ზოგიერთი ციმციმა და ნათელა მაინც დაგვიტოვე, — შესთხოვეს მორიდებით.

— მთელი დღე ერთად ყოფნა არ გყოფნით? — იკითხა მზემ, — ღამით ხომ მაინც უნდა დაიძინოთ?

ყვავილებმა ერთხმად უპასუხეს:

— ვერ ვიძინებთ, უკუნეთი სიბნელისა გვეშინია, როცა მთვარეს ღრუბელი ეფარება, [illegible] კი ვეღარ ვხედავთ.

მზე ერთხანს გაჩუმდა, თითქოს რაღაცაზე ფიქრობდა, მერე ბალახებში მარგალიტის მძივებივით ჩაბნეულ თავის ციმციმებსა და ნათელებს ცერად ჩახედა და მათ გასაგონად თქვა: — აი, თუ თვითონაცა სურთ?!.

ციმციმებსა და ნათელებს ხმა არ ამოუღიათ, ჩუმად იყვნენ, და დედიკო მზე მიხვდა, რომ დარჩენა სურდათ.

— როგორც გინდათ... დარჩით! — თქვა მაშინ მზემ, ცოტა ნაღვლიანად, — ოღონდ კარგად გაიგონეთ და დაიხსომეთ ჩემი ნათქვამი, ჩემო პაწიებო, ჩემო ციმციმა და ნათელა ათინათებო, ერთხელ თუ დარჩებით, უკან, ჩემთან ვეღარასოდეს დაბრუნდებით, რადგან ამის შემდეგ ღამისები იქნებით. თანაც, იმდენხანს ვეღარ იცოცხლებთ, ასე უსაზღვროდ დიდხანს, როგორც მე ვცოცხლობ. თანაც, მხოლოდ ღამით გაანათებთ, დღისით ჩემს ნათელში ჩაიკარგება თქვენი ნათება. თანაც, მარტო დღისით შეგეძლებათ ჩემი ნახვა.

— არა, — იყვირეს ყვავილებმა, როდესაც ეს სიტყვები მოისმინეს, — არა, სულაც არ გვინდა, ჩვენი გულისათვის ამდენი რამე დაკარგონ ციმციმებმა და ნათელებმა!

— ჩვენ კი არ გვინდა, მთელი ღამე შიშით კანკალებდეთ, — მიაგებეს პასუხად მაშინვე ციმციმებმა და ნათელებმა ყვავილებს, — თუმცა, „ძალიან გვეძნელება ჩვენს დედიკო მზესთან" თუნდაც მარტო ღამით დაცილება...

ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა, უსაშველოდ დიდი ხნის წინ, მას შემდეგ ციმციმები და ნათელები (რა თქმა უნდა ყველა არა) აქ დარჩნენ, აქ დარჩნენ და ისინი ღამის ბრჭყვიალა პეპლებად იქცნენ... ადამიანებმა მათ შემდეგ ციცინათელები შეარქვეს. მას შემდეგ ციცინათელები მთელი ღამე ერთგულად თავს დასტრიალებენ ყვავილებს, რომ სიბნელის არ ეშინოდეთ. ყოველ გათენებას კი მოუთმენლად ელიან, რომ მზე-დედა იხილონ. მაგრამ მთელი ღამის უძინარები, თავს ვეღარ იკავებენ, ბალახებსა და ყვავილების ძირებთან წვებიან და ღრმად იძინებენ. მზე კი, ამოვა თუ არა, თავის მძინარე პაწიებს თბილ, ქარვისფერ, კაშკაშა სხივების ახლაბუდაში ახვევს და ნაზად ეფერება:

— ჩემო პაწიებო, ჩემო ციცინათელებო, რომ იცოდეთ, ახლა უფრო მიყვარხართ, იმიტომ რომ ასეთი სათნოები, კეთილები და მოსიყვარულენი ხართ...

მერი ბოლქვაძე

შემოდიოდა სიკვდილი ცელით...

ირაკლი რაზმაძე

მართალი გითხრათ, არ მეგონა, დღეს — ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნის ჟამს, როცა დავგმეთ ტირანია, როცა კონსტიტუციურად ვაღიარეთ სიტყვის თავისუფლება და აღვადგინეთ გათელილი ღირსება ადამიანისა, როცა მის ხელშეუხებლობაზე დავიწყეთ ზრუნვა, კვლავ უკანონობისა და სისასტიკის მხილველი აღმოვჩნდებოდი.

კარგად მესმის, რომ დიდი ეროვნული გლოვის ჟამს მოგონებების წერის დრო არ არის, მაგრამ 9 აპრილის განთიადს მოძალადეთა ხელში აპრიალებული ბასრი ნიჩაბი ჩემს შეუხორცებელ სულიერ ჭრილობებსაც მოხვდა. გადავწყვიტე, მკითხველისთვის მეჩვენებინა ქართველობის მიერ გადატანილი სისხლისღვრის მხოლოდ ის მცირე ნაწილი, რისი უშუალო მოწმეც მე გახლავართ. (სამწუხაროდ, ამ ამბების მხილველი სულ უფრო და უფრო ნაკლები რჩება).

ჩვენი საზოგადოებრიობის, ახალგაზრდობის მიერ წამოყენებული გონივრული ლოზუნგების განხორციელებას დრო სჭირდება. ბევრი რამაა გასათვალისწინებელი, არ უნდა აჰყვეთ პროვოკაციებს, რაც ჩვენს ავისმოსურნეთ გაახარებს და ძალის გამოყენების ახალ შესაძლებლობას მისცემს. ქართველები ბუნებით ფიცხნი ვართ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სიფიცხესთან ერთად გონიერებაც მოგვდგამს. გთხოვთ, მოთმინებით წაიკითხოთ ეს წერილი. მასში, საყოველთაოდ ცნობილ გარემოებათა გარდა, შეიძლება ნაკლებად ცნობილიც იპოვოთ.

მე-11 არმია, ყველას კარგად მოეხსენება, თბილისში 25 თებერვალს შემოვიდა, 26-ში კი მისი ნაწილები უკვე თელავში შემოიჭრნენ. სწორედ იმ დღიდან დაიწყო კახეთში გაუთავებელი რეპრესიები, რასაც თანდათან აძლიერებდნენ.

ამ დროს მამაჩემი, ნიკოლოზ რაზმაძე, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე იყო, რევკომის თავმჯდომარედ მოგვევლინა შალვა მათიკაშვილი. მან მამაჩემს გაუგონარი რამ მოსთხოვა: მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ყველა გადაწყვეტილება და განაჩენი დასამტკიცებლად რევკომში მისთვის წარედგინა. შალვა მათიკაშვილის მოთხოვნა მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას მოხსენდა და იგი უარყოფილ იქნა, როგორც სრულიად უკანონო.

მაშინ მათიკაშვილმა ე. წ. „პოლიტბიუროს“ (ასე იწოდებოდა იმჟამად РОГБ) უფროსს უბრძანა მამაჩემის დაპატიმრება. ოთხმა ნაგანიანმა ჩეკისტმა დავალება სწრაფად შეასრულა, კახეთის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე თელავის ციხეში ჩასვეს და ამისთვის რევკომის თავმჯდომარის პირადი ბარათი აღმოჩნდა საკმარისი. რა იცოდნენ მამაჩემმა და ყრილობის სხვა წევრებმა, რომ მართლმსაჯულების ისტორიაში სრული განუკითხაობის „ახალი ეპოქა“ იწყებოდა და სამართლიანობის, კანონიერების პრინციპები, რასაც მათ უნივერსიტეტებში ასწავლიდნენ, ზედმეტ ბარგად იქცეოდა.

თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობის შემდეგ სოკოებივით იწყეს აღმოცენება სხვადასხვა პარტიებმა. მათი აგიტატორები ერთად თავშეყრილ 3-4 კაცს დაინახავდნენ თუ არა, წამსვე შემაღლებულ ადგილზე ან თან წამოღებულ ტაბურეტზე შედგებოდნენ და მორთავდნენ ყვირილს: „მხოლოდ ჩვენი პარტია მოუტანს ბედნიერებას ხალხს. სხვა პარტიებისას ნურაფერს იწამებთ. ჩვენ, მხოლოდ ჩვენ მოგვყევით!“ თურმე ასე აიტაცებს ხოლმე კაცს ძალაუფლების ხელში ჩაგდების ჟინი.

ერთხელ მამას ვკითხე: რომელ პარტიას ემხრობი-მეთქი?

„ჯერ ბავშვი ხარ, მერე გაიგებ ყველაფერს. მე მოსამართლე ვარ და ამიტომ არც ერთ პარტიას არ უნდა ვეკუთვნოდე და არც ერთს არ უნდა თანავუგრძნობდე. ღმერთმა დაგვიფაროს, პარტიამ მოსამართლის სინდისზე იქონიოს ზეგავლენა“, — მითხრა მამაჩემმა (დღეს, გარდაქმნის ხანაში, როცა სასამართლოს დამოუკიდებლობაზე იწყეს საუბარი, მამაჩემის ის სიტყვები მაგონდება).

მაგრამ მაშინ, 1921 წელს, ადამიანთა ბედს უკვე „ახლებურად“ განაგებდნენ. — მამაჩემი, როგორც უკვე ვთქვი, თელავის ციხეში იჯდა.

ორი-სამი კვირა მათიკაშვილი სადღაც იყო გამქრალი. ბოლოს, გამოჩნდა და შავცხენებშებმული ფაეტონით შეგრიალდა თავის „რეზიდენციაში“ — ერეკლე მეფის სასახლეში. დიახ, რევკომის თავმჯდომარეს ერეკლე მეფის სასახლის გარდა სხვაგან ცხოვრება არ ეკადრებოდა!

თოთხმეტი წლის ბიჭს კარებში გაძრომა არ გამჭირვებია. რევკომის თავმჯდომარის ბინაში აღმოვჩნდი. ჩემს წინ, მაგიდაზე, ხისბუდიანი მაუზერი იდო, მისი მფლობელი კი ფანჯარასთან პალტოს იხდიდა.

ერთი სული მქონდა, მაუზერი ამეღო და შური მეძია, მაგრამ ამ იარაღისა არაფერი გამეგებოდა.

მათიკაშვილმა, ეტყობა, რაღაც იგრძნო. შემობრუნდა და სახტად დარჩა.

მისალმების გარეშე მივახალე:

— ათავისუფლებთ თუ არა რაზმაძეს?

რევკომის თავმჯდომარე წამით ჩაფიქრდა, მერე მოკლედ მომიჭრა:

—ვათავისუფლებ.

— როდის?

— დღეს.

— დღეს კი არა, ახლავე...

მათიკაშვილმა ბლოკნოტის ფურცელზე დაწერა: „გაათავისუფლეთ რაზმაძე!“

ნანატრი ქაღალდით ციხისკენ მოვკურცხლე.

ციხიდან გამოსული მამაჩემი ხალხმა ხელში აიტაცა და მხიარული შეძახილებით შინ მიიყვანა.

გავიდა ცოტა ხანი. მოსამართლეთა ყრილობა გააუქმეს, მამაჩემი კი რაიონის პროკურორად გადაიყვანეს. როცა მალე აქედანაც გაათავისუფლეს, დამცველთა კოლეგიას მიაშურა. ცხოვრება გვიჭირდა, ძირითადად ჩვენს მიწას ვამუშავებდით და ამით გაგვქონდა თავი.

ამბობდნენ: პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რამდენიმე ამხანაგით პარტიზანად გავიდაო. ისინი ხალხს არ ძარცვავდნენ, უსამართლოს არაფერს სჩადიოდნენ. მაინც „ჩოლოყაშვილის ბანდას“ ეძახდნენ. მათთვის სურსათის მიწოდებისათვის აპატიმრებდნენ, ხვრეტდნენ.

ახლოვდებოდა საზარელი 1924 წელი.

გახშირდა პირადი ანგარიშის სწორება, რეპრესიები, ლაღად დათარეშობდნენ საგანგებო დანიშნულების ნაწილები (ЧОН), სამეულები, სხვა დამსჯელი რაზმები. მათ მეთაურობდნენ მამია ერისთავი და შალვა ოთარის წერეთელი. პოპულარული გახდა ლოზუნგი: „ვინც ჩვენთან ერთად არ არის, ის ჩვენი მტერია!“ მათთვის არამოსაწონი ყველა პირი „კონტრრევოლუციონერებად“ შერაცხეს, სუფთად ჩაცმულებს „ბურჟუებს“ ეძახდნენ. ეკლესიებში ღვთისმსახურება შეწყდა, მღვდლები ძალით გაკრიჭეს, ხატებს სამიზნედ იყენებდნენ — აბა, თვალში ვინ მოარტყამსო. ამით გამოხატავდნენ ათეიზმს, ყველაფერი ეს ცნობილია. მოკლედ, კახეთშიც იგივე ხდებოდა, რაც საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

ჩვენი „განმათავისუფლებლები“ თავს უკვე სრულუფლებიან ბატონებად გრძნობდნენ. რაც მოეპრიანებოდათ, იმას სჩადიოდნენ. შეწინააღმდეგება, შეკამათება კონტრრევოლუციურ დანაშაულს უტოლდებოდა და დაუყოვნებლივ ისჯებოდა. (მოგვიანებით, 1926 თუ 1927 წელს, კანონმდებლობის ორტომეულში ამოვიკითხე, რომ ОГПУ მოწოდებულია ებრძოლოს კონტრრევოლუციას, საბოტაჟს და ა. შ. და მას უფლება ენიჭება, განუკითხავად, სურვილისამებრ „ანგარიში გაუსწოროს“ კიდეც). მაშინ ნათელი გახდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად აუცილებელი ყოფილა დაკანონებული განუკითხაობა, ძალმომრეობის შეუზღუდაობა.

1924 წელს კახეთში აჯანყება არ მომხდარა. მოიგონეს დასავლეთ საქართველოში რაღაც „მენშევიკური ავანტიურა“. დამსჯელმა რაზმებმა დრო იხელთეს და მასობრივი დაპატიმრებები იწყეს. ხსნა არსაით ჩანდა. ბალღები უმშობლებოდ რჩებოდნენ, ძალადაშრეტილი მოხუცები — მარჩენლის გარეშე.

ერთ ღამეს, როცა სახლში მამა და ჩემი ათიოდ წლის და იყვნენ, „პოლიტბიუროდან“ მოვიდნენ და მამაჩემი წაიყვანეს. საგულდაგულოდ გადაქოთებულ სახლში ატირებული და დამხვდა.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ თელავის „პოლიტბიუროს“ შენობიდან საკაცით მამაჩემი გამოიყვანეს (ზედ გადაფარებული პალტოთი ვიცანი). საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმ გიორგი ავალიშვილის კაბინეტში შევვარდი. მამაჩემს პალტო გადავხადე. უღვთოდ ნაწამები ჩანდა. უგონოდ იყო. ექიმმა გარეთ გასვლა მთხოვა. შემპირდა, რაც კი შეიძლება, ყველაფერს ვეცდებით. გარეთ ჩეკისტები იდგნენ. ნაწამებ, უგონოდ მყოფ მამაჩემს დარაჯობდნენ — არ გაიქცესო. ადვილი წარმოსადგენია, რა განცდაც დამეუფლებოდა. „ჯალათებო, მკვლელებო, კაციჭამიები ხართ-მეთქი“, — მოვრთე ყვირილი.

ცხადია, დამაპატიმრეს და ბნელ საკანში შემაგდეს! იქ ჩემი ყოფილი თანაკლასელი საშა ჯორჯაძე დამხვდა.

იმ წელს ტექნიკუმში ორმა კლასმა დაამთავრა. კურსდამთავრებულთაგან ბრაუნინგის ხათრით მხოლოდ საშა ჯორჯაძე შევიდა კომკავშირში. ასე იყო დაწესებული: ვინც შევიდოდა, იარაღს მისცემდნენ.

ჯორჯაძემ მითხრა: „შენ აუცილებლად გცემენ. პალტო მაინც ჩაგეცვა, ცოტას დაგიფარავდაო“ (არადა, აგვისტოში რა დროს პალტო იყო).

ღამით „პოლიტბიუროს“ უფროსთან, ჯაფარიძესთან, მიმიყვანეს. მან გრძელი ნოტაცია წამიკითხა, მუქარით ამავსო და ბოლოს გამომიშვა იმ მოთხოვნით, რომ თვალად არ დავენახებოდი.

ვერ გეტყვით, ჯორჯაძე როდის გამოუშვეს, მაგრამ 3-4 დღის შემდეგ იგი კომკავშირულ პატრულში რომ აღმოჩნდა, ეს ნამდვილია.

დახვრეტები უკვე დაწყებული იყო.

ზემოთ, „პოლიტბიუროში“, ჯაფარიძე მძვინვარებდა, სართულით ქვემოთ კი, ფიცრის იატაკიანი აივნის ქვეშ, ხელფეხშეკრული პატიმრები ისხდნენ. „პოლიტბიუროს“ შენობასთან მისულმა ჯორჯაძემ დასახვრეტად გასაყვანი მამამისის და ბიძამისის გვარები გაიგონა. აბა, რა გააჩერებდა. „პოლიტბიუროს“ უფროსის ჯაფარიძის ოთახში შევიდა და ითხოვა: „თქვენი ვარ, კომკავშირელი. მამაჩემის და ბიძაჩემის სიცოცხლე მაჩუქეთო“. ჯაფარიძემ უღრიალა: „გაეთრიე აქედან, შე ძაღლის ლეკვო, თორემ ორივეს შენი ხელით დაგახვრეტინებ!“ მაშინ მოიხმარა საშა ჯორჯაძემ ის ბრაუნინგი, რისი ხათრითაც კომკავშირში შევიდა. ორი ტყვია ჯაფარიძეს მიაჭედა, მეორე ჯალათი — საშა ქორიძე ხელში დაჭრა და როცა შალვა მათიკაშვილს მიუბრუნდა, იარაღმა უმტყუნა, სარევკომო ტყვია გაიჭედა და არ გავარდა. მათიკაშვილი გადარჩა, ბოლო 17 წლის ლამაზი ბიჭი — საშა ჯორჯაძე იქვე, დასახვრეტად გამზადებულ ხელფეხშეკრულ მამის და ბიძის თვალწინ დაცხრილეს და ხმლებით აჩეხეს.

ჯაფარიძის კაბინეტში დაწყებული სროლა სხვაგან გაგრძელდა. ისროდნენ აივანზე, ეზოში, მოედანზე, ციხის კართან. „პოლიტბიუროს“ აივნიდან სისხლი ღვარად მოედინებოდა და ქვევით ხელფეხშეკრულ პატიმრებს ასხამდა. [illegible]

პატარა ქალაქის ცენტრში უამრავი გვამი ეყარა. მკვლელები ჩქარობდნენ. გვამები განთიადამდე უნდა გაეტანათ. სასწრაფოდ ურმები მოიხმარეს. — აი, რატომ ვერ მოასწრეს „პოლიტბიუროს“ ქვედა სართულზე მყოფ სასიკვდილოდ გამზადებულ პირთა დახვრეტა. მეორე დღეს მოსული ბრძანებით კი დახვრეტები დროებით შეწყდა. საშა ჯორჯაძემ მამა და ბიძა ვერ გადაარჩინა, მაგრამ თავისი სიცოცხლის ფასად ათეულობით ადამიანი იხსნა სიკვდილისაგან.

გაზეთები უსინდისოდ იუწყებოდნენ, რომ [illegible] ბანდების ხელით დაიღუპა ამხ. ჯაფარიძე.

სახლების კედლებზე განადგურებული „მტრების“ სიები გამოაკრეს. ნიკოლოზ რაზმაძე დახვრეტილთა სიაში აღმოჩნდა. [illegible]

[illegible] შალვა მათიკაშვილი, ჯაფარიძე, [illegible] საშა ქორიძე და სხვა ჯალათები.

[illegible]

იმ დღეს მუკუზნის სადგურში ბილეთები არ გაყიდეს. თურმე ჯაფარიძეს მატარებლით მიასვენებდნენ თბილისში.

ერთ-ერთ ვაგონში შევიპარე. გურჯაანში მატარებელს კიდევ ერთი ნახევრადცარიელი ვაგონი მიაბეს. ახლა იქ გადავედი და იმის შიშით, არავინ მიცნოს-მეთქი, კუთხეში მივიყუჟე. მატარებელი ახალი დაძრული იყო, როცა ჩემს წინ ვიღაც კაცი დაჯდა. საშა ქორიძე აღმოჩნდა — ჯორჯაძის მიერ ხელში დაჭრილი ჯალათი. ქორიძე თურმე „მგზნებარე“ თანამოსაქმის ცხედარს მიუძღვოდა თბილისისაკენ. ცხადია, მიცნო და გამომესაუბრა. (მისგან შევიტყე „პოლიტბიუროში“ იმ ღამეს დატრიალებული ტრაგედიის ძირითადი დეტალები).

მატარებლები იმხანად ძალიან ნელა მოძრაობდნენ. ამ მატარებლის სვლა კი ხაზგასმით ნელი და საზეიმო იყო. გზადაგზა მიტინგები იმართებოდა „მენშევიკთა ბანდების მიერ მოკლული“ ჯაფარიძის პატივსაცემად.

უკვე ბინდი იყო ჩამოწოლილი, როცა ჩვენს ვაგონში სამი კაცი გამოჩნდა. ქორიძე მათთან მივიდა. ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ის სამნი დროდადრო ჩემკენ იყურებოდნენ. ლაპარაკი კარგად არ მესმოდა, მაგრამ ის კი გავიგონე, რაც ქორიძემ თქვა: „მერე მე თვითონ გავაკეთებ“.

სამი ლანდი სადღაც გაქრა. დაპატიმრების შიში დამეუფლა, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე. ქორიძეს ვთხოვე, ერთ კვირაში თელავში დავბრუნდები და იქნებ სადმე სამუშაოზე მომაწყო-მეთქი, დახმარებას შემპირდა და თან გამაფრთხილა, თბილისში სამხედრო წესებია შემოღებული, ქალაქში არავის უშვებენ. მე მანქანას დამახვედრებენ და იმით წაგიყვანო. მადლობა ვუთხარი, დავარწმუნე, პერონის გასასვლელში დაგელოდებით, თუნდ დილამდე მომიხდეს ცდა-მეთქი.

ვაგონში უკვე სრული სიბნელე იყო. თბილისში შევდიოდით, ქორიძე ჯაფარიძის მისახედად გავიდა. ამით ვისარგებლე. ვაგონიდან ისე ჩამოვხტი, არავის დავუნახივარ.

იმ სახლთან, სადაც ოთახი მქონდა ნაქირავები, ტყავის კურტაკიანი და ნაგანიანი ვიღაც კაცი დავლანდე. გასაგები მიზეზის გამო ჩემს სტუდენტურ საცხოვრებელს უნდა გავრიდებოდი.

ვიმალებოდი. ყველას ეშინოდა, უსახსროდ დარჩენილს თავისით ვინ გამომიწვდიდა დახმარების ხელს. მივედი მამაჩემის ნამოწაფარ ანდრო ასმეტელთან, რომელიც იმჟამად უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. უშველა ღმერთმა. ჩემი გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა, დახმარებას დამპირდა. სამუშაოს შოვნა მაშინ ადვილი არ იყო. ამიტომ ხშირად მიხდებოდა ასმეტელთან სიარული. ერთხელაც მივაკითხე და კიბეებზე შალვა მათიკაშვილს არ შევეფეთე?! წამსვე მაუზერი იძრო. იყვირა: „ჩემს მოსაკლავად ხარ მოსული!“.

დამაკავეს. გამჩხრიკეს, მაგრამ ჯიბეში უბრალო ჯიბის დანაც არ აღმომაჩნია. დასაკითხად ერთ ოთახში შემიყვანეს. „პოლიტბიუროს“ ნებართვის გარეშე რატომ წამოხვედი თელავიდანო?“ — ჩამეძია მათიკაშვილი.

„ არაფერი ვიცოდი, წამოსვლის უფლება რომ არ მქონდა-მეთქი“, — ვუპასუხე.

მათიკაშვილმა დაკითხვის ოქმის შედგენა დაიწყო. თან მიხსნიდა: მამაშენი კონტრრევოლუციონერი იყო და ამიტომ დავხვრიტეთო. ბოლოს ჯალათურ წრეებში დიდად პოპულარული ფრაზაც მოიშველია: „ტყეს ჩეხავენ — ნაფოტები ცვივაო“.

შეადგინა ჩემი „დაკითხვის ოქმი“ და მომაწოდა. მასში ეწერა, რომ მამაჩემი, ნიკოლოზ რაზმაძე, იყო კონტრრევოლუციონერი. მე, ირაკლი რაზმაძე, სწორედ მივიჩნევ მის დაპატიმრებას და დახვრეტას. ის კი არა, ლამის მივესალმები კიდეც ამ ჯალათობას.

ოქმი წავიკითხე და გვერდზე გადავდე. „წერა-კითხვა ვიცი. მომეცით ქაღალდი. მე თვითონ დავწერ ჩემს ჩვენებას,“ — ვუთხარი მათიკაშვილს.

„სისულელეს თავი დაანებე. მოაწერე ხელი!“ — მიბრძანა მან.

ოქმი დავხიე და წინ დავუყარე. ამას კი, ეტყობა, არ ელოდა. ცოტა არ იყოს, დაბნეულმა მკითხა: „რატომ არ გინდა ჩვენთან მუშაობა?“

მე ვუთხარი, რომ ახმეტელთან სწორედ სამუშაოს საშოვნელად ვიყავი მოსული.

ცინიკურად მომიგო: „ნუ ბავშვობ, ძალიან კარგად იცი, რა მუშაობაზეც გელაპარაკებიან“.

ადვილი წარმოსადგენია, რაც დამემართებოდა. ვუყვირე: „ეგ თანამდებობა თქვენნაირი ნაძირალებისა და სისხლისმსმელებისთვის შეინახეთ!“

ამის შემდეგ რა მოხდებოდა, არავინ უწყის, მაგრამ, საბედნიეროდ, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ალექსანდრე კაჭარავამ და რესპუბლიკის პროკურორმა იაშა ვარძიელმა მოგვიასწრეს (მათთვის ანდრო ახმეტელს ეხმო). ვარძიელი მათიკაშვილთან ახლოს მივიდა და შეუვალი ტონით უთხრა: „ახლავე შეწყვიტეთ უკანონო მოქმედება და ამ ყმაწვილის დაცინვა!“ მერე მე მომიბრუნდა — „თქვენ თავისუფალი ხართ, მიბრძანდით!“— ასე გადავურჩი მაშინ ჯალათს.

შემდგომში შალვა მათიკაშვილს „ამაგი“ სრულად დაუფასეს. იუსტიციის სახალხო კომისარი (ნარკომიუსტი) გახდა, მერე კი სოფლის მეურნეობა, ქართული მიწები ჩააბარეს — „ნარკომზემად“ მოგვევლინა. (დღეს, როცა საქართველოს მრავლად გამოუჩნდა მამაპაპეული მიწების გამყიდველი მოღალატე, ასე მგონია, ისინი „ნარკომზემ“ მათიკაშვილის და მისი სათაყვანებელი ლორეშელი „რკინის სახკომის“ საქმეთა გამგრძელებლები უნდა იყვნენ).

შალვა მათიკაშვილსაც მოეკითხა ავ საქმეთა გამო. ოღონდ კანონმა კი არ მოჰკითხა, არამედ ისევ ძალადობამ — 1937 წლის ტერორმა. იგი მისთვის ნაცნობი მეთოდებით და საშუალებებით იქნა დასჯილი — აწამეს და დახვრიტეს.

მოგვიანებით შევიტყვე, რომ ხრუშჩოვის დროს მათიკაშვილის რეაბილიტაცია მომხდარა.

რეპრესიის უდანაშაულო მსხვერპლთა სახელის რეაბილიტაცია აუცილებელია. ამას ზნეობის კანონი ითხოვს. მაგრამ, როცა ერთი ჯალათის მიერ დასჯილი მეორე ჯალათის რეაბილიტაციას ვახდენთ, ეს უკვე უზნეო ქმედებაა. ცხვარი და მგელი არ შეიძლება ერთი სახელით გავაერთიანოთ — „რეაბილიტირებული“.

ჩემი აზრით, მომავალ თაობას ზნეობის მაგალითად არც ის გამოადგება, როცა ვალმოხდილ, დამსახურებულ ჯალათებს ისევე ვაფასებთ, როგორც უმწიკვლო მოქალაქეებს. ყველამ კარგად იცის, ბევრ კაცისმკვლელს მაღალი პენსიაც შეუნარჩუნდა, საპატიო წოდებაც, ორდენებიც და მედლებიც და მრავალგვარი პრივილეგიაც.

ყოფილი პოლიტპატიმრის ნაამბობს გადმოგცემთ: „ერთ დღეს მზით გაჩახჩახებულ რუსთაველის პროსპექტზე მოვდიოდი. ვიღაც ახმახი მომიახლოვდა და ახლობელივით მომიკითხა. ვერ ვიცანი. ცოტა კი დაიბნა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა — „როგორ ვერ მიცანი, კაცო, გამომძიებელი ეხა და ეს ვარო“. თან ცერა თითი იმ მხარეს მიაშვირა, საითკენაც გახედვა ყველას ეზარებოდა. ახლა კი მივხვდი, ვინც იყო. ოცი წლის წინ ფრჩხილებს ეგ მაძრობდა დაკითხვებზე. გაოგნებული ვიდექი. იგი კი მოკეთესავით მიზიარებდა თავის ამბავს: „კარგი პენსია მაქვს, ვმუშაობ. კიდეც ვარ ჩემთვის მოსვენებულიო“. კრინტი ვერ დავძარი. ჩემს წინაშე დაფასებული და ბედით კმაყოფილი ჯალათი იდგა და ახლა, დღისითმზისით, ადრინდელზე უფრო მთრგუნავდა და მაწამებდა. ახმახს ყელში ვერ ვწვდებოდი — ორჯერ ჩემზე მაღალი იყო. ჩემს სიახლოვეს, ქუჩაში არაფერი ეგდო, რომ ამეღო. ამასობაში ბეჭებზე ხელი დამკრა, კარგად იყავიო და მოჩვენებასავით გაქრა“.

ეს გახლავთ, ბატონებო, ცინიზმის ზეიმი!

თუ „წითელი ტერორის“ უდანაშაულო მსხვერპლის რეაბილიტაცია ხდება, მაშინ კეთილ ვინებოთ და ისიც ვაღიაროთ, ამ ტერორის სულისჩამდგმელნი მსჯავრდაუდებლად, პატივმიგებულნი რომ გვიწვანან ქართულ მიწაში.

არ არის საკმარისი „მოჩანიების“ გადალება. უნდა მოეწყოს თუნდაც ერთი საზოგადოებრივი გასამართლება, რომელზეც ჯერ მსჯავრდაუდებელ ჯალათებს სიმბოლურად მაინც მოუზღავენ საკადრისს.

ჩემი ღრმა რწმენით, ქართველ მწერლებს მართებთ ისეთი „სახელგანთქმული კაცით“ დაინტერესება, როგორიც ტალახაძე ბრძანდებოდა.

ბევრმა იცის მისი უმთავრესი ნაავკაცარი. (ამას წინათ ანტონ ანტონოვ-ოვსეენკომ მოუთხრო ამის შესახებ ჟურნალ „ზვეზდა“ მკითხველს). ზესტაფონის სადგურში, არგვეთის ჩიხში შეყვანილ ორმ სახარგო ვაგონში გამომწყვდეული სიცოცხლით აღსავსე ქართველი ვაჟკაცები ტალახაძის ბრძანებით დაცხრილეს გარედან ტყვიამფრქვევებით. ამდენ კაცში ერთადერთი გადარჩა — ზურაბ წერეთელი. მაგრამ რაღა გადარჩენილი ეთქმოდა განცდილი საშინელებისაგან განუკურნავად დაავადებულს.

ამ და კიდევ ბევრი სხვა „დამსახურებისათვის“ ტალახაძე „წითელი პროფესურის“ კურსებზე მიავლინეს.

მისი მსგავსი ადამიანებისთვის კარიერის გზაზე არავითარი დაბრკოლება არ არსებობს. სისხლით მორწყული გზით იარა „წითელმა პროფესორმა“ ილარიონ ილარიონის ძე ტალახაძემ და ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს რესპუბლიკის პროკურორად მოგვევლინა.

ერთხელ, ტალახაძე ახალგაზრდა იურისტებს გვიამბობდა: მე ერთ ხელში მაუზერი მეჭირა, მეორეში კი — წიგნი! ვეღარ მოვითმინე: „მაუზერით ხელში ბევრსაც გაიგებდით იმ წიგნიდან, მეთქი“. თქვენ წარმოიდგინეთ, უპასუხოდ დავრჩი.

1937-38 წლებში რაც ჩვენში უბედურება დატრიალდა, რესპუბლიკის მაშინდელი პროკურორის ტალახაძის მიერ სანქციონირებული იყო. ყველაფერი იმის თვალწინ, მისი დასტურით ხდებოდა. ამაზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ამ საშინელ თემას რა ამოწურავს. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ადამიანები ღამეებს ათევდნენ რიგში, რათა უდანაშაულოდ დაპატიმრებული ახლობლებისთვის საჭმელი და ფული გადაეცათ. ფულის მიღებაზე უბედურ ჭირისუფლებს უარს არ ეუბნებოდნენ მაშინაც კი, როცა პატიმარი კარგა ხნის დახვრეტილი იყო.

ხრუშჩოვის დროს სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენით დაიხვრიტნენ ცნობილი ჯალათები — რაფავა, რუხაძე, „ოთარიჩ“ წერეთელი და სხვ. რაც შეეხება ტალახაძეს, მან თავი დაიცვა ვიშინსკის წერილით (1938-39 წლებში ვიშინსკი ჯერ სსრკ პროკურორის მოადგილე იყო შემდეგ კი — სსრკ პროკურორი). მისი წერილის თანახმად, თურმე ტალახაძეს ხელი არ უნდა შეეშალა უშიშროების ორგანოთა მოქმედებისათვის. (ასეთი წერილები, ალბათ, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს ექნებოდა მიღებული).

ასე გამოადგა ერთ ჯალათს მეორე ჯალათის მიერ ბოძებული „შეუვალობის სიგელი“.

დიახ, ტალახაძე, დარიგებისამებრ, ხელს არ უშლიდა სისხლიან ტერორს.

ერთხელ, პროფესორი გიორგი ახვლედიანი და მე საბარგო მანქანით დმანისიდან თბილისში ვბრუნდებოდით. ქალაქს მოახლოებული ვიყავით, როცა გაგვაჩერეს. საპირისპირო მხრიდან ბრეზენტგადაფარებული მანქანების კოლონა მოდიოდა და ის იყო გასატარებელი. მორჩილად ვიდექით და ვიცდიდით, სანამ გაივლიდნენ. უკვე ღამე იყო, მაგრამ მაშუქების სინათლეზე გავარჩიეთ კაბინების საფეხურზე მდგარი სახეშეშლილი ორფეხა არსებები რევოლვერებით ხელში. მანქანა ბევრი იყო. კარგა ხანს მოგვიხდა ცდა. გავიდა ხანი და იმ მხრიდან, სადაც დღეს კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძეა გაშენებული, თოფების ხშირი ბათქის ხმა მოისმა. იქ საბჭოთა სახელმწიფოს „დასაცავად“ ხვრეტდნენ „ტროცკისტებს“, „ხალხის მტრებს“, „მავნებლებს“, „სამშობლოს მოღალატეებს“.

იმ წლებში რესპუბლიკის უმაღლეს-სასამართლოს თავკაცობდა მიხეილ ისაკაძე.

სიღნაღში, ერთ-ერთ გამსვლელ სესიაზე „განიხილებოდა“, „მავნებლების“ — კოსტალე აბაშიძის, შურა კობეშავიძის და სხვათა (ოცამდე კაცის) საქმე. პროკურორმა ტალახაძემ, ერთის გარდა, ყველასთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა მოითხოვა. შ. კობეშავიძეს, პროფესიით ადვოკატს, ტალახაძის აზრით, თავისუფლების აღკვეთა უნდა შეეფარდებოდა. ისაკაძემ კი, როგორც იტყვიან, ზედმეტად მოიქაჩლა თავი, სისასტიკით ტალახაძესაც გადააჭარბა და ულმობლივ ყველას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. სიკვდილმისჯილები პირდაპირ სასამართლოს დარბაზიდან გაიყვანეს ქალაქგარეთ; იქ, წინასწარ გათხრილ ორმოებთან დააყენეს და დახვრიტეს. ორმოები მიწით ამოავსეს. განაჩენის აღმსრულებლები [illegible] ხანს დაბრუნდნენ სასტუმროში და ლაზათიანად მოილხინეს.

რაც შეეხება ისაკაძეს, მოგვიანებით მასაც მოაკითხეს უდროო დროს, მაგრამ როგორღაც დახვრეტას გადაურჩა. განთავისუფლების შემდეგ, უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე თბილისის ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარში ჩექებს ყიდდა და, „რეაბილიტირებული“, საქართველოს უმაღლეს სასამართლოს პირწმინდად აბდევინებდა ფულად კომპენსაციას, როგორც ძალმომრეობის, უკანონობის „უმანკო მსხვერპლი“.

არ იქნება სწორი, თუ ტალახაძესა და ისაკაძეს გვერდით არ დავუყენეთ ეფრემ თათუზოვი — 1936-38 წლებში საქართველოს უმაღლესი სასამართლოს „სპეცკოლეგიის“ თავმჯდომარე. სწორედ მან „გამოიჩინა თავი“ ისაკაძესთან ერთად სიღნაღის პროცესზე. ის „განიხილავდა“ ხელოვნურად შეკოწიწებულ „პოლიტიკურ“ საქმეებს. თათუზოვი ცოცხლებს საიქიოში ისტუმრებდა, ხოლო დახვრეტილებსა და წამებით მოკლულებს უკანა რიცხვით უფორმებდა განაჩენს.

აი, სადამდე მიიყვანა დიქტატურის კარნახმა იმდროინდელი „კანონიერება“ და „სამართალი“.

საყოველთაო განუკითხაობის პირობებში ცხოვრება გაუსაძლისი ხდება, მაგრამ ამის დანახვა ბევრს უძნელდება ან არ სურს, ამ დროს განსაკუთრებით იჩენს ხოლმე თავს ყველაფერს შეგუების, მლიქვნელობის სენი, რის გამოც შავი თეთრად გვევლინება, ჯუჯა კი — გოლიათად. (სამწუხაროა, მაგრამ ამ სენს მრავალმა ადამიანმა დღესაც ვერ დააღწია თავი).

გავიხსენოთ: სტალინის სიყვარული ჩვილ ბავშვს ლამის დედის რძესთან ერთად უნდა შეესისხლხორცებინა. ბაგა-ბაღები და სკოლები ხომ იდეოლოგიური დამუშავების მძლავრ კერებად იყო გადაქცეული. თითო ეზო, კანტორა, სკოლა, [illegible] მხოლოდ სტალინის [illegible] — ჩაჩიჩინებდნენ ახალ თაობას. ამის შემდეგ რა გასაკვირია, ახალგაზრდობის მნიშვნელოვან ნაწილს სტალინის გაღმერთება [illegible].

ერთ დღეს ასეთი სულისკვეთებით აღზრდილ ოქტომბრელებს, პიონერებს, კომკავშირლებს მოულოდნელად მათი კერპის გინება დაუწყეს, კედლებიდან „ყველას მამისა და მასწავლებლის“ სურათები ჩამოუხსნეს და სადღაც შორს მომზირალი ბელადის მონუმენტებსაც მიადგნენ დასანგრევად, ადვილი წარმოსადგენია, რაც დატრიალდებოდა უმანკო ბავშვების სულში. ისინი, ცხადია, ძნელად წარმოიდგენდნენ, რომ უფროსები ამდენ ხანს მათ ატყუებდნენ. გამართეს მიტინგები, სადაც ხმის ჩახლეჩამდე გაიძახოდნენ: „დიდება ლენინს, დიდება სტალინს!“. (ზოგჯერ ამასაც გაიგონებდი: „ძირს ხრუშჩოვი!“).

დღეს განსაკუთრებული ხაზგასმით არის ეს სათქმელი: მიტინგის მონაწილე ახალგაზრდები თავიანთი შეძახილებით, ლექსებით, სიმღერებით და ცეკვებით საბჭოთა წყობილებას არავითარ საფრთხეს არ უქმნიდნენ.

9 მარტს ლენინის მოედანზე აღმოვჩნდი. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მაშინდელ შენობასთან ვიდექი და ვუსმენდი მჟავანაძის გამოსვლას. დაიშალეთო! — მოუწოდებდა ცკ-ს მდივანი ბავშვებს. ბავშვები კი არსად ჩანდნენ. სამაგიეროდ, რუსთაველის პროსპექტზე სამხედროებით დახუნძლული საბარგო მანქანების კოლონა მოდიოდა. ჯარისკაცები „უიარაღონი“ ჩანდნენ, ავტომატები კი დაბლა, მანქანების იატაკზე, ეწყო.

ღამით კი რაც მოხდა, ყველას კარგად მოეხსენება.

რამდენი ბავშვი, რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა იმ ღამეს, დღესაც არ არის ზუსტად ცნობილი. ვინ გვეტყვის, რამდენი დაჭრილი გადაყარეს მოდიდებულ მტკვარში იმ ღამეს?

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ მაინც უნდა გაირკვეს ბევრი რამ. დღეიდან ამ ჭრილობას „ძველი“ უკვე აღარ ეთქმის. დღეს ჩვენთვის ყველა ადრინდელი ჭრილობა მოუშუშებელია და ახალი. ამდენად, სამართლიანია მოთხოვნა, რომ საზოგადოებას 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის რეალური, ნამდვილი მიზეზები გააგებინონ და დამნაშავეებიც გამოავლინონ. ეს ახლახან დატრიალებულ უბედურებასაც უფრო ნათლად დაგვანახებს და მომავლის გაკვეთილადაც გამოგვადგება.

უდანაშაულოთა სისხლს ერთი თვისება აქვს: რაც უფრო მეტად უნდათ მისი კვალის წაშლა, მით უფრო აჩნდება ადამიანის ცნობიერებას, ადამიანის სულს. თურმე ადამიანის სისხლი არ შერჩება მკვლელს.

რამდენიმე წლის წინ ქ. ორსკში მივლინებით მომიხდა ჩასვლა. ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე, ტრამვაის ლიანდაგების გასაყართან, თითქმის ყოველდღე ვხედავდი ერთ მაწანწალას. [illegible] ის ორსკელი მაწანწალა [illegible]. გამომგზავრების წინ [illegible] კოლეგებთან, იურისტებთან სუფრაზე აღმოვჩნდი. იქ გამაცნეს ერთი ქალბატონი — რომელიღაც ქარხნის იურისკონსულტი. აი, რა მიამბო მან: „ჩემი ქმარი სამხედრო იყო. 1956 წელს მისი ნაწილი ქალაქ ლენინაკანში იდგა. მარტის თვეში მან მიიღო ბრძანება, სასწრაფოდ წასულიყო თბილისში. ქმარს მეც გამოვყევი. სამხედრო ქვეგანაყოფი თბილისში დღისით ჩამოვიდა, დაღამებულზე კი ჩემს მეუღლეს უბრძანეს, ტყვია დაეშინა ბავშვებისათვის, მან ბრძანება შეასრულა. მეუღლე სასტუმროში გათენებისას დაბრუნდა. დაწვა, მაგრამ ძილში ყვირილი მორთო: „ბავშვები, ბავშვები, სისხლი!“ რამდენიმე ხნის შემდეგ იგი სხვაგან გადაიყვანეს. მერე ხელიდან წავიდა. გალოთდა. გავეყარე, მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ ის მაწანწალა, ალბათ გინახავთ, ტრამვაის ხაზთან რომ წევს ხოლმე, ჩემი ყოფილი ქმარია“.

პროფესიით იურისტ მანდილოსანს ქმრისთვის გალოთება ვერ ეპატიებინა, ხალხის დახვრეტა — კი: სამხედრო იყო და ბრძანებას ასრულებდაო.

ეს უსიამოვნო ამბავი დღევანდელი დღის სატკივარმა გამახსენა, საუბედუროდ, ბოლო რომ არ უჩანს.

სამხედროებმა 9 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე დახოცეს ქალები, გოგონები, უღვთოდ დაწამლეს და დაასახიჩრეს ათასობით ადამიანი.

დღეს 1956 წელი როდია, გვაჯერებენ და ალბათ უნდა დავიჯეროთ, ვიწამოთ, რომ საჯაროობის დროში ვცხოვრობთ.

სამხედრო უწყების ცხოვრებაში კი, როგორც ჩანს, არაფერი შეცვლილა. ალესილი ნიჩბებით, ხელკეტებით, მომწამვლელი ნივთიერებებით ჩადენილი სისხლიანი დანაშაული სახეზეა, მაგრამ მას სხვა, ურცხვ დანაშაულს უმატებენ: ათასგვარი სიცრუით, გამონაგონით თესავენ ერთა შორის შუღლს, შეურაცხყოფენ ქართველი ერის ღირსებას.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი, შინაგან საქმეთა ჯარების გენერალ-მაიორი, პროგრამა „ვრემიას“ სამხედრო მიმომხილველი, სამხედრო უწყების ცენტრალური თუ ადგილობრივი გაზეთები — „კრასნაია ზვეზდა“, „ლენინსკოე ზნამია“, „ნა სტრაჟე“ და რა ვიცი, კიდევ ვინ — ყველა ერთ ბრძანებას ასრულებს: „არ დაგცდეთ სიმართლე!“

1956 წლის მარტში დაბადებული ქართველი დღეს უკვე ოცდაცამეტი წლისაა, ზუსტად იმ ხნის, რამდენისაც გოლგოთაზე აყვანილი ჩვენი მაცხოვარი იყო.

ეს გზა აღმართია, სულს აღაზევებს.

სამართლიანი მიმართულებითაც შეიძლება [illegible]. ამ [illegible] გზაზე დამდგარი ორსკელი მაწანწალის ხვედრი [illegible] უნდა გაუხდეს!

●

ავტორის თხოვნით, წერილის ჰონორარი 9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალის ფონდში გადაირიცხა.



მშობლიური ჩემო მიწავ...

სერგო თევზაძის ფოტო.

როცა დუმილი ოქრო არ არის

კანონი უნდა კანონობდეს

მწვავე დემოგრაფიული ვითარება

ომის წლების პირმშო — ინდუსტრიული რუსთავი, რომელმაც ოთხ ათეულ წელზე ცოტა მეტია, რაც რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიიღო თავიდანვე სწრაფად იზრდებოდა. 1950 წელს მისი მოსახლეობა თუ 21.200 კაცს შეადგენდა, სამოცდაათიანი წლების დასაწყისში 100 ათასს მიაღწია, ხოლო ამჟამად 159 ათასია და მტკიცედ დაიმკვიდრა მესამე ადგილი რესპუბლიკის დიდ ქალაქებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში მოსახლეობის ზრდის ტემპი შენელდა და წლიწადში საშუალოდ 8,1 პროცენტს შეადგენს.

სამოცდაათიანი წლებიდან ქალაქში თავი იჩინა მოსახლეობის მექანიკური ზრდის ყოვლად გაუმართლებელმა ტენდენციამ. ეს მოხდა იმ წლების ქალაქის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოთა ხელმძღვანელების, საწარმო-დაწესებულებათა მესვეურების დაუდევრობითა და უპასუხისმგებლობით, რომლებიც არად დაგიდევდნენ ეროვნულ ინტერესებს, მუშახელის ნაკლებობის საბაბით გზა გაუხსნეს ათასი ჯურის გადამთიელს, სამუშაოზე დაუფიქრებლად და შეუმოწმებლად იღებდნენ არა მარტო მეზობელი რაიონებიდან, არამედ მეზობელი რესპუბლიკებიდან, უმთავრესად აზერბაიჯანიდან გადმოხვეწილთ. ამ მოუფიქრებელ ღონისძიებას შედეგად მოჰყვა მიწათსარგებლობისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის კანონმდებლობის, მოქალაქეთა ჩაწერა-ამოწერის წესების უხეში დარღვევები და დანაშაულობანი.

მუშახელის მასობრივმა მოზღვავებამ საგრძნობი ზიანი მიაყენა როგორც რუსთავს, ისე იმ რეგიონის ეკონომიკას, საიდანაც ისინი ასე განუკითხავად იყვნენ შემოყვანილი. და, რაც ყველაზე სავალალოა, ქალაქში ხელოვნურად დამძიმდა ისედაც რთული დემოგრაფიული მდგომარეობა. 1981-1986 წლებში ქალაქში შემოსული მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან აზერბაიჯანელთა ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ზრდის ტენდენცია გრძელდებოდა 1988 წლის პირველ ნახევარშიც და 7,2 პროცენტიდან 13 პროცენტამდე ავიდა, ხოლო 1988 წლის მეორე ნახევარში იგი მკვეთრად შემცირდა და 8,5% შეადგინა. მუშახელის გარე რეგიონებიდან შემოყვანა განსაკუთრებით აღინიშნებოდა 1981-88 წლებში. ამ პერიოდში ქალაქში ყოველწლიურად ეწერებოდა საშუალოდ 2400 კაცი. მათ შორის საგრძნობი ნაწილი სხვა ეროვნებისა იყო. მაგალითად, ამ პერიოდში აზერბაიჯანული მოსახლეობის ხვედრითი წილი 7,6 პროცენტიდან 13 პროცენტამდე გაიზარდა, მაშინ, როცა ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილი 59,6-იდან 58,1 პროცენტამდე შემცირდა. ბედისა და ბინის მაძიებელნი მუშაობის დაწყების შემდეგ სხვადასხვა გზით ახერხებდნენ ჩაწერას საერთო საცხოვრებლებში, ან ჩაუწერლადაც თავს კარგად გრძნობდნენ. გამონახავდნენ თავისუფალ მიწას ქალაქის რომელიმე უბანში და ერთბაშად დაეპატრონებოდნენ მოდავე და გამკითხავი არავინ იყო, არავის აწუხებდა ბედი მშობლიური ქალაქისა, რომელსაც დაესია ათასი ჯურის უჯილაგო და ინაწილებდნენ მას. შემდგომში ჩამობჰყავდათ მრავალრიცხოვანი ოჯახები და ითხოვდნენ ბინის მიღების რიგში აყვანას. ბევრი კიდეც ადვილად აღწევდა მიზანს. — საწარმოებში მოზღვავებული არაქართული მოსახლეობა ფაქტიურად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მათთან შედარებით, ვინც პირველნი აშენებდნენ რუსთავს. ისინი ძველ ბინებში დარჩნენ, ჩამოსულნი კი იღებდნენ უკეთესი პროექტის საცხოვრებელ ბინებს, — თავისი გულისტკივილი ასე გამოხატა ჟურნალისტმა თინათინ სიყმაშვილმა დიალოგზე, რომელიც ახლახანს გაზეთ „სოციალისტური რუსთავის" „მრგვალ მაგიდასთან" გაიმართა.

განსაკუთრებით დიდ ჯგუფებად მოაწყდნენ ქალაქს აზერბაიჯანის სსრ ყაზახის, ტაუზის, ზაქათალის, აგრეთვე გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის რაიონების მცხოვრებლები. მათმა დიდმა ნაწილმა დროებითი თავშესაფარი ამორტიზებულ სახლებსა და ბარაკებში გამონახა, საკმაო ნაწილმა საკუთარი სახლი მოისურვა ეზო-გარემოთი და ქალაქის ვაიმესვეურთა ხელში ამასაც მიაღწია, გაჩაღდა ქალაქის ტერიტორიაზე მიწების მასობრივი დატაცება, უნებართვო და უკანონო მშენებლობა, გაჩნდა ახალი უბნები, ახალი ქაოსური დასახლებები. მთავარი „ფორპოსტი" მაინც მარის არხი იყო, — აქ ორიოდე წელიწადში გაჩნდა მოზრდილი დასახლება, სადაც გულსაკლავად გამოიყურებოდა მიჯრით მიყრილი ულაზათო სახლები, ერთმანეთში არეული სათავსები, უწესოდ შემოღობილი ეზოები. ირგვლივ გამეფებული იყო ანტისანიტარია და სიბინძურე. მოსახლეობისა და ოჯახების ზუსტი აღრიცხვაც არავის ჰქონდა. ყველა დუმდა, არავინ იღებდა ხმას, არავინ დაგიდევდა თუ რა ზიანი ადგებოდა ახალგაზრდა ქალაქს, რა დღეში იყო მისი შემოგარენი. ნუ გვიწყენენ რუსთაველები, თუ ვიტყვით, რომ ქალაქში არ აღმოჩნდა ერთი ადამიანიც კი, რომელიც ხმას აღიმაღლებდა ამ დანაშაულებრივი ქმედების წინააღმდეგ, ასე იყო ჩამკვდარი ეროვნული, პატრიოტული, მამულიშვილური გრძნობები.

ქალაქში კი კვლავ დაუსრულებლივ მოდიოდა ბედის მაძიებელთა ახალი ჯგუფები. ეს ნათლად გამოვლინდა შემოწმებების შედეგად. ხელს არავინ უშლიდა, არავინ ზღუდავდა მათ, პირიქით, სტუმართმოყვრულად უღებდნენ კარს. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მარტოხელა მუშებისათვის გათვალისწინებულ საერთო საცხოვრებლებში 897 ადგილზე 1244 კაცი იყო ჩაწერილი. 763 კაცი სხვადასხვა საცხოვრებელში ჩაწერეს, სინამდვილეში კი ქირით კერძო ბინებში ცხოვრობდნენ. ბევრი მათგანი ჩამოსული იყო 80 კილომეტრით დაცილებული დასახლებული პუნქტებიდან და, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შესაბამისი გადაწყვეტილების თანახმად, მათ ქალაქში ჩაწერის გარეშე უფლება ჰქონდათ ემუშავათ მეტალურგიულ ქარხანაში. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ეწერებოდნენ ამ ქარხნის საერთო საცხოვრებლებში, კერძო ბინებში კი მათ ქარხანა 50 მანეთს უხდიდა ქირად. ანალოგიურ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი აგრეთვე ქალაქის სხვა საწარმოებში.

იყო თუ არა ქალაქში ათასი ჯურის ადამიანების ასეთი ხელაღებით შემოყვანის აუცილებლობა?

ამ კითხვას ადვილად გასცემს პასუხს ყველა ის, ვინც რუსთავის საწარმოებს იცნობს. მათი მესვეურები ქალაქის ხელმძღვანელებთან ერთად უძრაობის წლებში სადათას ძილით იყვნენ გარინდულნი, ძველი დახავსებული მეთოდებით მუშაობდნენ, რაციონალურად ვერ იყენებდნენ არსებულ შრომით რესურსებს, არ ზრუნავდნენ მუშამოსამსახურეთა ნორმალურ შრომითსა და საყოფაცხოვრებო პირობებზე. სოციალური სფეროს განვითარება უკანა პლანზე იდგა. ამის მიზეზით ყოველწლიურად ათასობით მუშა ტოვებდა მეტალურგიული ქარხნის, „აზოტისა" და „ქიმბოჭკოს" საწარმოო გაერთიანებების, სხვა საწარმოთა საამქროებს. მათ შორის იყვნენ კადრის მუშებიც — პირველი რუსთაველი გზამკვალავები. საწარმოში მოხვეწილთ კი არც გამოცდილება გააჩნდათ და არც მუშური სინდისი, თვალი ისევ ბაზრებისკენ გაურბოდათ, სადაც მამასისხლად ყიდდნენ მწვანილსა და ბოსტნეულს, და, აი, ხელთ იგდებდნენ თუ არა ბინას, მიწას ან სახლს, უბოდიშოდ ტოვებდნენ საწარმოს, რომელიც ვერა და ვერ გაითავისეს.

დაშვებული შეცდომების, მიწათსარგებლობისა და საპასპორტო რეჟიმის მოთხოვნათა უხეში დარღვევების შედეგად ქალაქში 480-ზე მეტი უკანონო ნაგებობა წამოიმართა, რომელთა საერთო ფართობი 14 ათასი კვადრატული მეტრი იყო. მათ შორის ყველაზე დიდი დასახლება გაჩნდა მარის არხში. სვავებივით დაესივნენ მოძალადენი [illegible] და ბარათაშვილის ქუჩებსაც.

ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი რამდენიმეჯერ გახლდათ მარის არხში. ირგვლივ შემზარავი სურათი იყო. სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო, ეკოლოგიური და სხვა ნორმების უხეში დარღვევით აქ წლების მანძილზე ცხოვრობდა 900-მდე კაცი. ჩაპაევის ქუჩაზე ორ ამორტიზებულ სახლში თავშესაფარი ჰპოვა 37-მა ოჯახმა, მათგან 24 აზერბაიჯანული ეროვნებისა გახლდათ. გოგოლის ქუჩას 25 ოჯახმა შეაფარა თავი. არცერთი მათგანი ბინის ქირასა და კომუნალური მომსახურების საფასურს არ იხდიდა წლების მანძილზე, სარგებლობდნენ წყლით, კანალიზაციით, იყენებდნენ გათბობა-განათების თვითნაკეთ სისტემებს, რაც, ხშირად, ავარიების მიზეზი ხდებოდა.

დიახ! სწორედ საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა გორის ქუჩასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქ ვინმე მუსტაფაევის მიერ თვითნებურად აშენებულ სახლში ჩაწერილია და ცხოვრობს 81 კაცი. ახმედოვის ასეთივე „ქურდულად" აშენებულ სახლში 24 კაცი ეწერა. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევა მრავლად იყო. თვითნებურად აშენებულ სახლში ვინმე მამედოვმა, რომელიც გარდაბნის რაიონის მეურნეობის მუშა იყო და რუსთავში არავითარ მატერიალურ დოვლათს არ ქმნიდა, თავისი ჩვიდმეტ სულიანი ოჯახისათვის უნებართვოდ მეორე სახლი აიშენა!

ცალკეულ საწარმოთა ხელმძღვანელების წაყრუების, სიბეცისა და აღმასკომის შესაბამისი სამსახურების უპრინციპობის შედეგად ქალაქში თითქმის შეუზღუდავად ეწერებოდნენ. მილიციის საქალაქო განყოფილების მუშაკებიც მკლავებდაკაპიწებული „შრომობდნენ", არ ესმოდათ ან არ სურდათ გაეგოთ, თუ როგორ უღებდნენ ისინი ბოლოს ეროვნულ საქმეს. სამწუხარო ის არის, რომ არა გვგონია ყოველივე ეს უანგაროდ ხდებოდა. ისიც არანაკლებ სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ასეთი ვაიმუშაკი ახლა სხვა სამსახურებშია გადასული. რატომღაც მათ მოქმედებას ბოლომდე არავინ მიჰყვა, მათი აბსოლუტური უმეტესობა დაუსჯელია და ალბათ, კიდეც ტრაბახობენ — რაც გვინდოდა, იმას ვაკეთებდით და ვინ რა დაგვაკლოო.

ქალაქში ფართო ხასიათი მიიღო შრომითი ხელშეკრულებით მუშახელის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოყვანამ, ხოლო შემდეგ საწარმოთა საერთო საცხოვრებლებიდან ამოწერის გარეშე განთესვამ. შემოწმებით დადგინდა, რომ მეტალურგიული ქარხნის, „აზოტის" საწარმოო გაერთიანების, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნისა და სხვა საწარმოთა საერთო საცხოვრებლებში ჩაწერილი იყო 350-ზე მეტი კაცი, რომლებიც ფაქტიურად იქ არ ცხოვრობდნენ.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, აგრეთვე, რომ 87-მა მოქალაქემ, რომელთაც უკანონოდ აშენებული სახლები ჰქონდათ, ბინები მიიღეს, მაგრამ იმავე სახლებსაც ფლობდნენ, ზოგმა კიდეც გაყიდა, ან გააქირავა.

ფესვი გაიდგა ერთმა დამახასიათებელმა ტენდენციამაც: სახელმწიფო მიწების მიმტაცებლები აშენებულ უკანონო სახლებში იკრებდნენ ახლო ნათესავებს და მათაც უბიძგებდნენ მიწის ნაკვეთების მიტაცებისა და უკანონო სახლების აშენებისკენ. ვინმე მუსტაფაევმა მითვისებულ მიწის ნაკვეთზე აიშენა სახლი, შემდეგ მან კიდევ ორი ძმა ჩამოიყვანა და ერთად „ძმურად" კიდევ ორი სახლი აიშენეს. სამ უკანონოდ აშენებულ სახლში ახლა ორმოცდაოთხწევრიანი სამი ოჯახი ცხოვრობს.

რუსთავის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ფოტოგრაფს ნ. ბალილოვს კოოპერატიულ ბინაში ერთოთახიანი ბინა ჰქონდა. გაფართოება ისურვა და ბევრი არ უფიქრია, თანამოძმეთ ესტუმრა და განზრახული გაანდო. მათაც ურჩიეს: ერთი პატარა ფარდული იყიდე ყაზბეგის მეორე ჩიხის № 16 სახლში, იყიდე და იმ ადგილზე ახალი სახლი ააშენო. ბალილოვს რჩევა ჭკუაში დაუჯდა. დაუმთავრებელი ფარდული ვინმე ცქიტიშვილისგან იყიდა, მაგრამ ფაქტიურად იყიდა 745 კვადრატული მეტრი ფართობი, რომელზეც მშენებარე ფარდული იდგა. ორიოდე წლის წინათ ბალილოვმა ფარდული მართლაც მოშალა და იმ ადგილზე ორსართულიანი სახლი წამოჭიმა, რომლის შვიდი ოთახი გააქირავა და სოლიდურ შემოსავალს იღებდა. მისი მდგმურები ჩამოსული იყვნენ აზერბაიჯანის სსრ ყაზახის რაიონიდან და რუსთავში ჩაუწერლად ცხოვრობდნენ. საინტერესოა, მილიციის უბნის ინსპექტორებს რატომ რჩებოდათ მხედველობიდან ასობით ჩაუწერელი ჩამოსული? რუსთავში ამ შეკითხვაზე ერთნიშნა პასუხი გაგვცეს: ყველაფერი ეს უანგაროდ არ ხდებოდაო.

ზოგიერთ მოძალადე მშენებელს მადა ისე გაეზარდა, ერთი უკანონო სახლის გვერდით მეორესაც აშენებდა. ასე მოიქცა გორის ქუჩის მიმდებარე დასახლების №42 სახლში მცხოვრები ვინმე ნ. მამედოვი, რომელიც საერთოდ რუსთავის მცხოვრები არ არის, გარდაბნის რაიონის კრწანისის საბჭოთა მეურნეობის მუშაა, ხოლო მისი ორი ვაჟი თბილისში მუშაობს. რა ვქნა, შესაძლებლობა მქონდა და ავაშენეო, — ამბობს იგი. ჩვენ კი დავძენთ, რომ უპატრონობა იყო, აშკარა უპატრონობა და, ვისაც რა უნდოდა, იმას აკეთებდა. მამედოვმაც არ დაკარგა ხელსაყრელი შესაძლებლობა.

ზოგიერთი მოქალაქე ისე გათავხედდა, რომ მიტაცებულ ნაკვეთებზე ფარეხებიც მოაწყო და ანტისანიტარიის ბუდედ აქცია ქალაქის შემოგარენი. კოოპერატივ „მეგობრობის" თავმჯდომარემ ი. ბაირამოვმა მიტაცებულ მიწაზე ისე ააგო ფარეხები, არც არავის ჰკითხა. ასევე, ფარეხები და პირუტყვის დროებითი სადგომები ააგო 12-მა მოქალაქემ მე-16 პროფტექნიკური სასწავლებლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიტაცებულ ნაკვეთებში, რომლებიც 8 ათასი კვადრატული მეტრი იყო. მათვე 1500 კვადრატული მეტრი კიდევ მიტაცებული ჰქონდათ იქვე, საქვაბის მახლობლად. ქალაქის პროკურატურის წარდგინების საფუძველზე ფარეხები და პირუტყვის სხვა სადგომები ლიკვიდირებულია, ხოლო მიტაცებული მიწები ჩამოერთვათ და გამოყენებული იქნება დანიშნულებისამებრ.

ისევ და ისევ ისმება კითხვები: სად იყვნენ ამ დროს ქალაქის მესვეურები? რას აკეთებდნენ შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების, მიკრორაიონების საბჭოების, საბინაო-საექსპლოატაციო უბნების მუშაკები, რომელთა უშუალო კომპეტენციაში იყო ამ უმსგავსოების აღკვეთა? რატომ არ იჩენდნენ აქტიურობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში კანონის უხეშ დარღვევებზე ქალაქის პროკურატურის წარმომადგენლები? ნუთუ ისინი ვერ გრძნობდნენ სინდისის ქენჯნას მომავალი თაობების წინაშე? საწარმოთა ხელმძღვანელებზე კი ერთი გარკვეული აზრი შეიქმნა: როგორმე საწარმოო გეგმები შეესრულებინათ და ეროვნული ინტერესები ჩირადაც არ უღირდათ. ასე მიექანებოდა საქმე უფსკრულისაკენ.

გადამწყვეტი შეტევა უკანონობაზე

ბოლოს და ბოლოს (ძველებური გზით სიარული აღარ შეიძლებოდა. წლობით გაფუჟებულ საქმეს საშველი უნდა დადგომოდა. ამას აშკარად გრძნობდა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის განახლებული ხელმძღვანელობა. უარი გამოეცხადა ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენას, მათ შორის მიწათსარგებლობისა და ბინათმშენებლობის, საპასპორტო რეჟიმის კანონმდებლობის დაცვას.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე, ქალაქის საბჭოს აღმასკომის სხდომებსა და სესიებზე არაერთხელ დაუბრუნდნენ ამ საკითხს, შეიმუშავეს სირთულეთა დაძლევის, მდგომარეობის გამოსწორების ღონისძიებანი. საქმეში აქტიურად ჩაერია ქალაქის პროკურატურა და ყოველგვარი გადაწყვეტილება განმტკიცდა საკანონმდებლო აქტებით. სხვანაირად არც შეიძლებოდა. მიტაცებულ მიწებსა და უკანონოდ აშენებულ სახლებში ხალხი უკვე წლობით ცხოვრობდა. მოსალოდნელი იყო პროვოკაციებიც. რა დასამალია, და რესპუბლიკაში გავრცელდა ასეთი საუბედურო ტენდენცია: უცხო ერის წარმომადგენელი დააშავებს, დაარღვევს კანონს, მერე იქით დაგასწრებს და აფრენს საჩივარს მოსკოვში — არიქა, გვიშველეთ, ქართველები სხვა ერის შვილებს გვჩაგრავენო. იქაც აღმოჩნდებიან „გულუბრყვილონი" და სიმართლის გაურჩევლად მიწასთან გაგვასწორებენ. წადი ამის შემდეგ და იჩივლე, სადაც გინდა. ამრიგად, დაჩაგრული და შევიწროებული ქართველი გამოდის თავის მიწაზე, მოსულნი კი თავს ამაყად გრძნობენ.

გათვალისწინებული იქნა ქალაქში შექმნილი მძიმე დემოგრაფიული ვითარება, ქაოსი, აღრევა. დანაშაულობანი მიწათსარგებლობასა და საბინაო კანონმდებლობაში, ქალაქში ჩაწერასა და ამოწერაში, პარტიის საქალაქო კომიტეტსა და საქალაქო საბჭოს აღმასკომში შეიქმნა რამდენიმე მუშა ჯგუფი. მათში შეიყვანეს თანამდებობის პირებიც და შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც. ისინი დიდი რუდუნებით იღვწიან და გამოავლინეს ქ. რუსთავში მიწათსარგებლობის, საბინაო კანონმდებლობის, უკანონო მშენებლობისა და ჩაწერის უხეში დარღვევები, რომლებიც გასული წლის სექტემბერში საქალაქო კომიტეტის ბიუროს პრინციპული და ობიექტური მსჯელობის საგნად იქცა. ბიურომ მკაცრად დასაჯა მეტალურგიული ქარხნის, „აზოტისა" და „ქიმბოჭკოს", საწარმოო გაერთიანებების, ცენტრბრძმედრემონტის სამმართველოსა და ზოგიერთ სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომლებიც ზარზეიმით ხვდებოდნენ სხვა რაიონებიდან გადმოხვეწილთ და უყოყმანოდ უწერდნენ ხელს მიმართვაზე მათი ქალაქში ჩაწერის — ეკუთვნოდა თუ არ ეკუთვნოდა — შესახებ — ასე მაგალითად, წინა ორ წელიწადში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობამ საქალაქო საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა 120 კაცის ქალაქში ჩაწერის ვადის გაგრძელებაზე. ამ სიაში შეტანილი იყო მათი გვარებიც, რომლებიც ჩამოსული არიან 80 კილომეტრით დაცილებული დასახლებული პუნქტებიდან და უფლება აქვთ რუსთავში ჩაუწერლად იმუშაონ. ამავე ქარხნის ხელმძღვანელობა უსაფუძვლოდ შუამდგომლობდა თანამშრომლებს საბინაო პირობების გაუმჯობესებაზე, თუმცა, მათ ეს კანონით არ ეკუთვნოდათ: ნაწილს არ გააჩნდა ქალაქში სავალდებულო ცხოვრების ხუთი წლის სტაჟი, ხოლო ნაწილს საკმარისი საცხოვრებელი ფართობი ჰქონდა. შუამდგომლობდნენ იმ პირებსაც, რომლებიც, მართალია, ქარხანაში მუშაობდნენ, მაგრამ ოჯახთან ჩაწერილი იყვნენ სხვა რაიონებში. ბიურომ მკაცრად დაგმო № 1 სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელთა არასწორი მოქმედებაც, რომლებმაც თავიანთ საერთო საცხოვრებლებში ჩაწერეს ახლომდებარე და აზერბაიჯანის სსრ ყაზახის რაიონიდან ჩამოსული მოქალაქეები. საპასპორტო რეჟიმის დარღვევებს ადგილი ჰქონდა რუსთავის პროფტექნიკური სასწავლებლების საერთო საცხოვრებლებშიც, ცემენტის ქარხანაში კი მოქალაქეები ბინის მიღების აღრიცხვაზე აჰყავდათ კანონმდებლობის უხეში დარღვევით. მაგალითად, აზერბაიჯანის სსრ ზაქათალის რაიონიდან ჩამოსული რ. რამაზანოვი რუსთავში ჩაეწერა 1983 წელს. სამი წლის შემდეგ აიყვანეს ბინის მიღების აღრიცხვაზე. როცა მას კიდევ აკლდა რუსთავში ცხოვრების ორი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო" № 20.

წლის სტაჟი. მთლიანად აქ ასეთი უკანონობის 12 ფაქტი იქნა აღმოჩენილი.

საქალაქო კომიტეტის ბიურომ მკაცრად დასაჯა აგრეთვე საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები, რომელთა მონაწილეობის გარეშე, ცხადია, ეს დარღვევები და დანაშაულებანი არ მოხდებოდა და რუსთავი დარჩებოდა წმინდა მუშური სინდისისა და პატიოსნების ქალაქად.

ბიურომ მიიღო საქმიანი, პრინციპული გადაწყვეტილება. მისი წარმატებით რეალიზაციის მიზნით საქალაქო საბჭოს აღმასკომში შექმნილია სპეციალური კომისია. მის საქმიანობას კოორდინაციას უწევს საქალაქო კომიტეტისა და აღმასკომის ხელმძღვანელობა. კომისია მიზანმიმართულად წარმართავს მუშაობას. ყოველ კვირაში ჯამდება გაწეული მუშაობა, მუშავდება მომავალი კვირის პროგრამა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქალაქის პროკურატურის მიერ გაწეული მუშაობა. მათ მიერ საერთო ზედამხედველობის ხაზით ჩატარებული შემოწმების შედეგები საფუძვლად დაედო საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო აღმასკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამის შესახებ, ამას წინათ, კიდეც სავსებით სამართლიანად აღინიშნა რესპუბლიკის პროკურატურის გაფართოებულ კოლეგიაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი გაზეთის მთავარი რედაქტორი და ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი.

განხორციელდა ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებანი მარის არხის დასახლებაში, რომელიც ყველაზე „ცხელი წერტილი“ იყო ქალაქში, ამჟამად კანონმდებლობის შესაბამისად დანგრეულია 250 უკანონო ნაგებობა. გარკვეული მუშაობაა გაწეული საპასპორტო რეჟიმის დასაცავად. 300-მდე კაცი, რომლებიც ჩაწერილი არიან აზერბაიჯანის სსრ ყაზახის, აგრეთვე ბოლნისის, მარნეულისა და სხვა რაიონებში, გასახლებული არიან საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

ჯორის ქუჩის მესამე დასახლებაში მიტაცებულ მიწებზე 44 უკანონო ნაგებობა აშენდა. 60-70-იან წლებში აქ დროებითი საბინაო წიგნიც გაიცა და ბევრი კიდეც ჩაიწერა. გაწეული მუშაობის შედეგად ამჟამად ხუთი სახლი დანგრეულია, 9 მოსახლეს, რომელთაც თვითნებურად ჰქონდათ მიწის ნაკვეთი შემოღობილი, ეს ნაკვეთები ჩამოერთვა და გაუნაწილდა საწარმოო-დაწესებულებების თანამშრომლებს ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ფართობი 4 ათასამდე კვადრატული მეტრია, ნათელი გახდება მიწის მიმტაცებლების მადა და სამართალდამცავი ორგანოების უსუსურობა. ასევე, მიმტაცებლებს ჩამოერთვათ 2 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი ერისთავის ქუჩაზე. 18 უკანონოდ აგებული სახლი დაინგრა ბარათაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო „ქიმბოჭკოს“ საწარმოო გაერთიანების ტერიტორიაზე ლიკვიდირებულია 16 უკანონო სახლი.

ამჟამად ქალაქში ყველაფერი კეთდება ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად, მყარდება წესრიგი მოქალაქეთა ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანის კანონიერების დადგენაში. ბოლო ერთი წლის მანძილზე ბინის მიღების აღრიცხვის რიგიდან მოიხსნა 1000-მდე ოჯახი. ამ მხრივ მუშაობა კვლავ გრძელდება.

ქ. რუსთავში 1982 წლის მოქმედი დებულებით ბინის მიღების აღრიცხვაზე აჰყავდათ ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში ჩაწერილი მოქალაქეები, რომლებთაც გააჩნდათ საწარმოში მუშაობის ორი წლის სტაჟი. ჰქონდა თუ არა მათ ბინის ფართი, ამას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ქალაქის მკვიდრ მოსახლეობას კი ქალაქის საბჭოს აღმასკომის შესაბამისი განყოფილება მკაცრად თხოვდა სააღრიცხვო ნორმას — ერთ სულზე 5-7 კვადრატულ მეტრს. ამრიგად, ქალაქის მკვიდრი მოსახლეობა აქაც დაჩაგრული აღმოჩნდა, ხოლო სხვა რეგიონში მცხოვრებნი — პრივილეგირებულნი. ამჟამად ეს კურიოზული შემთხვევაც გათვალისწინებულია. ბინის მიღების აღრიცხვაზე, საერთოდ არ აჰყავთ ის, ვინც თუმცა მუშაობს, მაგრამ არ არის ჩაწერილი ქალაქში.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი კვლავაც დიდ ყურადღებას უთმობს საწარმოებში ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანის მდგომარეობას. მიმდინარე წლის იანვარში საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილა, თუ როგორ ხორციელდება ეს საკითხი ცემენტის ქარხანასა და ცენტრბრძმედრემონტის სამმართველოს კოლექტივებში. გამოვლინდა ყოვლად დაუშვებელი, აღმაშფოთებელი დარღვევები, წარსულის სტერეოტიპები. ცემენტის ქარხანაში ბინის მიღების აღრიცხვაზე კვლავ ჰყავდათ რუსთავის არამკვიდრი 6 მცხოვრები. მათ შორის რ. მუსტაფაევი და ი. ხარიმამედოვი აზერბაიჯანის სსრ ყაზახის რაიონის მკვიდრია, ხოლო ტ. შუქუროვი თურქმენეთიდან არის ჩამოსული. ქარხნის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ჯ. თათარაშვილი) მათ საერთო საცხოვრებელში ოთახებიც გამოუყო, ბინის მიღების აღრიცხვაზეც აიყვანეს ისე, რომ ქალაქში არ იყვნენ ჩაწერილი. ცხადია, ისინი ბინის მიღების აღრიცხვიდანაც მოიხსნენ და სამუშაოდანაც დაითხოვეს. ცენტრბრძმედრემონტის სამმართველოში (უფროსი ნ. მაისურაძე) კი 18 მუშაკი მოიხსნა ბინის მიღების რიგიდან, მათ შორის ვ. ჰასანოვი, ვ. ფაშაევი, დ. მუსაევი და სხვები, რომელთაც გარდაბნისა და ბოლნისის რაიონებში ორსართულიანი სასახლეები აქვთ წამოჭიმული და რუსთავშიც აცხადებდნენ პრეტენზიას ბინის მიღებაზე.

საწარმოო-დაწესებულებების შრომით კოლექტივებთან ერთად გრძელდება მუშაობა საპასპორტო რეჟიმის მკაცრ დაცვაზე, ხოლო უკანასკნელ ექვს თვეში ქალაქიდან ამოწერილ იქნა ათასამდე კაცი, რომლებმაც გაწყვიტეს კავშირი საწარმოებთან, მაგრამ კვლავ რუსთავის მოქალაქეებად რჩებოდნენ. ქალაქში ჩაწერაზე კი უარი ეთქვა ასამდე კაცს.

გაწეული მუშაობის შედეგია, რომ რუსთავის დემოგრაფიული მდგომარეობა ახლა სწრაფად ჯანსაღდება და უმჯობესდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 80-იანი წლების დასაწყისში ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილი 58,1 პროცენტი იყო, ამჟამად იგი 68 პროცენტს გადასცდა. 100 ათას კაცს გადააჭარბა და ამ ციფრს კვლავაც ახასიათებს ზრდის ტენდენცია. ამას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობის, პირადად ამ საწარმოს დირექტორის გურამ ქაშაკაშვილის ინიციატივა. მან თხოვნით მიმართა ქალაქის საბჭოს აღმასკომს გამოეყო 2 ათასი ნაკვეთი ინდივიდუალური სახლების ასაგებად იმ ქართველი ჭაბუკებისათვის, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ საქართველოს ამ გიგანტში იმუშაონ. ქარხანა მშენებლობაშიც დაეხმარება მათ სესხითა და სამშენებლო მასალებით. ვფიქრობთ, ამ შესანიშნავ თაოსნობას ქალაქის სხვა საწარმოებიც დაუჭერენ მხარს, ამას მოითხოვს ეროვნული ინტერესები, დემოგრაფიული ვითარების მკვეთრი გაუმჯობესება. ქართველებს ახლა ხომ პირველ რიგში გამრავლება გვესაჭიროება და ამ პრობლემაზე ჩვენ თუ არ ვიზრუნეთ, სხვისთვის ეს უბრალოდ ლობეს ჩხირია და მეტი არაფერი.

ის მუშაობა, რასაც ახლა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი, საქალაქო საბჭოს აღმასკომი და მისი სამსახურები ეწევიან წარსულში დაშვებული მწარე შეცდომების გამოსასწორებლად, მათთან ერთად პროკურატურის, მილიციის, სასამართლოს, კომუნალური სამსახურის მუშაკთა დიდი შრომისა და ძალისხმევის ფასი ჯდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, კანონიერების აღდგენა დღეს მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული და ისინი იღვწიან, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, დაძლიონ ეს სიძნელენი. აქვე უნდა აღინიშნოს: ქ. რუსთავში მიწათსარგებლობისა, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის, ბინების განაწილების კანონიერების დაცვა კამპანიურ ხასიათს როდი ატარებს. ეს ახლა რუსთაველების მოღვაწეობის უმთავრესი საქმეა. მიწა და ბინა კანონიერ მფლობელს უნდა მიეცეს ალალი შრომისა და გარჯის დამსახურების აღსანიშნავად.

წლების მანძილზე დაშვებული შეცდომების გამოსწორება რუსთაველებს ახლა უხდებათ. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი, საპასპორტო და საბინაო მეურნეობის მუშაკი, მილიციის უბნის ინსპექტორი და სხვა მუშაკი შეიცვალა, სწორედ ისინი, ვისაც უშუალოდ მიუძღვით ბრალი უკანონობის დაკანონებაში. მათი ნამოქმედარი დღეს ერის ღალატის ტოლფასია.

ახლა საჯაროობის, დემოკრატიის ვითარებაა, ყველა მოვლენას, საგანს თავისი სახელი ერქმევა, ყველას მუშაობა ისე ფასდება, როგორც ის ფაქტიურად არის. სწორედ ამ მიმართებით მსჯელობს სისტემატურად პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი და, როგორც აღინიშნა, სათანადოდ მიუზღავს მათ, ვინც ფეხქვეშ თელავდა კანონსა და კანონიერებას, არაფრად აგდებდა ეროვნულ და ეკონომიკურ ინტერესებს.

დავით ბიწაძე,
ჯუმბერ თითმერია.

P.S. წერილში ძირითადად დასახელებულია აზერბაიჯანული გვარები. ეს ბუნებრივია. სწორედ აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ გაიჩაღა საქართველოში მიწის მიტაცების კამპანია. ასეა მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, მცხეთის, დმანისის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებში. ეს პროცესი შეუწყვეტლად კვლავაც გრძელდება, თავს ნუ ვიტყუებთ, ეს ყველგან შეწყვეტილი არავის ეგონოს. თუ რუსთავში შემტევი ბრძოლა გამოცხადდა უკანონობისა და განუსჯელობის წინააღმდეგ, სხვა რეგიონებში ეს ჯერ კიდევ არ იგრძნობა. მარნეულის რაიონში კი განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა. არ შეიძლება გაჩუმება, ახლავე უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები! მდგომარეობა ურთულესია — მალე მთელ ბინას და საცხოვრისს წაგვართმევენ! რა არის ეს? ისიც ხომ აშკარაა, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მომხდარი ინციდენტის დროს სომხეთიდან ლტოლვილი აზერბაიჯანელების დიდი ნაწილი —ათასობით კაცი აგერ ჩვენს მიწაზე მოკალათდა იგივე მარნეულის რაიონში და აღარ აპირებენ წასვლას... რა ხდება? და უცდიან ხელსაყრელ მომენტს, რომ როგორმე გახდნენ საქართველოს მოქალაქენი? დროა გამოვფხიზლდეთ, მივაგოთ კეისარს კეისრისა, სხვისი არა გვინდა რა და ჩვენ კიდევ სხვებს ნუ გავათელვინებთ თავს. სამშობლო, რომელიც წინაპრებმა ქარცეცხლში გამოატარეს, შევუნარჩუნოთ ჩვენს მომავალს.

დარტყმები და ემოციები

წინასწარგანზრახვით მკვლელობა სასჯელის უმაღლესი ზომით ისჯება. ხოლო, როცა ეს განზრახვა ხორციელდება დიდ ჯგუფზე, უდანაშაულო, ხუთი დღის ნაშიმშილებ, ლოცვად დამდგარ ხალხზე, ბნელში, მიპარვით, ყველაზე ვერაგ დროს — დილის ოთხ საათზე, კანონი აქ სასჯელს ვერ ითვალისწინებს, რადგან ასეთ შემთხვევას ვერ ივარაუდებს.

საქართველოს 9 აპრილის დილა უპრეცედენტოა თავისი საუკუნოვანი წინასწარგანზრახულობითა და თანმიმდევრულობით. შეგახსენებთ ერთ ცნობილ ფრაზას «„...прекрасна Грузия без грузинов“, რომელიც „პამიატის“ წევრებმა დღეს ასე გულდაგულ აიტაცეს... ვინ იცის, ეს მერამდენე დარტყმაა მეფის რუსეთთან დამოყვრების გზაზე, მაგრამ დარტყმებს და ემოციებს აპრილიდან დავითვლი: საბჭოთა კავშირში მიმდინარე „გარდაქმნის“ მეოთხე წლის გაზაფხულიდან.

ეს ოთხი წელი ცხადში თუ ძილში „გარდაქმნა“ გვეკიჟინებოდა—გარდაქმნა სულიერად, ზნეობრივად, მორალურად და ამ აღორძინებული სულის კვალობაზე ეკონომიკური გარდაქმნა. მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში ბოთლში დამწყვდეული „ჯინი“ განთავისუფლებას ლამობს, თავისუფლება არის სულის პირველი თვისება; მოდა, გვეგონა კონგოელი ან ნიკარაგუელი ხალხის მსგავსად, სხვათა და სხვათა მსგავსად ჩვენც გვაქვს თავისუფლების მოთხოვნის უფლება. მით უმეტეს, თუ იგი კანონთა წიგნში—სსრკ კონსტიტუციაში, შავით თეთრზე წერია.

მამაჩემის ცხოვრების შემყურე დავრწმუნდი, როგორ ადვილად ხდება წესიერი და პატიოსანი კაცის „მოკვლა“ ჩვენს ქვეყანაში და რა დავიმალოთ, შიშის გრძნობა დამეუფლა. გარკვეული ხნის განმავლობაში სიმხდალე ბოჭავდა ჩემს ცხოვრებას. იყო პერიოდი, როცა სიონის ეკლესიაში არ დავდიოდი, რამე კიდევ არ „მომაწებონ“-მეთქი. მამა ხომ „დისიდენტად“ და მათ ხელშემწყობად მონათლეს ჩვენში, ხოლო საზღვარგარეთ არარსებულ პიროვნებად გამოაცხადეს—ასეთი კაცი — იურისტი დავით ქორიძე არ არსებობს, ესე იგი, საქართველოს საპატრიარქოს ძარცვის ფაქტიც ტყუილიაო. აი, ლოგიკა 50 წლის მანძილზე ერთგულად მომსახურე კაცის შესახებ... ტელევიზიაში 17 წლის განმავლობაში სამსახურისას საზღვარგარეთ ტურისტად წასვლა არ მითხოვია... ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემს თაობაში ბევრია ისეთი, რომელსაც ქვეშეცნეული, გაურკვეველი, შესაძლოა, დიდებიდან და მამებიდან გენებით გამოყოლილი შიში თრგუნავდა. მეგეტყვით, როგორ გავთავისუფლდი ამ შიშისაგან და როგორ განთავისუფლდა შიშის გრძნობისაგან მთლად საქართველო, რადგან ზომაზე მეტი დარტყმები მოგვაყენეს, დარტყმამ კი, თუკი მას ელოდები, თურმე შეჩვევა იცის, როგორც აპრილის დღეებში გვითხრა ერთმა დიდებულმა კაცმა—ექიმმა საქართველოს ტელევიზიის ეკრანიდან.

6 აპრილს, საქართველოს ტელევიზიის კრებაზე, როცა ჩვენს ხელმძღვანელებს ჯერ მოიარებით, შემდეგ კი პირდაპირ უთხრეს, რატომ არ გვამუშავებთ, რად გვზღუდავთ, რად აღანძლევინებთ მთელს საქართველოს კომიტეტის ჟურნალისტების სახელსო, მათ გვიპასუხეს, რომ ელოდებიან საინფორმაციოს მიერ მოწოდებულ ცნობებს. ...ჩვენ უფრო შორს წავედით და ვიკითხეთ, მომავალში თუ როგორ უნდა ვემუშავა. მათ დაგვისახელეს ფრიად პატივცემული ხალხი, რომლებსაც თურმე დავალებული აქვთ, რომ მოიფიქრონ ციკლები, გადაცემათა სერიალები და პროგრამები, რომელთა მიხედვითაც ჩვენ პერსპექტივაში მოგვიწევს მუშაობა. ერუდირებული და პატრიოტი ხალხისაგან მიღებულ დახმარებას რა სჯობს, მაგრამ ჩვენ—შემოქმედებითმა მუშაკებმა ხომ თავად წარვადგინეთ ჩვენი თემები, იდეები და პროგრამები... არც პასუხი ჩვენს ნაფიქრალზე, არც გამარჯვება, არც ნახვამდის.... ესე იგი, ვინა ვართ? პროფესიონალი ჟურნალისტები თუ დაპროგრამებული ხალხი, შემსრულებლები, შავი მუშები ან მანქურთები?!...

6 აპრილს ჩვენ გამოვთქვით პროტესტი იმ სტუდიაში შეკრებილებმა, რომელშიც, სხვათაშორის, იმ საღამოდანვე ჯარისკაცებმა დაიდეს ბინა და ათი დღის განმავლობაში იცხოვრეს. ტელევიზიის მიტინგი კი გარეთ გაგრძელდა, რადგან შენობის წინ შეკრებილმა სტუდენტმა-ახალგაზრდობამ კომიტეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა მოინდომა. დამსვდურები და მოსულები ერთმანეთში ავირიეთ. ჩვენ — ტელევიზიის თანამშრომლები ვეხვეწებოდით ახალგაზრდებს, ოღონდ აქ ნუ დასხდებით, ოღონდ აქ ნუ გამართავთ შიმშილობას, გაიხსენეთ 1956 წელი-თქო, მაგრამ მოსულები ერთხმად და კატეგორიულად ითხოვდნენ ხელმძღვანელობასთან შეხვედრას— გვითხრან რატომ, ან ვისი დავალებით აშუქებენ მოვლენებს ტენდენციურად და მაშინვე დავიშლებითო...

გაისმა პირველი ტანკების ხმა ლენინის ქუჩაზე და ამ ხმამ თავზარი დამცა. როცა მუხლუხოიანი მანქანები ტელევიზიის მოპირდაპირე მხარეს გაჩერდნენ, გაოგნებული მივტრიალდი შენობისაკენ. იქ უკვე იდგა არ ვიცი, საიდან აღმოცენებული მილიციელთა სამი რიგი—ეს კომიტეტის დაცვა არ იყო, მილიციას კი მაშინ მტრულ ბანაკად ვთვლიდი. როცა შეძრწუნებულს სამსახურში — საკუთარ ოჯახში თავის შეფარება გინდა და ამ დროს უცხოები საშვს მოგთხოვენ, შიში გაითკეცდება. აკანკალებული ხელებით ფათური დავიწყე ჩანთაში. რომ მოულოდნელად მილიციელთა მწკრივები გაიყო და გვერდზე ჩამოქროლა ავტომატებით და რეზინის ჯოხებით შეიარაღებულმა სამხედროების ჯგუფმა. უცებ ისე გავბრაზდი, რომ შიშმა გადამიარა: სად მიდიხარ? ვის უნდა სთხოვო შველა, ვინც ტანკებიდან გადმოხტა და კბილებამდე შეიარაღებულ კაცებთან ზის ახლა, ჩვენ ხომ სწორედ მათგან გვჭირდება დაცვა?!

ქუჩაში დავრჩი! აღარ მეშინოდა!

არ შეშინებია რეჟისორ ლია დავლიანიძეს, რომელიც რვა აპრილის ღამეს ტელევიზიის სახალხო ფრონტელებთან და მომიტინგეებთან ერთად იჯდა კიბეზე. არც მაშინ შეშინებია, როცა დარბეულ და მიწაზე მოფენილ დასისხლიანებულ ხალხში, რეზინის ხელკეტით თავგაპობილი ახალგაზრდა ქალი მიიჩნია დასახმარებლად, იღლიებში ამოსდო ხელი და ჯარისკაცების ბრბოდან მისი გაყვანა გადაწყვიტა. ჯოხშემართული ჯარისკაცი თავს წამოადგა, მაგრამ დარტყმა ვერ გაუბედა, იმდენად გულგრილი იყო რეზინის ხელკეტისაკენ გაპარებული ლიას წამიერი მზერა. არ ვეგონოთ, რომ ლიამ არ იცოდა დარტყმის ძალა ან ამ ველურთა დაუნდობლობა—ის ხომ ზემოთ, ტელევიზიის სახალხო ფრონტელებთან ერთად იდგა მწკრივში... ოცდახუთამდე კაცი, დარბევის დაწყების მომენტისათვის შესასვლელის წინ განლაგდა, რადგან მიტინგის გარეკვას შენობის მხრიდან ელოდა. „ელოდა“ იმიტომ ვამბობ, რომ ჯავშანტრანსპორტიორი, რომელიც ტელევიზიის წინ იდგა, გვერდზე გადადგა, შენობის მესამე სართულზე სინათლე ჩაქრა და სეირის მაყურებლები ფანჯრებს მოადგნენ, ტელევიზიის ვესტიბიული კი ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცებით აივსო. მაგრამ დარბევა ქვემოდან დაიწყო.

ბატალიონი „იკარუსებით“ მოაბრძანეს—სამი ასეული — ფარიანი და ხელკეტიანი ჯარისკაცი სამასამდე უიარაღო კაცის დასარბევად. აქ ორლესული ბარები არ ჰქონიათ. ვერაგული გეგმა ითვალისწინებდა მომიტინგეთა ზევით, შენობისაკენ გარეკვას, რომ ვესტიბიულში ავტომატმომარჯვებულებს ტყვიით დაეცხრილათ ისინი და რა თქმა უნდა, ყოფილიყო საბაბი პოლიტიკური აქციისათვის—ტელევიზიის აღება უნდოდათ. აქ გაამართლა სახალხო ფრონტელთა მწკრივმა; მილიციელებისაგან წამოსულმა ფრაზამ შენობისაკენ ფეხი არავინ გადმოდგას, სწრაფად მოიარა ფრონტელთა მწკრივი. ისინი კედლად იქცნენ: თამაზ ჯოლოგუა, თემურ კვირკველია, ვახტანგ ჩხუმიანი, თამაზ ხმალაძე, ამირან ტაბუცაძე, გია არჯანაშვილი, გურამ ტყებუჩავა, მერაბ ჯაფარიძე, არჩილ ჩხაიძე, დათო კიკვაძე, კობა გალაშვილი, დათო ფლენტი, რუსლან ლონდაძე, გოგა თევდორაშვილი, მერაბ ზოზიტაშვილი, ზურა კანდელაკი... თითქოს არაფერია აქ ისეთი, მაგრამ ათი წუთი დგომა, როცა არ იცი ხელკეტით გაგიხეთქავენ თავს, თუ ზურგიდან დაგახლიან ტყვიას, დიდ გმირობად მიმაჩნია; აქ იყო ის წამი, რომელიც თავისუფლების შეგრძნებას სჭირდება, თითოეულმა იქ მყოფმა შეიგრძნო სულის სილაღე და სიდიადე.

იმავე დროში დავრჩით, ოღონდ იქ, იმ საბედისწერო ადგილას გადაუვარცხლელი—მთავრობის სასახლის წინ. რას ფიქრობდა ან რას გრძნობდა ულამაზესი და უსპეტაკესი თამუნა დოლიძე სიკვდილის წინ? ალბათ გაკვირვებას, ჯოჯოხეთის მეშვიდე გარსის საშინელებას და უპასუხოდ ტუჩებზე შეყინულ კითხვას სისასტიკეს—რისთვის?!

ხუთი დღის ნაშიმშილევ და ღამენათევ ლუიზა ჯაყელს ძალზე მკაფიოდ და რეალურად ახსოვს ყოველი წამი იმ ხუთი დღისა: ახსოვს ყველა ლოზუნგი, მოშიმშილე და ორგანიზატორი, ყველა გამომსვლელი—პოეტი, მსახიობი თუ პედაგოგი. ახსოვს თანადგომა. იმ ღამეს ხალხით გაჭედილი რუსთა-

(დასასრული მე-16 გვ.)

ლიტერატურის ისტორია

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი" რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის კონტექსტში

დოდონა კიზირია

ვისაც „სიმბოლო" და „მითოსი" არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს.
გრ. რობაქიძე

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი", რომელიც პირველად 1926 წელს დაიბეჭდა, აკავშირებს ევროპული და რუსული სიმბოლიზმის ფილოსოფიურ და ესთეტიკურ პრინციპებს ქართულ ლიტერატურასთან. მასში არეკლილია მსოფლმხედველობა, რომლის თანახმად სამყარო გააზრებულია როგორც არსებითად ესთეტიური ფენომენი. რობაქიძის შემოქმედებაში იგი წარმოგვიდგება როგორც მარად ქმნადი მითი, ისტორიის საკრალური ორეული, მისი იდეალური „თაურფენომენი" ანუ „პირველსახე". „გველის პერანგში" სიმბოლური თუ მითოპოეტური მოტივების მრავალფენოვანი სისტემა მიმართულია იმისკენ, რათა მკითხველს აუწყოს ამ „თაურფენომენის" თანყოფა სამყაროს ემპირიულ გამოვლინებებთან და ამით დროებითი დაუკავშიროს მარადიულს, პროფანულს მიანიჭოს საკრალური ხასიათი და რეალურ-მატერიალური აამაღლოს სიმბოლიურ-იდეალურ დონემდე. ამაშია სიმბოლისტური შემოქმედების მთავარი მიზანი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რომანში შეიმჩნევა გავლენა იმ მოდერნისტული ტენდენციებისა, რომელიც დამახასიათებელი იყო სიმბოლისტური ლიტერატურის გვიანი პერიოდისათვის. ეს, პირველ ყოვლისა, გამოიხატება არაესთეტიური რეალობისაგან მკვეთრ გამიჯვნაში, რაც თავს იჩენს თხრობის როგორც ენობრივ, ასევე თემატიურ-ფაბულურ შრეების განსაკუთრებულ დახვეწილობაში. ყოველივე ეს განაპირობებს რომანის სტილისტურ და სტრუქტურულ სირთულეს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი, კერძოდ, ზოგიერთი მითოპოეტური მოტივი ქვემოთ იქნება განხილული.

რომანში განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს იმ სტრუქტურულ მოტივებს, რომლებიც თხრობის სიმბოლიკას აკავშირებენ გარკვეულ კულტურულ და ისტორიულ მოვლენებთან, აძლევენ მათ მისტიურ ინტერპრეტაციას და გადაჰყავართ მითის სფეროში. ერთ-ერთ თავის სტატიაში რობაქიძე აღნიშნავს, რომ „გველის პერანგი" ჩაფიქრებული იქნა 1917 წელს ავტორის ირანში ყოფნის დროს, ხოლო დაიწერა 1925 წელს საქართველოში. ეს შვიდ-რვა წელი იყო ღრმა სოციალ-პოლიტიკური ცვლილებების ხანა, რომლის ფილოსოფიურ-ესთეტიური გააზრება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქართველი მწერლისათვის. სწორედ ამ პერიოდში იგი წერს ესეებისა და სტატიების მთელ სერიას, სადაც ეხება ქართული კულტურისა და მისი მომავლის საკითხებს. „XX საუკუნე საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი უღელტეხილით დაიწყო: ისახება ქართული რენესანსი", ამ სიტყვებით იწყებს რობაქიძე ერთ-ერთ თავის სტატიას. ამ რენესანსისკენ მიმავალი გზა და ამ გზაზე მოსალოდნელი ფათერაკი თუ მსხვერპლი, ამ რენესანსისათვის საჭირო სულიერი გარდაქმნა შეიძლება ჩაითვალოს რომანის ცენტრალურ თემად.

„გველის პერანგში" გზის მოტივთანაა დაკავშირებული მთავარი გმირის, არჩიბალდ მეკეშის ძიება; იგი არის „შვილი, რომელსაც სიზმრად ახსოვს საქართველო და დაეძებს დაკარგულ მამას". მაგრამ მისი მოგზაურობის მიზანი, ავტორის თქმით, სამსახოვანია, არჩიბალდი ეძებს მამას, მამულს, მამას უზენაესს. ამიტომ ამ მოგზაურობას საკრალურ-რიტუალური მნიშვნელობა აქვს, იგი დაკავშირებულია გარკვეულ ინიციაციასთან, გრძელი და მცდელი მოგზაურობის დასასრულს გმირს ელის ჭეშმარიტებასთან ზიარება, მისი მიგნება, ხილვა, ნათლის ღება, და მაშასადამე, ნეტარება. „ნეტარ არს შვილი, რომელიც მამის წიაღს უბრუნდება", ამბობს ავტორი.

არჩიბალდ მეკეშის მოგზაურობასთან დაკავშირებული სიმბოლიკის მნიშვნელობას სხვადასხვა წახნაგი აქვს. პირველ ყოვლისა, ეს არის გზა სულიერი ამაღლებისაკენ, რაც ნათლად არის გამოხატული თვით მოგზაურობის ტოპოგრაფიაში. რომანის გმირი მიემართება საქართველოში ირანზე გავლით, ე. ი. იგი მოძრაობს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, რაც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქრისტიანული სიმბოლიკის თანახმად გაიგივებულია ვერტიკალურად აღმა მსვლელობასთან. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ქრისტიანული მსოფლმხედველობა სამყაროს წარმოგვიდგენს როგორც ორ მოპირდაპირე წერტილს შორის განლაგებულ სივრცეს. ესაა ცა და დედამიწა, სამოთხე და ჯოჯოხეთი, ღმერთი და სატანა. მათ შორის მოძრაობა არასოდეს არ არის ხარისხობრივად ინდიფერენტული, იგი აღმა ან დაღმა მიმართულებას უდრის და შესატყვისი სიმბოლიური კონოტაციებითაა დატვირთული. სამყაროს ამგვარი წყობის ყველაზე კლასიკურ მაგალითს, ალბათ, დანტეს „ღვთაებრივი კომედია" წარმოადგენს, სადაც მიწისქვეშეთი და ზეცა ჯოჯოხეთსა და სამოთხეს შეესაბამებიან.

არჩიბალდის საქართველოსკენ მოგზაურობას თან ახლავს ისეთი მითოლოგიური მოტივი, რომლებიც მის მოძრაობას ქრისტიანული სიმბოლიკის კონტექსტში ათავსებენ. ამ სიმბოლიკის შესაბამისად იგი მიიმართება ვერტიკალურად აღმა, ანუ ქვესკნელიდან ზესკნელისაკენ, სიბნელიდან სინათლისაკენ. ამას ადასტურებს რომანში გამოყენებული მრავალი ბიბლიური მოტივი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია აღთქმულ მიწისაკენ ებრაელთა ორმოცწლიან მოგზაურობასთან დაკავშირებული ალუზიები, მათ ეთმობა რომანის მთელი თავი — „ქარავანი". მისი ერთ-ერთი ქვეთავის სათაურია „პოზარხიპ", რაც ავტორის მინიშნებით მოსე წინასწარმეტყველის ეგვიპტური სახელია. ებრაელთა წინამძღვარს დიდ პატივს სცემდა არჩიბალდის წინაპარი იუბაქ იუბაქიძე, რომელსაც თვითონაც უხეტიალნია სპარსეთ-თურქეთის უდაბნოებში. ყაზვინიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ ქარავანს მიკედლებული არჩიბალდი აერთიანებს როგორც მითოლოგიურ, ისე ბიოგრაფიულ წარსულს საკუთარ აწმყოსთან: „ასეთი ქარავანი მიდიოდა იქ: შავ მოხუცთან. ასეთ კლდეებში იშვა ცეცხლი: რომლითაც აიწვა ებრაელი. ეგების: ეს ქარავანიც იმ ქარავანის ნატეხია". ამგვარად, არჩიბალდის (ისევე როგორც მისი წინაპრის) გზა ემთხვევა ბიბლიურ მოდელს — ებრაელთა მოგზაურობას ეგვიპტიდან აღთქმული მიწისაკენ. ეს სანეტარო ადგილი კი მისთვის საქართველოა.

რომანის თხრობაში საქართველოსკენ ლტოლვას სხვა მნიშვნელობაც აქვს მინიჭებული. არჩიბალდი არაქრისტიანული და, მაშასადამე, წარმართული სამყაროდან ქრისტიანული კერისაკენ მიიმართება, რითაც კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთება მისი მოგზაურობის საკრალური ხასიათი. ძველ მესოპოტამიასთან, ეგვიპტესა და ასურეთთან დაკავშირებული ალუზიები დაპირისპირებულია ისეთ სახეებთან, როგორიცაა წმინდა ნინო და ვაზის ჯვარი. აქ ყურადღებას იპყრობს ერთი ღირსშესანიშნავი მომენტი, რომელშიც ავტორი ხაზს უსვამს ქართული კულტურის თავისებურებას. მისი აზრით, ქრისტიანობის ქართული ვარიანტი ნიშნავს არა წარმართობის უკუგდებას და უარყოფას, არამედ მის ჰარმონიულად შერწყმას, ხორციელისა და სულიერის ურთიერთ ინტეგრაციას და მათი ერთობის ახალ სუბსტანციად ქცევას. რობაქიძისათვის ამ იდეის ყველაზე შთამბეჭდავ განხორციელებას წარმოადგენს წმინდა ნინოს ჯვარი: „ჯვარი — ქალის თმებით შეკრული. მიჩვენეთ სხვა სახე უფრო მწველი და უფრო ლამაზი!! ჯვარი — ვაზის ნასხლავისაგან გამოჭრილი". ქალის თმა და ვაზის ნასხლავი — ორივე მიწიერ, ხორციელ გრძნობებთან (სიყვარულით და ღვინით თრობასთან) დაკავშირებული სახეებია, მაგრამ მათი ნაჯვარი უმაღლესი სულიერი აღზევების სიმბოლოა. სწორედ ამიტომ, არაქრისტიანი ტაბა ტაბაი, ავტორის სიტყვებით, „სპარსი, ჰინდუ თუ ეგვიპტელი", ქრისტიანულ სამშობლოში მოუყვება არჩიბალდს და გაქართველებულ მეგობარს წარმართულ თილისმას — გველის პერანგს — ახვევს ყელზე. ამ ჟესტს ყელზე ჯვრის ჩამოკიდების შესატყვისი მნიშვნელობა აქვს.

ქართულ კულტურაში ურთიერთ გამომრიცხველი ძალების კეთილად შერწყმის იდეა რომანის თხრობის სხვა შრეებშიც არის განვითარებული. იგი უკავშირდება არჩიბალდ მეკეშის ინგლისიდან საქართველოსკენ გამომგზავრებას ანუ მის არჩილ მაყაშვილად გარდაქმნას. გზის მოტივს აქაც საგანგებო მნიშვნელობა ეძლევა. ამჯერად არჩიბალდი მიიმართება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ; ეს მოძრაობა რომანში გააზრებულია როგორც აპოლონიურიდან დიონისურ სამყაროში გადასვლა. ამ ორი საწყისის გამომხატველი მოტივები ქმნიან მითოპოეტურ სიმბოლოთა მთელ სისტემას „გველის პერანგში".

დიონისური და აპოლონიური ძალების დაპირისპირების იდეამ, რომელიც წამოყენებული იყო ფრიდრიხ ნიცშეს ცნობილ ნაშრომში „ტრაგედიის წარმოშობა", დიდი გავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ აზროვნებაზე. ეს გავლენა განსაკუთრებული სიცხადით აღინიშნა რუსულ სიმბოლისტურ ლიტერატურაში, რასაც გრიგოლ რობაქიძემ მეტად მაღალი შეფასება მისცა. „გველის პერანგში" ციტირებულია ალექსანდრე ბლოკის ერთ-ერთი ლექსი და ნაწილობრივ ანდრეი ბელის რომანი „პეტერბურგი". ამ ციტატებს თხრობაში შემოაქვთ მოტივი დიონისური ამბოხებისა, რომელიც განადგურებას უქადის აპოლონიურ წესრიგს; მაგრამ ქართველი მწერალი სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევს ამ ანტაგონისტური ძალების შეჯიდებას.

რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, დიმიტრი მერეჟკოვსკისა და ანდრეი ბელის მსოფლმხედველობაში დიონისური (ქაოსი, ამბოხი, ინტუიცია, მუსიკის პრიმატი ხელოვნებაში) და აპოლონიური (ფორმა, ორგანიზაცია, ლოგიკა, არქიტექტურის პრიმატი ხელოვნებაში) საწყისების დაპირისპირებას და შერწყმას ცენტრალური ადგილი აქვს მინიჭებული. ეს შერწყმა გარდუვალია და მას მისტიურ-საკრალური ფუნქცია აკისრია. თუ ნიცშეს მიხედვით, ტრაგედია არის ნაყოფი დიონისური ექსტატიური მძვინვარების დაძლევისა აპოლონიური ფორმით, რუსი სიმბოლისტების თანახმად, კაცობრიობის ისტორია, როგორც ტრანსცენდენტალურ-კოსმიური მისტერიის გამოხატულება, წარმოადგენს დიონისური ამბოხის შედეგად გამოწვეული ნგრევის „გაფორმებას", ახალ ეტაპზე აღორძინებას აპოლონიური მაორგანიზებელი ძალებით. დროთა განმავლობაში კულტურის აპოლონიური ფორმა ქვავდება, ძველდება, კარგავს თავის შემოქმედებით ძალას და ახალი დიონისური ამბოხების მსხვერპლი ხდება. მათი აზრით, კაცობრიობის კულტურას გავლილი აქვს ორი სტადია: წარმართული (კოსმოსი) და ქრისტიანული (ლოგოსი). ეს უკანასკნელი დაკნინების უკიდურეს ზღვართანაა მისული ბურჟუაზიულ სამყაროში და მალე განადგურებული იქნება, რომლის შედეგად დაიწყება მესამე ხანა. ამ ხანაში წარმართული (ხორციელი) და ქრისტიანული (სულიერი) შეერწყმება ერთმანეთს და შეჰქმნის იდეალურ ჰარმონიას. ამგვარად, კულტურის განვითარებას მათს აზროვნებაში, სპირალური ხასიათი აქვს (ჰეგელის დიალექტიკური განვითარების კანონის მსგავსად) და აღმავლობითი მიმართულებით ვითარდება. ბელის რომანში „პეტერბურგი" აპოლონიური და დიონისური ძალები დაპირისპირებულები არიან, როგორც დასავლეთი და აღმოსავლეთი, ევროპა და აზია, ინტელიგენცია და ხალხი, და ა. შ. პეტერბურგის ქვა და მარმარილო უნდა მოისრას და განადგურდეს წყლისა და გრიგალის მიერ, რომელიც ბობოქრობს სკვითურ ბუნებაში. ცივილიზაციას უნდა ბოლო მოეღოს ბუნების ბობოქრობაში.

რობაქიძის რომანში, ისევე როგორც საერთოდ მის მსოფლმხედველობაში სხვა ვითარებაა. დასავლეთი და აღმოსავლეთი აქ არ არიან ანტაგონისტურად დაპირისპირებული და მათი შერწყმის აუცილებლობა მოხსნილია. გაინგლისებული არჩიბალდ მეკეში (აპოლონი) უბრუნდება თავის ეროვნულ საწყისებს და ხდება არჩილ მაყაშვილი (დიონისო) გამანადგურებელი მსხვერპლის გარეშე, თუმცა ეს დაბრუნება საფრთხესთანაცაა დაკავშირებული და სულიერ ტკივილთანაც. შეიძლება ითქვას, რომ რომანის სათაურში ჩაქსოვილი აზრი — გველის პერანგი — სწორედ ამ დაბრუნების, ანუ სულიერი აღორძინების სიმბოლოა. არჩიბალდი იცვლის კანს და იქცევა არჩილად. იგი არ ანადგურებს თავის ევროპულ წარსულს, მაგრამ სცილდება მას, ემშვიდობება. მისი მოგზაურობა, გზა ინგლისიდან საქართველომდე არის სათაურში გამოხატული სიმბოლის სინონიმი, მისი გავრცობილი მეტაფორა. სიცხისა და მზის მოტივები, რომლებიც თან ახლავენ ამ მოგზაურობის დინებას გზის (გველის პერანგის) მეტაფორის შემადგენელი ნაწილებია. მზისგან გავარვარებული სპარსეთის სივრცეები არის ცეცხლი და ქურა, რომელშიც იწრთობა ახალი რვალი (ხმლის მოტივი რომანში) — მაყაშვილის შთამომავალი, რომელიც უბრუნდება მამულს.

რობაქიძის გმირის ეს დრამატული, მაგრამ მაინც ჰარმონიული ტრანსფორმაცია გამოხატავს უაღრესად მნიშვნელოვან რწმენას ავტორის მსოფლმხედველობაში. მისი აზრით, ეს ჰარმონიულობა დამახასიათებელია ერთადერთი უნიკალური კულტურისათვის — ქართული ერისათვის (ან როგორც იგი უწოდებს, რასისათვის). დამამტკიცებელი საბუთი ქართული ერის ამგვარი სულიერი სახისა არის „ჯვარი ვაზისა" — სიმბოლო, რომელშიც ექსპრესიულადაა შერწყმული წარმართულიც და ქრისტიანულიც, აპოლონიურიც და დიონისურიც.

მოპირისპირე საწყისების ურთიერთქმედება სხვაგვარადაცაა გააზრებული ქართულ ლიტერატურაში. იმავე წლებში, როდესაც რობაქიძე „გველის პერანგზე" მუშაობდა, დაიწერა კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი". აქ დიონისური და აპოლონიური ძალები ურთიერთ-გამომრიცხველნი არიან. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან არა მხოლოდ როგორც დასავლეთი და აღმოსავლეთი, არამედ როგორც რაციონალური და ირაციონალური, ინტელექტუალური და სენსუალური, ქმედითი და ჭვრეტითი საწყისები პიროვნების მსოფლშეგრძნებაში. მათი ჭიდილის მსხვერპლი ხდება რომანის გმირი კონსტანტინე სავარსამიძე, მასში დიონისური სძლევს აპოლონიურს.

გრიგოლ რობაქიძე არაერთხელ შეხებია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთ ქმედების თემას. „საქართველო უღელტეხილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის: ჩვენ ვიწვით აღმოსავლეთის ფიქრმორეული შუაღღით, როცა მზის ლელეთა მარმაშში პანი იბადება მძიმედ მთვლემარე; ჩვენ ვერთვით დასავლეთის საშიშარ სიცხადეს, სადაც თვალღია ფანტასმაგორიებში „ძეობა" იკვეთება ძლევამოსილი. ჩვენ გვაფიქრებს ეგვიპტის სფინქსი და გვანცვიფრებს პარიზის ქიმერა", წერდა იგი 1917 წელს. ემიგრაციაში ყოფნის დროსაც მან სპეციალური ესსე — „ცხოვრების განცდა აღმოსავლეთსა და დასავლეთში" უძღვნა ამ საკითხს.

„გველის პერანგში" არა მხოლოდ გმირის, არამედ მისი მამულის ბედიც თავს იყრის სამყაროს მოპირდაპირე მხარეთა შეთავსების წერტილში. ეს წერტილი საქართველოს დედაქალაქია. „დასავლეთის ქარმა მიაგდო იგი აღმოსავლეთისაკენ თუ აღმოსავლეთის ქარმა დასავლეთისაკენ — ტფილისმა არ იცის... ათასი ქარი ეხეთქება: თითქოს ქვეყნის გზა ჯვარედინია". ავტორის წარმოდგენით თბილისი დედოფალია, რომელსაც მრავალი ცრუ საქმარო ჰყოლია მსოფლიოს ყველა მხრიდან. „არავის დანებდა. დარჩა გაუთხოვარი?! არა: აუყვანიათ საჭირწილოდ — მაგრამ ქალის მკერდი არ განუცდიათ. იყო მხოლოდ ძალადობა — მაგრამ ქალს ვინ მისწვდება თუ მისი მკერდი არ იხსნება?! დარჩა ქა[illegible]ბაგაუშლელი".

თუ საქართველო არჩიბალდის მამულია, თბილისი მისი მშობლიური ქალაქია. ორივე ტოპონიმი ერთი წმინდა ცნების — მშობლიური კუთხის აღმნიშვნელი სახეა, რომელთაგან პირველი მამური ანუ მამაკაცური, ხოლო მეორე დედური ანუ დედაკაცური საწყისის განსახიერებულია. აქ უკვე მოცემულია სამყაროს მითოსური აღქმის მოდელი, რომელიც რომანში საკრალურ დრამად არის განვრცობილი.

როგორც ცნობილია, მითოლოგიური მსოფლშეგრძნება მამისა და დედის საყვარულ ადამიანის არსებობის სხვადასხვა სფეროს უკავშირებს. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის გასული საუკუნის გერმანელი ისტორიკოსი და ფილოლოგი იოჰან ბახოფენი: „ეს პატრიარქალური (მამური) პრინციპი შინაგანად შემოფარგლულია, მატრიარქალური (დედური) პრინციპი უნივერსალურია; პირველი უკავშირდება ადამიანის გარკვეულ ჩარჩოს, ხოლო მეორეს კი, როგორც ბუნების ძალის, საზღვარი არ უძევს". მაშასადამე, მამური პრინციპი შერწყმულია განსაზღვრულობის თვით ერთში, მეორე კი სიმბოლოა მიწისა, რომელიც [illegible]. შესაბამისად, არჩიბალდის მოგზაურობა საქართველოსკენ არის ლტოლვა როგორც ერისაკენ, ისევე ახალი საფუძვლისაკენ. ამავე მოწმობს „გველის პერანგის" მეტაფორა: არჩიბალდი იშორებს წარსულს, როგორც გველი — კანს და იშვება ახალი ცხოვრებისათვის. მაგრამ ეს აღორძინება განუყოფელია გმირის ქართულ წარსულთან მთელი არსებით შერწყმისთან, მასთან შეუღლებასთან და

---

* წაკითხულია ქართველოლოგთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1988 წლის ოქტომბერში.

ამიტომ იგი ქორწინების რიტუალს უკავშირდება. რომანში ეს ქორწინებაც საკრალურ ხასიათს ატარებს და მისი მნიშვნელობაც მითოპოეტური მოტივებით არის ახსნილი. საქართველოს მიწა და მისი სიმბოლო-თბილისი — არა მარტო დედაა არჩიბალდისა, არამედ მისი საცოლეც. ამაზე მიგვითითებს ავტორის მიერ ქალაქის განსახიერება ქალად, რომელიც საქმროს ელის: „რომელი საქმრო კიდევ? ყველა ყალბი?! ყველა ცრუ?! ეგებ თვითონ არის ყალბი!? ეგებ თვითონ არის ცრუ!? ვის უცდის ამდენ ხანს?! თავის ვაჟებში ვერ ნახა საქმრო?!"

სწორედ არჩიბალდია ის ჭეშმარიტი, თავისივე ვაჟებში ნაპოვნი საქმრო, რომლის ჩამოსვლა თბილისში, საქართველოში, საკუთარ მამულში — ქორწინების რიტუალს უდრის. იგი არის დიონისოდ აღორძინებული აპოლონძ, შვილი, ძმა და საქმრო თავისი მშობელი მიწისა. ეს სიმბოლური ქორწინება მეორდება სიუჟეტურ პლანში, არჩიბალდი ცოლად ირთავს მატასის, ვამეხ ლაშხის დას. აქ დიონისო ოიდიპოს მეფესთან ერთიანდება და ახალ ნიშნობრივ შრეს ქმნის რომანში.

ოიდიპოსის მოტივი თხრობის მესამე მითოპოეტურ სისტემაში შედის და უკავშირდება რუსული სიმბოლიზმის გარკვეულ მხარეებს. ეს მხარეები სწორედ ამ მოტივის რეალიზაციაში ვლინდება, განსაკუთრებით ანდრეი ბელის რომანში „პეტერბურგი", სადაც რუსი ინტელიგენცია (შვილი) უპირისპირდება პეტრე პირველის (მამა) სულიერ-იდეოლოგიურ ნაანდერძევს; რომანის გმირი ნიკოლოზ აპოლონის ძე აბლეუხოვი (შვილი) უპირისპირდება აპოლონ აპოლონის-ძე აბლეუხოვს (მამა); პირველი განადგურებით ემუქრება მეორეს, ერთი პოტენციური მკვლელია მეორისა.

რობაქიძის რომანში ოიდიპოსის მითს მეტად ორიგინალური ინტერპრეტაცია აქვს მიცემული. ოიდიპოსის სახე და ფუნქცია გაორებულია და განაწილებულია ორ პროტაგონისტს შორის; ესენი არიან არჩიბალდი და ვამეხი. ეს გაორება დაკავშირებულია ოიდიპოსის ცოდვის მოტივის ორ მხარესთან: პატრისიდი და ინცესტი.

ვამეხი მისდა უნებურად ჰკლავს (ან სიკვდილის მიზეზი ხდება) მამას, არჩიბალდი ირთავს მატასის რომელშიც სიმბოლიურად განხორციელებულია დისა და დედის საწყისი. არჩიბალდი და ვამეხი ორეულები არიან და ერთმანეთის სახეცვლილებას წარმოადგენენ. ამას მოწმობს უამრავი დეტალი რომანში. ასეთია ძმის სიყვარულის მოტივი, რომლითაც იწყება თხრობა. წარწერა ქვაზე: „ჩემი ძმა არყოფილი ვით არ მიყვარდეს...", რომელიც რამდენჯერმე მე[illegible]დება რომანში, ქმნის ერთგვარ პოეტურ რეფრენს.

პირველივე დანახვაზე ორივე სცნობს და შეიცნობს თავიანთ ნათესაობას, ურთიერთმიკუთვნებას, ისინი ინტუიტიურად ხვდებიან საკუთარ ძმობას ვიდრე ამას დანამდვილებით გაიგებდნენ.

რომანის ფინალში ირკვევა, რომ ორივენი თამაზ მაყაშვილის ვაჟები არიან, თუმცა დედით სხვადასხვა (როგორც თორღვაი და მინდია „ლამარაში").

ორივე ხდება საგვარეულო ხმლის მფლობელი, ჯერ არჩიბალდი, შემდეგ ვამეხი, თვითონ ხმალი უაღრესად სიმბოლიური, საკრალური სახეა, იგი წარმოადგენს გვარის ნიშანს, მისი სიძლიერისა და სიცოცხლის-უნარიანობის ტოტემს.

ორივეს აერთებს სამი ქალის სიყვარული: ოლღა გასწირავს თავს, რომ ვამეხი სიკვდილს გადაარჩინოს, მაგრამ აკეთებს ამას არჩიბალდის სიყვარულით, რადგან იცის, რომ ამ უკანასკნელისათვის ვამეხი უძვირფასესი ადამიანია. ნინო — არის ვამეხის დედა და არჩიბალდის მამის სატრფო, მისივე დედის შემცვლელი.

მატასი — არჩიბალდის მეუღლე რომანის ფინალში — ვამეხის დაა.

ვამეხთან შებრძოლების შედეგად მოხუცი თამაზ მაყაშვილი კვდება არჩიბალდის მკლავზე დახვენებული. ამგვარად, ორივე ძმა ეზიარება მამის მკვლელობის ცოდვას, თუმცა ვამეხია ამის პირდაპირი მიზეზი და პატრისიდის უმთავრესი ცოდვა მას აწევს.

არჩილი ჩაიდენს ოიდიპოსის მეორე ცოდვას — ინცესტს, თუმცა ამ ცოდვას ვამეხიც ეზიარება. სწორედ ვამეხი ურჩევს მატასის გამოეკიდოს არჩილს და დააბრუნოს იგი. ამგვარად მატასისა და არჩიბალდის შეუღლების ინცესტური ხასიათი ნათელი ხდება; მატასი ვამეხის დაა, ვამეხი კი არჩიბალდის ძმა და ორეულია მისი მეორე „მე". გარდა ამისა, მატასი თავისივე დედის, ნინოს ახალი, აღორძინებული ვარიანტია (როგორც ეს ხშირად არის მეტაფორულად გააზრებული მითოლოგიაში) და მაშასადამე იგივე ნინოა. ეს მხარე სპეციალურადაა ხაზგასმული რომანის ერთ-ერთ ეპიზოდში, სადაც მატასი მონაწილეობას ღებულობს თეატრალურ პანტომიმაში და ანსახიერებს წმინდა ნინოს, ე.ი. ასრულებს ნინოს როლს.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ თავის ლექსში რობაქიძე ნინოს სახეში აკავშირებს დისა და დედის ფუნქციას; „დაო და დედავ, ღვთისშობილის დობილო....", მიმართავს იგი წმინდანს.

ოიდიპოსის მითის რობაქიძისეული ინტერპრეტაცია სრულიად აშლებურად აშუქებს რომანის ფინალს. ის ბედნიერი ოჯახი: მოტიკტიკე პატარა თამაზი (მატასისა და არჩილის ვაჟი), ფეხმძიმე მატასი, დაწყვილებული ვამეხი და არჩილი — არ წარმოგვიდგენენ ბედნიერ დასასრულს. ეს არის ოიდიპოსის მითის კულმინაციური კვანძი: ოიდიპოსისა და იოკასტას დაქორწინება, რომელიც მომავალი ტრაგიკული კატაკლიზმების საწინდარია. ბავშვობაში მიტოვებული არჩილი ხვდება მამას, ვერ ცნობს მას, გაიგებს მის ვინაობას სიკვდილის მომენტში, ირთავს მამის სატრფოს ქალიშვილს, საკუთარ „დას და დედას" თავის მამულში — თებეში. მითის ყველა ელემენტი სახეზეა. მაშასადამე, მითის ლოგიკური განვითარების პროექციაცაა მოცემული და ნაწინასწარმეტყველები. ამგვარი დასასრული ზუსტად ეთანხმება ერთი მხრივ რობაქიძის სიმბოლისტურ მსოფმხედველობას, მეორე მხრივ მწერლის მიერ გარკვეული ისტორიული პერიოდის და ამ პერიოდის ღრმა სოციალური ცვლილებების მისტიურ გააზრებას. რომანის ჩაფიქრებისა და დაწერის შორის განვლილი დრო სავსე იყო სწორედ ამდაგვარი კატაკლიზმური ცვლილებებით, რომელთა გამოხატვა ავტორმა ოიდიპოსის მითის საშუალებით სცნა შესაძლებელი.

ადვილი შესაძლებელია, რომ ამ მითის შეტანა რომანში შთაგონებული იყო ერთი ტრაგიკული შემთხვევით, კერძოდ ილია ჭავჭავაძის მკვლელობით, რომელსაც მთელი ქართველი საზოგადოება გულისტკივილით გამოეხმაურა. ეს შემაძრწუნებელი აქტი, ჩადენილი ქართველებისვე მიერ, მამის მკვლელობას უდრიდა და მძიმე კვალი დატოვა ერის მეხსიერებაში. გრიგოლ რობაქიძეს ამ მკვლელობაში მისტიური მნიშვნელობა აქვს დანახული. „ქართული რენესანსის ჩასახვის სიმბოლო წინამურის ველია: ქართველმა მოკლა საქართველოს მძლავრი მხედარი, ხოლო სისხლით შესვრილ ხელს რომ დახედა, მკვლელმა საქართველოს სახე დაინახა. ილია ჭავჭავაძე მსხვერპლია, შეუცნობლად შეწირული საქართველოს საყოფელი სახის ხილვისათვის", წერს იგი 1917 წელს. მაშასადამე, ეს მსხვერპლი დანახულია როგორც უნებლიე, მაგრამ გარდაუვალი საბედისწერო ცოდვა, ისევე როგორც ოიდიპოსის მიერ მამის მკვლელობა. ამას კი ადრე თუ გვიან მოჰყვება მკაცრი სასჯელი — შავი ჭირი, რომელიც მუსრს ავლებს თებეს მოსახლეობას და რომლის მძვინვარებას ბოლო მოეღება მკვლელის მონანიებით. ბაბუა სარიდანის გვამი, რომელსაც ჩამავალი მზის ფონზე ეთხოვებიან არჩილი და ვამეხი, სწორედ მოახლოებული განსჯის მანიშნებელი სიმბოლო უნდა იყოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ რომანის ფინალშივე ჩასახულია ოიდიპოსის მითის მარადიული, ციკლური ბუნება, რობაქიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, თესლი მითოსისა, სადაც წარსული, აწმყო და მომავალი თავს იყრის. ესაა პატარა თამაზი, მომავალი თამაზ მაყაშვილი, ლაიოსი, რომელიც შობს ახალ ოიდიპოსს. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ ავტორის აზრით ეს მითი მისტიური და მარადიული მოდელია ქართველი ერის ცხოვრებისა.

გრიგოლ რობაქიძის რუსული სიმბოლიზმის ტრადიციებიდან გადახვევასთან დაკავშირებით, საგულისხმოა კიდევ ერთი შტრიხი, რომელიც დროის მითიურ გააზრებას ეხება. რუსულ სიმბოლისტურ მსოფლმხედველობაში ყოფითი და საკრალური დროის თანაფარდობის მითიური მოდელი, ძირითადად, ღვთაების ძალადობრივი სიკვდილის (მაგალითად, ოზირისის, თამუზის, დიონისოს, ქრისტეს) არქეტიპით შემოიფარგლება. კულტურის ნგრევა ისტორიის გარკვეულ მომენტებში და კვლავ მისი აღორძინება ამ მოდელის მარადიული განხორციელების აღმნიშვნელია.

„გველის პერანგში" გრ. რობაქიძემ ამავე მიზნით მიმართა ოიდიპოსის მითს და დროის საკრალური მნიშვნელობა სხვაგვარად გამოხატა: აქ შვილის მიერ უნებლიე ცოდვის ჩადენას — საკუთარი სისხლისა და ხორცის მკვლელობა-განადგურებას — მოსდევს ამ ცოდვის აღიარება, მონანიება და შეწყნარება. ეს მოდელი მეორდება ისტორიის ტრაგიკულ პერიოდებში და ახალი ხანის აღმნიშვნელი წერტილია.

ამგვარად, თუ რუსი სიმბოლისტებისათვის დროს, როგორც ზემოთ ითქვა, მაინც აქვს ერთგვარი სპირალურ-ვექტორული და ამიტომაც აღმავლობითი ხასიათი, ამ კონცეპციის საპირისპიროდ, რობაქიძის შემოქმედებაში იგი ციკლიური რჩება. ეროვნული კულტურის (ქართული ერის) ცნება ავტორისათვის აბსოლუტურ ფასეულობას წარმოადგენს და განვითარებას არ საჭიროებს. იგი უნდა იქნას შენახული „ხელუხლებლად". ეს აზრი თვით გველის პერანგის მეტაფორაშიც ნათლად ჩანს; გველი პერანგს იცვლის და აღორძინდება, იტვირთება ახალი ენერგიით, მაგრამ არ ხდება მისი არსებითი გარდაქმნა. ამგვარად, დროის შეგრძნება რჩება აბსოლუტური, მითიური, თუნდაც არქაული.

ასე წარმოუდგება გრიგოლ რობაქიძეს ქართველი ერის ისტორია, საქართველოს ბედი.

●

ამ წერილის ავტორი. აშშ-ს ინდიანის უნივერსიტეტის პროფესორია. მისი თხოვნაა, ამ სტატიის ჰონორარი გადაირიცხოს 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის ასაგებ ფონდში.

რა დიდი დანაკარგია!

როდესაც გიორგი ტოვსტონოგოვთან ვსწავლობდი, ასე მეგონა, რომ ის ჩვენზე ბევრად უფროსი და გამოცდილი იყო. მან იმდენად ბევრი იცოდა, მსახიობისა და რეჟისორის პროფესიის საიდუმლოთა ისეთ სირთულეებს გვაზიარებდა, რომ, ახალი კონტინენტის აღმოჩენით გაბედნიერებულნი, სიხარულით ცას ვეწეოდით. ჩვენ ვეთაყვანებოდით მის უზარმაზარ გამოცდილებასა და ცოდნას. დღეს კი, როდესაც ეს უბედურება მოხდა და ის, სხვა ჩვენი მასწავლებლის კვალდაკვალ წავიდა ჩვენგან, ნეკროლოგიდან შევიტყვე, ჩემი პედაგოგი ჩემზე სულ ექვსიოდე წლით უფროსი ყოფილა. გ. ტოვსტონოგოვი — ეს განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი მხატვრული ნიჭია, ეს — ფილოსოფოსი-შემოქმედია. მას გააჩნდა იშვიათი ნიჭი და უნარი ხელოვანთაგან შემოქმედთა კოლექტივი ჩამოეყალიბებინა (ამის მაგალითია ლენინგრადის თეატრი), აღეზარდა მსახიობები და რეჟისორები. მისი საუკეთესო სპექტაკლები მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი.

ოდესღაც გ. ტოვსტონოგოვი თეორიულად და პრაქტიკულად გვაცნობდა კ. სტანისლავსკის მოძღვრების საფუძველს. იმ დროს, როდესაც აკრძალული იყო ვ. მეიერჰოლდის სახელი, გ. ტოვსტონოგოვი, ამ უდიდესი რეჟისორის აღმოჩენებით თავადაც გატაცებული, ჩვენც გვაზიარებდა მისი ხელოვნების საიდუმლოებას. ჩვენი პედაგოგი, თავად უზომოდ გატაცებული თეატრალური ხელოვნებით, ჩვენც გვიტაცებდა და გვმოძღვრავდა. სანდრო ახმეტელის უსაზღვრო თაყვანისმცემელი (მისი პორტრეტი ყოველთვის ამშვენებდა გ. ტოვსტონოგოვის სამუშაო ოთახს), ის თავისებურად ცდილობდა აეხსნა ჩვენთვის ს. ახმეტელის, ამ სხვათაგან სრულიად გამორჩეული რეჟისორის, უჩვეულო, თვითმყოფადი ფენომენი.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. და მხოლოდ ახლა ვგრძნობთ მთელი ძალით ყველა მისი მაშინდელი მოწაფე (ლ. იოსელიანი, ნ. ურუშაძე, მ. ჩახავა, რ. ჩხეიძე, თ. აბულაძე, გ. ლორთქიფანიძე, ა. დვალიშვილი, მ. გიგიმურელი და სხვ.), რაოდენ ბევრი მოუცია ჩვენთვის ამ შესანიშნავ პედაგოგსა და რეჟისორს. მერე სხვებიც იყვნენ, მაგრამ თავიდან იყო სიტყვა.

დღესაც ვინახავ, როგორც უძვირფასეს რელიქვიას პირველ კურსზე გ. ტოვსტონოგოვის მიერ რეჟისურაში ჩატარებული ლექციების მიხედვით შედგენილ კონსპექტებს და ჩვენს ინსტიტუტში 1945 წელს დადგმულ მ. გორკის „მდაბიონი" რეპეტიციების ჩანაწერებს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მას შემდეგ ბევრი სპექტაკლი დავდგი, კარგიც და ცუდიც. მაგრამ ყოველთვის, როდესაც ძალიან მიჭირს, როდესაც გამოუვალ მდგომარეობაში ვარ და ამა თუ იმ თეატრალურ პრობლემას ვერ ვართმევ თავს, თითქოს შემთხვევით გადავფურცლავ ხოლმე დროთა განმავლობაში გაყვითლებულ ფურცლებს იმ იმედით, რომ იქ აუცილებლად ვიპოვნი პასუხს იმაზე, რაც ასე ძალიან მაწუხებს. ეს მოკლე ჩანაწერები — მცნებები ძალზე უბრალო, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია. ეს, შესაძლოა, ანბანური ჭეშმარიტებანია, მაგრამ ჩვენი საქმისთვის ისინი უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანია. ამ აღმოჩენებისათვის მთელი ცხოვრება მადლობელი ვიქნები ჩემი მასწავლებლისა. ანალიზისა და დასკვნების გამოტანის რა არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა მას, რა უზუსტესად აგებდა მოვლენათა ლოგიკურ ჯაჭვს, რეპეტიციაზე როგორი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა შეეძლო, მოქმედ გმირთა ურთიერთობებისა და ხასიათების შეთხზვის რა უნარი და ფანტაზია ჰქონდა! რეპეტიციის დროს მას მშვენივრად შეეძლო ჩვენება, ახსნა მსახიობისთვის, მისი გატაცება, ადამიანის განცდათა სამყაროში. დღეს ეს უიშვიათესი უნარია. გ. ტოვსტონოგოვი არაჩვეულებრივად მძაფრად გრძნობდა თეატრალურ ფორმას, სპექტაკლის რიტმს, პლასტიკას. ის მსოფლიო მნიშვნელობის რეჟისორი იყო, მისი სახელი ყველა თეატრალურ კონტინენტზეა ცნობილი. და ის ფაქტიც, რომ კინომსახიობთა თეატრი მადრიდში გამოვიდა 1987 წელს, ეს გ. ტოვსტონოგოვის დამსახურებაა, სწორედ მან მისცა მაშინ ფესტივალის ორგანიზატორებს „დონ ჟუანის" რეკომენდაცია.

რა საწყენია, რა დიდი დანაკარგია ეს ყველა მისი მოწაფისათვის.

მიხეილ თუმანიშვილი

რატომ ვძაბავთ ხალხს?!

დღეს ყველა ქართველის გულში გლოვაა 9 აპრილს უდანაშაულოდ დაღუპული ადამიანების გამო.

ამას წინათ სტუმრად ვიმყოფებოდი ქ. ზუგდიდში. განმაცვიფრა იმან, რომ ამ მძიმე დღეებში ქალაქის მესვეურებს ყველაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რათა ქალაქისათვის რაც შეიძლება მეტი სადღესასწაულო იერი მიეცათ. ყველგან წითელი დროშები ფრიალებდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი წითელში იყო ჩასმული. ყოველივე ეს ხალხში, ძირითადად ახალგაზრდებში იწვევდა დაძაბულობას. შედეგმაც არ დააყოვნა — პირველ მაისს, დილით, ერთმა ახალგაზრდამ, პროტესტის ნიშნად, დროშა ჩამოხსნა, რომელიც უმალვე იქნა დაკავებული წესრიგის დამცველების მიერ.

ყველაფერმა ამან გამოიწვია ის, რომ პირველ მაისს, საღამოს, ქალაქის აღმასკომის წინ, თავი მოიყარა ორიათასამდე კაცმა. დაიწყო ახალგაზრდების შიმშილობა. ისინი მოითხოვდნენ დროშების ჩამოხსნას და იმ ახალგაზრდის გათავისუფლებას, რომელმაც დროშა ჩამოხსნა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააკმაყოფილა ყველა მათი მოთხოვნა და შიმშილობაც შეწყდა.

ვიდექი და ვფიქრობდი, რატომ იქმნება ხელოვნურად დაძაბულობა? ვის აძლევს ეს ხელს? ნუთუ ყველაფერი ძველი წესით მიდის? ნუთუ ერთმანეთზე გადაბლართულია ის უჩინარი ძაფები, რომლებიც არ იძლევიან გარდაქმნის საშუალებას?

მიტინგზე მოსული მოქალაქეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ადგილობრივი გაზეთისა და მისი რედაქტორის მიმართ, ერთხელაც რომ არ გაუშუქებია 9 აპრილის ტრაგიკული ამბები.

ჩემი აზრით, ასეთი საქციელით, ჩვენს ხალხს ტკივილებს ვერ დავუამებთ. პირიქით, გავამძაფრებთ, რამაც შეიძლება სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს.

თენგიზ ჯანელიძე

3 მაისი, ზუგდიდი.

„ლიტერატურნაია გრუზია" № 5

პოეზიისა და პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია მუხრან მაჭავარიანის (თარგმანი ი. დანილოს, ა. ერემენკოს, ტ. ბეკის, ბ. რეზნიკოვის), დალი ცაავას (თარგმანი ვ. ერემენკოსი) და გივი ორაგველიძის ლექსები, ნუგზარ შატაიძის (თარგმანი ლ. ბეჟიზათის), ვლადიმერ ოსინსკის მოთხრობები, ბუალო-ნარსეჟაკის დეტექტური რომანი (დასაწყისი, ფრანგულიდან თარგმნა ა. დროზდოვსკიმ).

აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით ჟურნალში გამოქვეყნებულია ოთარ ჭილაძის წერილი „ვგმობ სისასტიკეს" და სხვა მასალები.

მკითხველი გაეცნობა აგრეთვე რომან მიმინოშვილის პუბლიცისტურ სტატიას „ინტერნაციონალური ნაციონალურის გარეშე, ანუ უფუნქციო „ინტერი".

რუბრიკით „ლიტერატურათმცოდნის ჩანაწერები" დაბეჭდილია იგორ ბოგომოლოვის წერილი „ტფილისი" თუ „თბილისი"?

„განთიადი" № 2

გამოვიდა ალმანახ „განთიადის" მეორე ნომერი, ალმანახში დაბეჭდილია ოტია იოსელიანის — ღია დეპეშა ვ. პ. ასტაფიევს, ქუთაისის ისტორიული იერსახის, მისი დღევანდელობის და მომავლის თემისადმი მიძღვნილი „მრგვალი მაგიდის" მასალები.

პოეზიისა და პროზის რუბრიკით ქვეყნდება კლარენს შამფრიანის, ლადო სულაბერიძის, ცირა შალაშვილის, ზურაბ კუხიანიძის, ლილი ნუცუბიძის, დილარ ივარდავას, გივი ნიკარაძის, ბათუ დანელიას, ვასილ გვეტაძის, ზაალ ებანოიძის, ავთანდილ ყურაშვილის ლექსები. ალექსანდრე ქურასბედიანის, ნანა კანდელაკის, გურამ დოჩანაშვილის, გიორგი ავალიანის, ლევან სანიკიძის მოთხრობები, გიორგი კეჭაყმაძის, რომანი „გზა თავჰა წინ" (გაგრძელება), იაკობ პაპიაშვილის რომანის ნაწყვეტი, ვლადიმერ უსპენსკის „ზელადის საიდუმლო მრჩეველი" (რომანის გაგრძელება, თარგმანი ავთანდილ ყურაშვილის).

„თვალსაზრისის" რუბრიკით ალმანახი მკითხველს სთავაზობს ზოია ტუღუშის წერილს — „იერარქია ლაზიკისა".

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის რუბრიკით დაბეჭდილია გიორგი პაპუაშვილის, დურმიშხან ცინცაძის, აპოლონ ცანავას და ალექსი ჭინჭარაულის წერილები.

ალმანახი ახალი რუბრიკით „ანონიმი ავტორი" ბეჭდავს წერილს — „ძია გიგო". ვ. გუჯაბიძის, ზ. ვახანიას, ზ. კიკნაძის, ე. კოდუას, ი. კოტეტიშვილის კოლექტიური წერილი ეხება ეროვნული საუნჯის დაცვას.

გაღმით შეედავე და გამოღმით შეგრჩებაო

წერილის დაწერას არც ვაპირებდი, მაგრამ მაჩაბლების, ფავლენიშვილებისა და ბევრი სხვა ქართველის საფლავის ქვები არ მაძლევენ გაჩუმების უფლებას.

დიდიდაჩემის, მარგალიტა ფავლენიშვილის მონაყოლი მახსოვს. 1921 წელს, როდესაც წითელი არმია ზედა ქართლში შემოვიდა, (როგორც წესი, მისი გამოჩენა თავად-აზნაურების ხოცვა-ჟლეტით იწყებოდა), სოფელ ერედვში თურმე ოსების სამად-სამი ოჯახი ცხოვრობდა. დიდედაჩემის ოსმა ყმებმა მთელი ოჯახი საბძელში შეიფარეს და თოფმომარჯვებულებმა დაიცვეს ისინი. ასე გადაარჩინეს მთელი ოჯახი ამოწყვეტას. ეს მაგალითი იმის დამადასტურებელია, რომ იმ დროს ზედა ქართლში რამდენიმე ოსი ოჯახი ცხოვრობდა, რომლებიც ქართველებმა, როგორც კეთილმა მასპინძლებმა, გულთბილად მიიღეს, საკუთარ მიწაზე დაასახლეს და თავისი სარჩო-საბადებელი ძმურად გაუნაწილეს. მადლიერმა ოსებმა კი, სიკეთის წილ სიკეთითვე უპასუხეს და თავიანთივე ბატონ-პატრონები გადამთიელი ურდოებისაგან გადაარჩინეს.

ამჟამად სიტუაცია ძირეულად შეცვლილია: ზედა ქართლის სოფლები გაივსო ჩამოსახლებული ოსებით და გულღიად მიღებული სტუმრები უკვე მასპინძლებად გრძნობენ თავს, სტუმრებად კი ქართველები მიაჩნიათ. ასეთივე ფსევდომასპინძლის როლში გამოდის ვინმე ა. ჩოჩიევიც, რომელიც თავისი შოვინისტური კაცთმოძულეობით ერთა შორის მტრობას თესავს და არა ჰარმონიულ, მეგობრულ ურთიერთობას. ა. ჩოჩიევის წერილი, რომელიც გამოქვეყნდა აფხაზეთის გაზეთში, უნდა ჩაითვალოს არა მარტო, ქართველი ერის შეურაცხყოფად, არამედ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის უკიდურეს ოპოზიციურ აქციად და მთელი სისასტიკით მოეკითხოს პასუხი ცილისმწამებელსა და უმადურს.

ზედა ქართლის ბევრი სალოცავი დაინგრა თუ დაანგრიეს, ეს არავინ იცის, მინდა ერთი მაგალითი მოვიყვანო ცხეთიჯვრის ზედა და ქვედა სალოცავებზე. ზედა ცხეთიჯვარი, სოფლების ერედვისა და ბერულის ზემოთ ცხეთიჯვრის მთაზე მდებარეობს, მდებარეობს-მეთქი ვწერ,. თორემ იქ ამჟამად მხოლოდ ნანგრევებია, (ეკლესიის ნარჩენი საკუთარი ხარჯით გადახურა ერედვის მცხოვრებმა ტ. ოზგებიშვილმა). აფეთქებდნენ, გაჰქონდათ და დღესაც გააქვთ წითელი მიწა სამშენებლო მასალად.

ამ ხუთიოდე წლის წინათ, ერთ-ერთი ასეთი აფეთქებისაგან დაინგრა ეკლესია. აფეთქება ისეთი სიძლიერისა იყო, რომ სოფელ ბერულის სკოლის მინებიც კი ჩაიმტვრა. 19 მაისს, ცხეთიჯვრობის დღეს, ხალხი მაინც ყოველთვის ადის ამ ეკლესიის ნანგრევებზე სალოცავად.

ქვემო ცხეთიჯვრის სალოცავიც დაინგრა, მაგრამ სოფელ ბერულის ქართველმა ახალგაზრდობამ, ეს სალოცავი საკუთარი ხელით ამოაშენა და აღადგინა. ამ სალოცავებში ქართველებთან ერთად ოსებიც ლოცულობენ.

ა. ჩოჩიევს უნდა ვკითხო, თუ შეწუხებულა როდისმე ქართველი „ძმების" ჩაგვრის გამო? მაღაზიაში შესულმა ქართულად რომ იკითხო, პასუხს არავინ გაგცემს, პასუხისმგებელ თანამდებობაზე ქართველი არ ინიშნება, ცხინვალის და ახლო-მახლო სოფლების ქართველი მოსახლეობა გორში ან გორის რაიონებში მიდის სამუშაოდ და ასე, თანდათან იცლება სოფლები ქართველებისაგან.

გეკითხებით, რატომ ხდება ჩოჩიევო ეს? ალბათ, იმიტომ, რომ შენნაირი ადამიანები არსებობენ ამ ქვეყანაზე, გულღრძო უვიცები, რომლებმაც არც თავის ისტორია იციან და არც იმ ხალხის ისტორიას კითხულობენ, ვის მიწაზეც ცხოვრობენ.

და საერთოდ, ვის სჭირდება ამ ისედაც არეულ ქვეყანაში ორ ერს შორის ურთიერთობის დაძაბვა პროვოკაციული გამოსვლებით, ქართველების წინააღმდეგ?

ისევ და ისევ ა. ჩოჩიევისთანა უმადურ პროვოკატორებსა და ცილისმწამებლებს.

დიანა მაჩაბელი

9 აპრილს მიეძღვნა

ახლახანს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა პრემიერა სპექტაკლისა „დედაო ღვთისაო", ამ წარმოდგენით გამოეხმაურა თეატრი 9 აპრილის მოვლენებს. რეჟისორმა რობერტ სტურუამ ძალზე ორიგინალური, საინტერესო ნამუშევარი შესთავაზა საზოგადოებას. ესაა საქართველოს ისტორიის ზოგადი სურათი. სპექტაკლი დადგმულია გია ყანჩელის „რეკვიემის" თანხლებით.

მურმან ჩაჩუას ფოტოები



(დასასრული)

ველის პროსპექტისა და, რაც მთავარია, ახსოვს ის ხუთი წუთი — დიდებული ექსტაზისა, როცა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოგვმართა და ფაქტიურად გაგვაფრთხილა, — იგონებს ლუიზა, — საოცარი სიჩუმე ჩამოწვა, თითოეული თავის სულში დაიძირა; მუხლმოყრილი ხალხი ძალუმად გრძნობდა საკუთარი არსების შერწყმას თვალშეუდგამ სიმაღლესთან. არ არსებობდა კაცი, რომელიც ამ საოცარი კავშირის დარღვევას შეეცდებოდა.

სიტუაცია გამძაფრდა: უსინათლოთა გუნდის გოგონამ სიმღერა შემოსძახა, ვიღაც ბიჭმა სალამური დაუკრა, იქით წრეში ცეკვა დაიწყეს. ლუიზა ჯაყელს არასდროს არ დაავიწყდება გარსშემოჯრილი ჯარისკაცების გამომეტყველება — იყო მომენტი, როცა ისინი გაოგნდნენ, მათი ნიღაბადქცეული სახეებიდან (ზოგს მართლაც ეკეთა ნიღაბი, ზოგსაც სახე, თითქოს ცვილით ჰქონდა შელესილი) გადმოკარკლული თვალები გადმოხტომას ლამობდნენ, მერე იქ სიძულვილი ჩაითესლა: აა, არ გეშინიათ?! და მაინც, როგორც კი პიონერთა სასახლის წინ სასიგნალო მაშხალამ იფეთქა, ქალებს დაერივნენ უმეტესწილად ბარებითა და ქიმიური კაფსულებით. „Свободу захотели? Вот вам свобода..." კაცებთან შებმა ეშინოდათ კბილებამდე შეიარაღებულ ამ არაკაცებს.

ახლა 8 აპრილის დილა გავიხსენოთ. ღამე მოშიმშილეებთან იყო ჟუჟუნა ჯაფარიძე: ზოგს წყალი მიაწოდა, ზოგსაც თბილი ჩასაცმელი; არც ორგანიზატორებთან მისულა, არც მიკროფონი მოუთხოვია, რა მისი საქმეა ორატორობა — სხვები ილაპარაკებენ! მისი — ერთი უბრალო ქალის საქმე ის არის, იმ ბევრთა შორის იყოს, თავს რომ აზვევია ამ თავგადადებულ მოშიმშილე ახალგაზრდობას.

11 საათზე სახლში აპირებდა წასვლას, ლენინის მოედნიდან ტანკები რომ გამოჩნდნენ. ოთხი ტანკი იყო და მათ ჯიქურ სვლაზე გული შეეკუმშა ჟუჟუნას. მეგობრის ქალიშვილი მაია გვერდზე მიეკრა. აქ, მიტინგზე გაცნობილმა ყმაწვილმა — გიამ, რომელიც გასაცილებლად გამოყვა ქალებს, ხელით ანიშნა, ტროტუარზე გადადითო. კიდევ კარგი, გიას რომ არ დაუჯერეს.

როგორც კი ტანკები პიონერთა სასახლის ბაღის გასწვრივ შემოვიდნენ, გია გადახტა და ნაპირა ტანკის გზაზე აისვეტა მისი მაღალი, ღონიერი ფიგურა. ადრე ჟუჟუნა ჯაფარიძისთვის რომ გეკითხა, გმირობის ჩამდენი თუ ხარო, სიცილით გეტყოდა: არ გაგიჟდე, გმირობაზე ფიქრი რა ჩემი საქმეაო. იმ წამსაც არაფერი არ უფიქრია, ისე აღმოჩნდა გიას გვერდით. წამში და მაია, წამში და კიდევ სამი ადამიანი გაჩნდა მათ გასწვრივ. ერთი მათგანი იური კოშაძე (ესეც ტელევიზიის თანამშრომელი გახლავთ) ქალებს შეევედრა: გადადით ტროტუარზე, მე დავდგები — თქვენს ნაცვლადო. მაგრამ ქალები თითქოს ადგილზე გაქვავდნენ...

ხალხი აირია, აქა-იქ განწირული კივილი გაისმა. შუახნის, სამხედრო ფორმიანი რუსი კაცი ხალხში შევარდა და ნერვიულობისაგან ჩახლეჩილი ხმით აყვირდა: «Я бывший танкист... Я знаю... Сделайте коридор...» ხალხმა დაუჯერა და ახლა სახელდახელო დერეფანში განაგრძეს სვლა მუხლუხოებიანმა მანქანებმა. მარცხენა განაპირა ტანკს ტაქსი ჩაუყენა და მძღოლმა ძლივს მოასწრო მანქანიდან გადმოხტომა, რომ ტანკი შეადგა და უმოწყალოდ გაჭყლიტა მანქანა, უკან დაიხია და კიდევ გადაუარა, ერთხელაც დაიხია... ტაქსის „დაპრესვა" ისე თანმიმდევრულად და დემონსტრატიულად შედგა, რომ „დამჯერს" უნდა დაეჯერებინა სისასტიკე, ვითომ წესრიგის დასამყარებლად შემოსული გადამთიელობა. მაგრამ ხალხი აღარ იყო „დამჯერი", მას აღარ ეშინოდა. ნამოქმედარით კმაყოფილი ის მარცხენა ტანკი ალმაცერად შებრუნდა და უკან დახევა იწყო გვერდითი ორი მანქანის მსგავსად. ის ტანკი კი მარჯვენა მხარეს ჯიქურ განაგრძობდა სვლას; აი გზაზე ჩაგდებულ „ნივას" გადმოაღოღდა. და სულ ახლოს მივიდა, გია აღრიალდა: გადადი, გადადით, მაგრამ ჟუჟუნა ჯაფარიძე მაინც არ გადავიდა, და, არც მაია, არც სხვა... მათგან ზუსტად ორ ნაბიჯზე ტანკი გაჩერდა და ადგილზე ძიგძიგი დაიწყო. უცებ ხალხის დერეფნიდან ვიღაც ბიჭმა ისკუპა და ტანკს შეახტა. ჟუჟუნამ თვალები დახუჭა, ხოლო, როცა გაახილა, ხალხს ისე დაეხუნძლა ტანკი, რომ იგი თითქმის აღარ ჩანდა.

ჟუჟუნა ჯაფარიძემ დაიყვირა: გაუმარჯოს საქართველოს! ხალხით დახუნძლული ტანკი აყვა: საქართველო! საქართველო! საქართველო!

დროის ამ პატარა გადასახედიდან რომ ვაფასებ 9 აპრილის ტრაგედიას, ალბათ არცთუ ნათლად, მაგრამ მაინც ვხედავ იმ დარტყმათა ჯაჭვს, რომელმაც თავისი უმსგავსოებით, სტალინური ძალადობის სისასტიკით, ბიუროკრატიული აპარატის კლასობრივი სიძულვილით არაფორმალებისადმი, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობისადმი, ყველა ეროვნული საქმისადმი, ერთ ომახიან შეძახილად შეკრა ქართველი ხალხი.

დღეს ჩვენ არ გვშველის პოეტ გივი გეგეჭკორის მწარე ლაღადისის გახსენება:

...სახლს კარები თუ არა აქვს,
როგორ უნდა გადარაზო,
ირემს ფეხი თუ შეუკრეს,
როგორ შეკრავს კამარასო?!

ჩვენ ჯერ ჩვენი მკვდრები უნდა ვიკვლიოთ და ვიტიროთ, მერე ალბათ „გარდაქმნისა". ქვეყანას კი იმედი სჭირდება, რწმენა სჭირდება ხვალინდელი სიცოცხლისათვის. საიდან უნდა ჩაისახოს ეს იმედი, თუ არ მოგვშორდებიან, თავის ყალბ ანგარიშიან და ამბიციურ მმართველობას არ მოგვაკლებენ. ხალხმა დაამტკიცა, რომ შეუძლია ცოტნე დადიანის მისია შეასრულოს.

ქართველი ხალხი თავისი დიდი ტკივილის მოსაშუშებლად მალამოს ელის!

მას ქრისტიანულ რწმენასთან ერთად, სხვა რწმენაც სჭირდება — რწმენა ხვალინდელი დღის არსებობისა!

ჟანეტა ქორიძე

გაზეთ «ლიტერატურული საქართველოს» რედაქციას ესაჭიროება მბეჭდავ-მემანქანე.
პირობების გასაგებად გთხოვთ მიმართოთ რედაქციას — ლერმონტოვის ქუჩა №1

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია

გამოდის პარასკეობით

ფასი 20 კაპ.

ლიტერატურული საქართველო
რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა № 1
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის — 99-84-04
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-08-65.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ამაშუკელი, თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ გურეშიძე, ივანე თარბა, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ინანიშვილი, ანა კალანდაძე, დავით მჭედლური, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, მამუკა წიკლაური, ვახტანგ ჭელიძე, თამაზ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში, გივი ჯოხაძე (პასუხისმგებელი მდივანი).

ИНДЕКС 06436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. უე 00294